გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION & BUSINESS

№3

www.eugb.ge



ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2017 თბილისი TBILISI

გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION AND BUSINESS

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
თეორია და პრაქტიკა

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

Actual Problems of Economy and
Business in Modern Globalization
Theory and Practice

თბილისი
TBILISI
2017

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. ამასთან, მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL OF THE FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGY AND THE INSTITUTE OF RESEARCH OF ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF GLOBALIZATION OF THE EUROPEAN UNIVERSITY

Each author is responsible for the accuracy of the article in this journal. His/her position may not coincide with the opinions of the editorial board.

ISSN 2449-2396

სარჩევი / CONTENT

თეორია და მეთოდოლოგია
THEORY AND METHODOLOGY

10 გივი ბედიანაშვილი
ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი
Givi Bedianashvili
FORMATION OF KNOWLEDGE ECONOMY AND INNOVATIVE ENTREPRENEURIAL POLICY: INSTITUTIONAL ASPECTS

17 იზეტ ზექირი, ფიტიმ დიარი, სადრი ალიჯი
ინფორმაციის როლი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: თეორიული ხედვა
Izet Zeqiri, Fitim Deari, Sadri Aliji
THE ROLE OF INFORMATION IN FINANCIAL DECISION MAKING PROCESS: A THEORETICAL VIEW

21 მიხეილ თოქმაზიშვილი
მცირე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციები
Mikheil Tokmazishvili
TENDENCIES OF DEVELOPMENT OF ECONOMIES OF SMALL COUNTRIES

26 დიმიტრი ოლენოვიჩი, ინტა ოსტროვსკა, ვიქტორია სიფილოვა, ელიტა ერმოლაევა, ლუდმილა ალექსეევა
მდგრადი განვითარების შეფასება ლატგალის რეგიონის მაგალითზე
Dmitrijs Oļehnovičs, Inta Ostrovska, Viktorija Šipilova, Elita Jermolajeva, Ludmila Aleksejeva
SUSTAINABLE DEVELOPMENT ASSESSMENT IN LATVIA: THE EXAMPLE OF LATGALE REGION

32 ციცინო ძოწენიძე, ანა კირიაკიდი
ევოლუციური ეკონომიკა და სამეცნიერო პარადიგმების კონკურენცია
Tsitsino Dzotsenidze, Anna Kiriakidi
EVOLUTIONARY ECONOMICS AND THE COMPETITION BETWEEN SCIENTIFIC PARADIGMS

36 ჯეტონ მაზლამი, იზეტ ზექირი, ბრაიკენდ აზირი
მაკედონიის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ 2008 წლის კრიზისის მართვა და მისი ზეგავლენა ბიზნესსექტორზე
Jeton Mazllami, Izet Zeqiri, Brikend Aziri
MANAGING OF THE 2008 FINANCIAL CRISIS BY THE GOVERNMENT OF THE REPUBLIC OF MACEDONIA AND ITS IMPACT ON THE BUSINESS SECTOR

გლობალიზაცია, ევროკავშირი და საქართველო
GLOBALIZATION, THE EUROPEAN UNION AND GEORGIA

46 რეგინა დემიანიუკი
ლოგისტიკური მომსახურების ევროპული ბაზრის ლიდერთა იდენტიფიკაცია და მახასიათებლები
Regina Demianiuk
IDENTIFICATION AND CHARACTERISTICS OF THE LEADERS OF THE EUROPEAN MARKET OF LOGISTIC SERVICES

55 ნიკოლოზ ბაკაშვილი
ბიზნესი და აუდიტი გლობალიზაციის პროცესში
Nikoloz Bakashvili
BUSINESS AND AUDIT IN THE PROCESS OF GLOBALIZATION

58 ოქსანა ჩებირიაკო
საბიუჯეტო სისტემა და ბიუჯეტშორისი ტრანსფერები უკრაინაში
Oksana Cheberyako
THE BUDGET SYSTEM AND INTER-BUDGET TRANSFERS IN UKRAINE

63 მადონა გელაშვილი
გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები
Madona Gelashvili
GLOBALIZATION CHALLENGES AND GEORGIAN TRADE RELATIONS

71 შოთა შაბურიშვილი
ინკლუზიური ბიზნესის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში
Shota Shaburishvili
THE PECULIARITIES OF INCLUSIVE BUSINESS DEVELOPMENT UNDER GLOBALIZATION

76 ლელა კამლაძე
ინტერესთა კონფლიქტი ევროკავშირის ფონდების მართვის ნებისმიერ მმართველობით დონეზე
Lela Kamladze
CONFLICTS OF INTEREST AT ANY GOVERNANCE LEVEL OF EU FUND MANAGEMENT

მაკროეკონომიკა, ფინანსური ბაზრები, სოციალურ–ეკონომიკური სფერო და სისიტემური პრობლემები

MACROECONOMICS, FINANCIAL MARKETS, SOCIO-ECONOMIC SPHERE AND PROBLEMATIC PROBLEMS

82 გოჩა თუთბერიძე, გივი რაქვიაშვილი, ქეთევან ფიფია
საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოთვლის თეორიული საფუძვლები
Gocha Tutberidze, Givi Rakviashvili, Ketevan Pipia
THEORETICAL BASICS OF CALCULATING QUANTITATIVE INDICATORS OF THE ECONOMIC STRUCTURE OF SOCIETY

91 ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მაღლაკელიძე
ფინანსური ინსტრუმენტები და ევროკავშირის სახელმწიფო დახმარების წესები
Natela Vashakidze, Dezdemona Maglakelidze
FINANCIAL INSTRUMENTS AND THE RULES OF EU STATE AID

96 ბადრი გეჩბაია
კლასტერები, როგორც აგრობიზნესის განვითარების ფაქტორი და მისი ჩამოყალიბების პირობები
Badri Gechbaia
CLUSTERS AS A FACTOR OF AGRIBUSINESS DEVELOPMENT AND CONDITIONS OF ITS FORMATION

100 გივი ბაქრაძე, ნანული ძიმცეიშვილი
ფინანსური აღრიცხვის და განაწილებული მოგების დაბეგვრის პროცედურული საკითხები
Givi Bakradze, Nanuli Dzimtseishvili
PROCEDURAL ISSUES OF THE TAXATION OF FINANCIAL REPORTING AND DISTRIBUTED PROFIT

103 ლაშარი ქურდაშვილი
საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებში ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიანობის გაზრდის გზები
Lashari Kurdashvili
THE WAYS OF ENHANCING THE EFFECTIVENESS OF HUMAN CAPITAL IN INTERNATIONAL TOURIST COMPANIES

106 ლიუდმილა დემიადენკო
უკრაინის თანამედროვე საგადასახადო სისტემა: რეფორმის შესაძლებლობები?
Liudmila Demydenko
MODERN TAX SYSTEM OF UKRAINE: POSSIBILITIES OF REFORMING?

109 თინათინ მეძმარიაშვილი
საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები
Tinatin Medzmariashvili
BASIC DIRECTIONS OF THE STATE PROCUREMENT POLICY OF GEORGIA

ბიზნესი, ტურიზმი და ტექნოლოგიები

BUSINESS, TOURISM AND TECHNOLOGIES

114 ლუკაშ ამბროზიაკი
ცვლილებები პოლონური კვების პროდუქტების ექსპორტში – ქვეყნის შიდა და გარე დამატებული ღირებულების ანალიზის საკითხისათვის
Lukasz Ambroziak
CHANGES IN THE EXPORT OF POLISH FOOD INDUSTRY PRODUCTS: ON THE ISSUES OF DOMESTIC AND FOREIGN VALUE ADDED TAX

123 ირმა დიხამინჯია
პროფესიული პრაქტიკა, როგორც მომავალი თანამედროვე სპეციალისტის ფორმირების ეტაპი
Irma Dikhaminjia
PROFESSIONAL PRACTICE, AS A STAGE OF FORMATION OF A MODERN FUTURE SPECIALIST

126 მანანა ალადაშვილი
ტურიზმი, გლობალიზაცია და მდგრადი განვითარება
Manana Aladashvili
TOURISM, GLOBALIZATION AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

130 იოსებ ქართველიშვილი, თეა თოდუა
უსადენო ქსელების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები
Ioseb Kartvelishvili, Tea Todua
SECURITY ISSUES IN WIRELESS NETWORKS

133 დარეჯან ბიწაძე, ია გოდერძიშვილი
სატრანსპორტო კომპანიების ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებათა მათემატიკური მოდელის დამუშავება და შეფასება
Darejan Bitsadze, Ia Goderdzishvili
ELABORATION AND ASSESSMENT OF THE MATHEMATICAL MODEL OF ANTI-CRISIS EFFICIENT MANAGEMENT AND PRODUCT COMPETITIVENESS IN LOGISTICS AND PUBLIC TRANSPORT

137 მურმან კვარაცხელია
სიღარიბის საკითხისათვის საქართველოში
Murman Kvaratskhelia
POVERTY ISSUE IN GEORGIA

142 ქუჯი ბიჭია
საყოველთაო საბაზისო შემოსავალი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე
Quji Bichia
UNIVERSAL BASIC INCOME BASED ON EXPERIENCE OF DIFFERENT COUNTRIES

151 გიორგი კუჭავა
კომერციული ვებსაიტების კონტენტის მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა PYTHON–ის ბაზაზე
George Kuchava
COMMERCIAL WEB-SITES CONTENT MANAGEMENT SYSTEM PROGRAMMING SUPPORT USING PYTHON

155 ნაირა გალახვარიძე
კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები
Naira Galakhvaridze
CULTURE TOURISM AND ACTUAL ISSUES OF THE MANAGEMENT OF REMARKABLE WORLD HERITAGE SITES

კრიტიკა და რეცენზიები

CRITICISM AND REVIEWS

160 **ზურაბ მუნჯიშვილი**
საინტერესო წიგნი ინფორმატიკაზე ეკონომიკასა და ბიზნესში
Zurab Munjishvili
AN INTERESTING BOOK ABOUT INFORMATICS IN ECONOMICS AND BUSINESS

თეორია და მეთოდოლოგია

THEORY AND METHODOLOGY

ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.001

საკვანძო სიტყვები: ცოდნის ეკონომიკა, ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა, ინსტიტუტების სინქრონიზაცია

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი ხასიათდება პოსტინდუსტრიული განვითარების რიგი სპეციფიკური თავისებურებებით, რომელთაგან, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის (ცოდნის ეკონომიკის) ფორმირების აქტუალიზაცია. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია განაპირობებს ცოდნის ეკონომიკისთვის ისეთი გლობალური რაკურსის მქონე განზომილებების დამატებას, როგორიცაა, მაგალითად, რესურსულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციული, კომუნიკაციური და ინსტიტუციური სტრუქტურები.

პოსტინდუსტრიული თეორიის შესაბამისად, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი რესურსი არის ინფორმაცია და ცოდნა, საწარმოო საქმიანობის ძირითადი ტიპია წარმოების მაღალი დონის ავტომატიზაცია, ძირითადი ტექნოლოგიებიდან უპირატესად გამოიყენება მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ტიპებიდან ყველაზე გავრცელებული ხდება სხვადასხვა მომსახურება. თუ ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში განმსაზღვრელი იყო სოფლის მეურნეობის სფერო, ინდუსტრიულ საზოგადოებაში – მრეწველობა, პოსტინდუსტრიულში – დეტერმინანტი ხდება უკვე თეორიული ცოდნა უნივერსიტეტებით, მისი, როგორც ცოდნის აქტიური გენერირების, თავმოყრის და ათვისების ადგილით.

ზემოაღნიშნული თავისებურებები მკაფიოდ აისახება ისეთ გავრცელებულ უკვე კარგად ცნობილ კატეგორიებში, როგორიცაა გათვითცნობიერებული საზოგადოება (the knowledgeable society), ცოდნის საზოგადოება (the knowledge society) და ცოდნის ფასეულობის საზოგადოება (the knowledge-value society). აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოების ბირთვს წარმოადგენს ცოდნის ეკონომიკა, ხოლო განვითარების მთავარი ფაქტორია ადამიანისეული კაპიტალი.

აღსანიშნავია, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი ბიზნესის ყველა სუბიექტის ჭრილში. მთლიანი ინოვაციური პროცესის ეფექტანობა დამოკიდებული ხდება ცოდნაზე დაფუძნებული მეწარმეობის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობას.

ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში გასათვალისწინებილია ინსტიტუციური კომპონენტის ფორმირება, დინამიკაში მისი სისტემური მოდერნიზაცია, ზოგადი ფორმალური ინსტიტუტების და საქმიანი კულტურის, როგორც არაფორმალური ინსტიტუტის, ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და სინქრონიზაცია.

თუ გავაანალიზებთ ისტორიულად მეწარმეობის ფენომენის შესახებ სამეცნიერო ეკონომიკური აზრის დინამიკას (Baumol, 1990; Блауг, 2008; Веблен, 2007; Друкер, 2007; Саймон, 1995; Макклелланд, 2007; Papava, 2017; Шумпетер, 2007; Audretsch at al., 2001; Dahlstrand at al., 2010; Grilo at al., 2006; ჰასიდი და სხვ., 2009; Светуньков, 2010; Beugelsdijk, 2007; Hofstede, 2004; Acs at al., 2005), მკაფიოდ შეიძლება შევნიშნოთ თანამედროვე პირობებში ზემოაღნიშნული დებულებების ადეკვატურობა და მოთხოვნების რეალიზაციის აქტუალობა.

ინსტიტუციური ფაქტორის დიდი მნიშვნელობის შესახებ თვით სამეწარმეო საქმიანობაში მიუთითებს, მაგალითად, მეწარმეობის ცნობილი თანამედროვე მკვლევარი ვ. ბაუმოლი (Baumol, 1990), რომელიც აღნიშნავს, რომ მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი გამოიგონოს და მოიპოვოს თავისი კეთილდღეობის, ძალაუფლების და პრესტიჟის ზრდის ახალი საშუალებები. იგი ამბობს, რომ აღნიშნული უნარის რეალიზაცია ყოველთვის როდია მიმართული დამატებითი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნისაკენ. მეურნეობრივი საქმიანობის წესები განსაზღვრავენ ინდივიდის სამეწარმეო უნარის მიმართულებას და ის შეიძლება იყოს პროდუქტიული, არაპროდუქტიული ან დესტრუქტიული. როგორც აღნიშნავს ვ. ბაუმოლი, „თამაშის წესების" შესაბამისად მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას, როგორ მიიღოს შემოსავალი: ინოვაციის დანერგვით, წარმოების აწყობით, განახორციელოს თავისი საქმიანობა კანონიერად თუ არა, თავი აარიდოს გადასაადებს ან განახორციელოს არალეგალური საქმიანობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. ბაუმოლის ზემოაღნიშნულმა კონცეფციამ მხარდჭერა მიიღო, როგორც ახალი ინსტიტუციონალიზმის თანმიმდევრების მხრიდან, ასევე ორდო-

ლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენლების მხრიდანაც (კარგად ცნობილი ვ. ოიკენის სამეურნეო წესრიგის იდეები ახლოსაა ვ. ბაუმოლის მსჯელობებთან).

აქ საინტერესოდ მიგვაჩნია ე. წ. რეტროეკონომიკის ცნების კუთხით დანახული ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიური წარმოდგენა, რაც ასევე ადასტურებს ინსტიტუტების მნიშვნელობას (რეტროეკონომიკის ცნების ავტორია ვ. პაპავა (Papava, 2017). ავტორი რეტროეკონომიკას უწოდებს იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგირად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს (Papava, 2016: 3).

უშუალოდ მეწარმეობის შესახებ არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულებები. მაგალითად, მ. კანტილიონის (1680–1734) აზრით მეწარმე არის ადამიანი, რომელიც ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას განუზღვრელობის არსებობის პირობებში, ხოლო მეწარმის შემოსავალი არის საჩუქარი რისკისათვის (Блауг, 2008: 115).

ჟ. სეი (1767–1832) აღნიშნავს, რომ მეწარმე ახორციელებს წარმოების ფაქტორების (მიწა, კაპიტალი და შრომა) კოორდინაციას. მისი აზრით სამეწარმეო საქმიანობა არის მეოთხე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს წარმოების ეფექტიანობას, ამასთან სამეწარმეო საქმიანობაზე საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს გარკვეული მოთხოვნა. როგორც ცნობილია, მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა სამეწარმეო უნარის განხილვა სპეციფიკურ ფაქტორად, ხოლო შემდგომ უკვე მეცნიერებაში გაჩნდა მეწარმის ადამიანისეული კაპიტალის ცნება.

ტ. ვებლენი (1857–1929) მიანიშნებს, რომ სამეწარმეო საქმიანობის მოტივი არის მოგების მიღება. ზემოგების მიღების წყაროა ბაზარზე არასტაბილურობა, რის შექმნასაც მეწარმეები ცდილობენ (Веблен, 2007).

ი. შუმპეტერის (1883–1950) აზრით მეწარმე არის მეურნე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ინოვაციებს თავის საქმიანობაში. ინოვაციებს მივყავართ წონასწორობის დარღვევისკენ, საქმიანი აქტიურობის აფეთქებისკენ, შედეგად კი მიიღება ეკონომიკური ზრდა. მისი აზრით, არაა აუცილებელი, მეწარმე იყოს მესაკუთრე, მთავარია, მას გააჩნდეს უნარი, დანერგოს და გამოიყენოს სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში ინოვაციები. ამასთან, მეწარმე ვერ იქნება ყოველთვის ახალი იდეების და ინოვაციების გენერატორი, მისი მთავარი ამოცანაა, გამოიყენოს საქმიანობაში სიახლეები და ამით მიიღოს მოგება (Шумпетер, 2007).

აქვე საინტერესოდ მიგვაჩნია, განვიხილოთ წარმოდგენა მეწარმეზე, გააზრებული ფსიქოლოგიის მეცნიერების კუთხით. მაგალითად, გ. საიმონი (1916–2001) ფიქრობს, რომ მეწარმის ქცევა არ არის რაციონალური და არაა მიმართული სარგებლიანობის მაქსიმიზაციისაკენ, რაც განპირობებულია ადამიანის ფსიქიკური შესაძლებლობების, მეხსიერების, აღრიცხვის კონკრეტული უნარების და სხვა რეალურად არსებული პიროვნებასთან დაკავშირებული შეზღუდულობებით (Саймон, 1995: 54-72).


მაგალითად, დ. მაკლელანდი (1917–1998) მიიჩნევდა, რომ ადამიანები, რომლებიც ანხორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, ფლობენ სპეციფიკურ მოტივაციურ სისტემას, ე. წ. მიღწევის მოტივაციას; უფრო გვიანდელმა გამოკვლევებმა, როგორც აღნიშნავს ავტორი, აჩვენეს, რომ მიღწევის მოტივაციის გარდა მეწარმეებისათვის დამახასიათებელია წარუმატებლობისთვის თავის არიდების მოტივაცია. საინტერესოა დასკვნა, რასაც აკეთებს ავტორი – საზოგადოებაში მიღწევის კოლექტიური მოტივაცია, შესაბამისი მექანიზმების არსებობისას, უზრუნველყოფს მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ ზრდას (Макклелланд, 2007).

საინტერესოდ მიგვაჩნია მ. ალეს (1911–2010) მოსაზრება სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, რომელის მიხედვითაც მეწარმეებს შუძლიათ მიაღწიონ საყოველთაო კეთილდღეობას მხოლოდ კონკურენციული გარემოს არსებობის პირობებში, რაც ყალიბდება სოციალური ინსტიტუტებით. როგორც აღნიშნავს ავტორი, სახელმწიფოს შეუძლია ინსტიტუციური ჩარჩოების დაწესება და შეცვლა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გამომდინარე ბაზრების ეკონომიკის ეფექტიანობიდან. სწორედ ეს განაპირობებს კულტურისა და ცივილიზაციების აყვავებას და კვდომას (ალე, 2004).

მეწარმეობის თანამედროვე მკვლევარებს შორის უნდა გამოიყოს მენეჯმენტის და ინოვაციური ეკონომიკის ცნობილი თეორეტიკოსი პ. დრუკერი (1909–2005). მან მეწარმეობის ფენომენს შესძინა ახალი კონცეფტუალური ხედვა, რომლის მიხედვითაც მეწარმეების შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები აისახება არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებაზე მთლიანად. როგორც აღნიშნავს ავტორი, ინფორმაციული ეპოქის საზოგადოებაში გადარჩებიან ის მეწარმეები, რომლებიც დროულად იგრძნობენ ცვლილებების ტენდენციებს და ოპერატიულად მოახდენენ ადაპტირებას ამ ცვლილებებთან. ხოლო ლიდერები გახდებიან ის მეწარმეები, რომლებიც მოახდენენ საქმიანობაში ცვლილებების გენერირებას. პ. დრუკერის აზრით, ინფორმაციული საზოგადოება მოითხოვს გარდაქმნებს არა მარტო სამეურნეო სფეროში, არამედ იგი პრინციპიალურად გარდაქმნის განათლების სისტემას და გააქტიურებს არაკომერციულ ორგანიზაციებს. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი იქნებიან ინელექტუალები, რომლებიც შეძლებენ ახალი იდეების გენერირებას. მოთხოვნადი იქნებიან ასევე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ამ იდეების რეალიზებას. ამასთან, განათლების სისტემის განვითარება მოსალოდნელია ორი მთავარი მიმართულებით: 1) სპეციალისტების მომზადება ცოდნის ფართო მსოფლმხედველობით და შემოქმედებითი უნარჩვევებით; 2) ვიწრო პროფილის სპეციალისტების მომზადება,

შესაბამისი პროფილის მიხედვთ სიღრმისეული ცოდნით (Друкер, 2007).


თანამედროვე პირობებში მეწარმეობის შესახებ წარმოდგენების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ცნობილი პერიოდული გამოკვლევების მიხედვით გლობალური მეწარმეობის ინდექსის გაანგარიშების პრობლემატიკის ფორმატში (ნახ 1):



ნახ. 1. სამეწარმეო ეკოსისტემის კონფიგურაცია (წყარო: Acs at al., 2018; http://thegedi.org/)

როგორც ცნობილია, გლობალური მეწარმეობის ინდექსი მუშავდება გლობალური მეწარმეობის და განვითარების ინსტიტუტის მიერ (The Global Entrepreneurship and Development Institute, Washington, USA). იგი კომპლექსურად ასახავს ყოველ მოცემულ ქვეყანაში მეწარმეობის (სამეწარმეო საქმიანობის) მდგომარეობას. მიმდინარე 2018 წლისათვის მომზადებული მონაცემების მიხედვით ინტეგრალური მაჩვენებლით 137 ქვეყნას შორის საქართველოს უკავია 77-ე ადგილი (შეფასებით 26). ცალკეული ინდიკატორის ჭრილში აშშ (I ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 84), შვეიცარიის (მე-2 ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 80) და ესტონეთის (23-ე ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 55) მიმართ საქართველო მდგომარეობა გვიჩვენებს იმ გამოწვევებს და პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია (ნახ. 2):


აღნიშნულიდან ყოველი ინდიკატორი ახასიათებს მეწარმეობის გარკვეულ ასპექტს და პასუხობს შესაბამის შეკითხვებს (Acs at al., 2018): **1. შესაძლებლობების აღქმა** – შეუძლია თუ არა მოსახლეობას, განსაზღვროს შესაძლებლობები რომ წამოიწყოს ბიზნესი და ინსტიტუციურ გარემოს შეუძლია თუ არა შესაძლებელი გახადოს ამ შესაძლობების რეალიზება? **2. სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების უნარები** – გააჩნია თუ არა მოსახლეობას აუცილებელი უნარები ისეთი ბიზნესის დასაწყებად, რომელიც დაფუძნებული იქნება საკუთარ აღქმაზე, ასევე უმაღლეს განათლებასა და ცოდნაზე? **3. რისკის მიღება** – სურთ თუ არა ცალკეულ პიროვნებებს ბიზნესის დაწყებით რისკის გაწევა? არის თუ არა შესაბამისად დაბალრისკიანი გარემო ან ბიზნესის წამოწყების რისკი იმატებს თუ არა არასტაბილური



ნახ.2. საქართველოს შედარებითი მდგომარეობა მეწარმეობის გლობალური ინდექსის კომპონენტების შესაბამისად (წარმოდგენილია მასალების მიხევით: http://thegedi.org/)

ინსტიტუტების არსებობის გამო? 4. **მეწარმეთა ქსელებში ჩართულობა** – იცნობენ თუ არა ერთმანეთს მეწარმეები და გეოგრაფიულად რამდენად არის კონცენტრირებული მათი ქსელები (კავშირები)? 5. **კულტურული მხარდაჭერა** – რა ხედვა აქვს ქვეყანას მეწარმეობის მიმართ? ადვილი არის თუ არა, ამორჩიო მეწარმეობა ან კორუფცია უფრო ართულებს თუ არა მეწარმეობას სხვა კარიერულ გზებთან შედარებით? 6. **ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები** – მეწარმეები შესაძლებლობებით არიან მოტივირებული თუ აუცილებლობით? ქვეყნის მმართველობა უადვილებს თუ არა მეწარმედ გახდომის მსურველს არჩევანის გაკეთებას? 7. **ტექნოლოგიების ათვისება** – გააჩნია თუ არა ქვეყანას ფართო ტექნოლოგიური სექტორი ან შეუძლია თუ არა ბიზნესს სწრაფად შეიძინოს და აითვისოს ახალი ტექნოლოგიები? 8. **ადამიანისეული კაპიტალი** – არიან თუ არა მეწარმეები შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე, კარგად გათვითცნობიერებული ბიზნესში და აქვთ თუ არა მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა შრომის ბაზარზე? 9. **კონკურენტუნარიანობა** – ქმნიან თუ არა მეწარმეები უნიკალურ პროდუქციასა და სერვისს და შეუძლიათ თუ არა ამ პრუდუქციითა და სერვისით ბაზარზე გასვლა? 10. **პროდუქტული ინოვაცია** – გააჩნია თუ არა ქვეყანას შესაძლებლობა, განავითაროს ახალი პროდუქცია და მოახდინოს ახალ ტექნოლოგიებთან ინტეგრაცია (მათი ათვისება)? 11. **პროცესული ინოვაცია** – იყენებს თუ არა არსებული ბიზნეს სექტორი ახალ ტექნოლოგიებს და აქვს თუ არა მას (ბიზნეს სექტორს) წვდომა მაღალი ხარისხის ადამიანისეულ კაპიტალზე STEM (Science, Technology, Engineering and Mathematics) დარგებში (სფეროებში)? 12. **მაღალი ზრდა** – აქვს თუ არა ბიზნეს სექტორს მიზნად დასახული მაღალი ზრდა და გააჩნია თუ არა მას ამ ზრდის მიღწევის სტრატეგიული არეალი? 13. **ინტერნაციონალიზაცია** – სურთ თუ არა მეწარმეებს გლობალურ ბაზარზე გასვლა და არის თუ არა ეკონომიური პოტენციალი საკმარისი, რომ მათ შექმნან იდეები, რაც ღირებული იქნება გლობალური თვალსაზრისით? 14. **სარისკო კაპიტალი** – არის თუ არა ხელმისაწვდომი სარისკო კაპიტალის მოძიება როგორც კერძო ასევე ინსტიტუციური ინვესტორებისგან?

ვფიქრობთ, საქართველოში ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა და შესაბამისი ინსტიტუციური მოდერნიზაციის ღონისძიებები უნდა იყოს მიმართული აღნიშნული ჩამორჩენების დაძლევისაკენ. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქმიანი კულტურის (როგორც არაფორმალური ინსტიტუტის) სრულყოფა. გამოკვლევები ადასტურებენ (Hofstede, 2004; Bedianashvili, 2014; Didero at al., 2008; Beugelsdijk, 2007; Furman at al., 2002; Geertz, 1973; Herbig and Srholec, 1998; Inglehart and Welzel, 2005; James, 2005; Von Hippel, 2005; Acs, 2006; Barnett, 1953; Beugelsdijk at al., 2014; Brons, 2006; Dickson at al., 2003; Didero at al., 2008; Edler and Fagerberg, 2017; Differences in Innovation Culture Across Europe, 2008), რომ კულტურულ ფაქტორს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამეწარმეო და ინოვაციური საქმიანობის ჯეროვანი განვითარებისთვის. რაც შეეხება საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობას, ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის (ნახ. 3), ესაა ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალური გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატიზმის) გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება (Bedianashvili, 2016):



ნახ. 3. არსებული მდგომარეობით კულტურულ ფასეულობათა შედარებითი განლაგება (წარმოდგენილია მასალების მიხედვით: http://geert-hofstede.com, საქართველოსთვის პარამეტრები შეფასებულია ექსპერტულად)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Acs, Z. J., Audretsch, D. B., Braunerhjelm, P. and Carlsson, B., (2005). The Knowledge Spillover Theory of Entrepreneurship, Discussion Papers on Entrepreneurship, Growth and Public Policy, Group Entrepreneurship, Growth and Public Policy, Jena, Germany: Max Planck Institute of Economics.
2. Acs, Z. J., Szerb, L., Lloyd, A., (2018). Global Enterpreneurship Index. Washington, GEDI.
3. Baumol W. J. (1990). Enterpreneurship: Productive, Unproductive and Destructive // Journal of Political Economy. Vol. 98. №5. Pt.1. P. 893-920.
4. Bedianashvili, G., (2014). Culture as an Institution in the Context of Socio-economic Development of Country and International Business. J. "Ekonomisti", No 6. P. 6-16 (Geo).
5. Bedianashvili G. (2016). The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia. Journal "Globalization and Business". European University, № 1, P. 19-25 (Geo)
6. Didero, M., Gareis, K., Marques, P., Ratzke, M. et al. (2008). Differences in Innovation Culture across Europe, Discussion paper, TRANSFORM project report, URL: http://www.transformeu.org/publications/documents/Differences in Innovation Culture.pdf (retrieved 10. 7. 2008).
7. Алле М., (2004). Основные направления моей работы / Мировая экономическая мысль. Сквозь призму веков. В 5 т. М.: Мысль.
8. Блауг М. (2008). 100 великих экономистов после Кейнса. - СПб.: Экономическая школа. - 384 с.
9. Веблен Т. (2007). Теория делового предприятия. М.: Дело. – 288 с.
10. Друкер П. (2007). Бизнес и инновации. М.: «Вильямс». - 432 с.
11. Саймон Г. (1995). Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении. СПб.: Экономика – 534 с.
12. Макклелланд Д. (2007). Мотивация человека. СПб.: Питер. – 672 с.
13. Шумпетер Й. А. (2007). Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия. М.: Эксмо. – 864 с.
14. Светуньков, М., (2010). Предпринимательство и инновации. Ульяновск.: УлГТУ. – 128 с.
15. ჰასიდი, ჯ., კომსელი, ა., გველესიანი, რ., მექვაბიშვილი, ე., გაგნიძე, ი., ლეკაშვილი, ე., ნაცვალაძე, მ., (2009). მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. თბილისი. – 196 გვ.
16. European Innovation Scoreboard 2008. Comparative Analysis of Innovation Performance (2009), Pro Inno Europe paper No 10, http://wwwproinno-europe.eu/publications (retrieved, June 2010).
17. Beugelsdijk, S. (2007). 'Entrepreneurial culture, regional innovativeness and economic growth', Journal of Evolutionary Economics, 17(1): 187-210.
18. Furman, J. L., Porter, M. E., Stern, S. (2002), The Determinants of National Innovative Capacity. Research Policy, 31 (6): 899-933. doi:10.1016/ S0048-7333 (01)00152-4
19. Geertz, C. (1973). The Interpretation of Cultures, New York, Basic Books.
20. Hofstede, G et al. (2004) 'Culture's role in entrepreneurship: self-employment out of dissatisfaction', in: Brown, T and Ulijn, J. (eds.) 'Innovation, Entrepreneurship and Culture. The interaction between Technology, Progress and Economic Growth', Cheltenham, Massachusetts: Edward Elgar Publishing, pp. 162-203.
21. Hofstede, G. (2011). Dimensionalizing Cultures: The Hofstede Model in Context. Online Readings in Psychology and Culture, 2(1). https://doi.org/10.9707/2307-0919.1014.
22. Inglehart, R. and Welzel, C. (2005) 'Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence', Cambridge, MA, et al.: Cambridge University Press.
23. Von Hippel, E. (2005) 'Democratizing innovation, Cambridge, MA: MIT Press.
24. Papava V., (2016). Technological Backwardness - Global Reality and Expected Challenges for the World's Economy. No. 70. Tbilisi, GFSIS, 2016 (Geo).
25. Papava V., (2017). Retroeconomics – a Theory of the Technological Backwardness of Economy. Nowe ścieżki rozwoju w Europie Środkowej i Nowe ścieżki rozwoju At Nałęczów, Poland, 2017. – p.33-37.
26. Acs, Z.J., (2006). How is Entrepreneurship Good for Economic Growth?, Innovations: Technology, Governance, Globalization 1(1), p. 97-107.

27. Dahlstrand, Å. L. and Stevenson, L., (2010). Innovative Entrepreneurship Policy: Linking Innovation and Entrepreneurship in a European Context. Annals of Innovation & Entrepreneurship, vol.1. Retrieved 08. 09. 2012, from http://www.innovationandentrepreneurship.net/index.php/aie/article/view/5602/html_34.
28. European Union EU. (2012). The Innovation Union Scoreboard. Research and Innovation Union scoreboard, Retrieved 07. 20. 2012, from http://www.proinno-europe.eu/metrics
29. Fagerberg, J. and Srholec, M., (2008). National Innovation Systems, Capabilities and Economic Development, Research Policy 37/9, p.1417-1435.
30. Fagerberg, J., Feldman, M., Shorlec, M., (2011). Technological Dynamics and Social Capability: Comparing U.S. States and European Nations, CIRCLE Paper no 11/2011, Lund University.
31. Barnett, H.G. (1953). Innovation: The basis of cultural change. New York: Mc Graw Hill.
32. Beugelsdijk, S., Slangen, A., Maseland, R., & Onrust, M. (2014). The impact of home–host cultural distance on foreign affiliate sales: The moderating role of cultural variation within host countries. Journal of Business Research, 67(8), 1638-1646.
33. Brons, L. (2006). Indirect measurement of regional culture in the Netherlands, Tijdschrift voor Economische en Sociale Geografie, 97(5): 547-566.
34. Dickson, M. W., Den Hartog, D. N., & Mitchelson, J. K. (2003). Research on leadership in a cross-cultural context: Making progress, and raising new questions. The leadership quarterly, 14(6), 729-768.
35. Didero, M., Gareis, K., Marques, P., & Ratzke, M. (2008). Differences in innovation culture across Europe. Transformative Use of ICT in EU Regions. Transform, Germany.
36. Edler J., Fagerberg, J. (2017).-Innovation policy: what, why, and how. Oxford Review of Economic Policy, Volume 33, Number 1, pp. 2–23.
37. Differences in Innovation Culture Across Europe (2008).

FORMATION OF KNOWLEDGE ECONOMY AND INNOVATIVE ENTREPRENEURIAL POLICY: INSTITUTIONAL ASPECTS

GIVI BEDIANASHVILI
Doctor of Economic Sciences, Professor Of European University,
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.001

KEYWORDS: KNOWLEDGE ECONOMY, INNOVATIVE ENTREPRENEURIAL POLICY, SYNCHRONIZATION INSTITUTIONS

SUMMARY

The modern stage of globalization is characterized by a number of specific peculiarities of post-industry development, among which, in our view, the formation of knowledge-based economy (knowledge economy) is important. It is noteworthy that globalization complements the knowledge economy with the dimensions of global scale such as resource-technological, informational, communicative and institutional structures.

According to postindustrial theory, the key resource of post-industrial economy is information and knowledge, and the main type of manufacturing activities is the high level of automated production. Among the main technologies, science inclusive technologies are used, and from the types of economic activities, a range of industry services is most common. If in the pre-industrial society agricultural sector was a determining factor, in the industrial society, it is the industry. In the post-industrial society theoretical knowledge in universities (where knowledge is generated and accumulated) becomes the determinant. These features are clearly reflected in the categories, such as the knowledgeable society, the knowledge society and the knowledge - value society. The important thing here is that the core of the society is the knowledge economy, while human capital is the main factor of development.

It should be noted that in the process of forming the knowledge economy, the innovative aspect of entrepreneurial activities is of a particular importance in the context of all business entities. Therefore, the effectiveness of the overall innovative process depends on the efficient functioning of knowledge-based entrepreneurship, which in its own turn contributes to the development and implementation of innovative entrepreneurial policies by the state. The innovative entrepreneurial policy should envisage the formation of the institutional component, its systematic modernization in dynamics, compliance and synchronization of general formal institutions and business culture as an informal institution.

THE ROLE OF INFORMATION IN FINANCIAL DECISION MAKING PROCESS: A THEORETICAL VIEW

IZET ZEQIRI, Ph.D.
Full Professor, South East European University,
Associate Member of the Macedonian Academy of Sciences and Arts, Macedonia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.002

FITIM DEARI, Ph.D.
Assistant Professor, South East European University, Macedonia

SADRI ALIJI, Ph.D.
Assistant Professor, South East European University, Macedonia

KEYWORDS: INFORMATION, DECISION, SYSTEM

INTRODUCTION AND LITERATURE REVIEW

Firms in everyday life face different business decisions, which are linked with internal and external factors. Such decisions may include: what/where/when/how to produce a product and (or) service, what is the production cost, who is client, what price to set, do the product/service differs from what competitors do, future business climate will be better or worse, etc. No doubt that there are many other questions/dilemmas appeared by decision makers and there is no unique formula for solving them. Each business decision case should be treated in context of the proposed problem. Even to, a business decision case and therefore financial decisions can be view from different perspectives by different decision makers.

Indeed, decision makers use information in function to decrease the business uncertainty. For example, accounting information users use financial statement analysis in order to make better sound decisions. “Financial statement analysis reduces our reliance on hunches, guesses, and intuition, and in turn it diminishes our uncertainty in decision making.” (Bernstein and Wild, 1998:3)

Creation and building of the information database for making decisions in a firm should start with the concept, so information related with firm’s works have to be generated and flow based on concretely demands of the firm’s policy. In this context, also information for financial policy needs “relied” in this base. Thus, based on this concept financial policy is the fundament, a source of any information systems for rational leading and advancing finances of a firm. In further development of this concept, is obvious that collecting different information for financial processes serves as the source for control and analysis of the firm’s financial policy. Through analysis process is performed processing, selection of evidence data, transformation of them into working information and division of them according purposes. When information come in appropriate point, they become valuable, serve for dynamic controlling and are instrument of working decisions for financial processes.

In current conditions, information creates prior conditions for existing and development of modern firms. Their managers, based on problems study, respectively providing of information from information system, make decisions and care for their implementation (Zeqiri, 1999:73).

Based on above discussion, information-organizing phases can be listed as:

- The phase of ensuring adequate information sources which has to do with events in financial processes;
- The phase of systematic analysis of information with purpose of preparing, processing and selection of information which are in accordance with the work;
- The phase of launching processed information from a destination to users; and
- The phase of utilization obtained information according responsibilities and function from the firm’s bodies.

All these stages move or intertwined according to the specific concrete requirements of financial management in order to progress to the firm’s financial processes. This means that, at the beginning and during construction the working information system for financial processes definitely is, under this concept, to take account for the purposes of the firm’s financial policy.

In modern terms, the financial management involves solving three major decisions in the firm, i.e. (1) decisions regarding investments, (2) decisions regarding financing, and (3) decisions regarding the distribution of results. These decisions jointly determine the value of the firm. When you thought that the purpose of the firm is to maximize this value, the firm should be striving for an optimal combination of these three key decisions related to each other, which solved simultaneously (Horne, 1993:10).

For an optimal combination of these decisions it is necessary to establish a sound information base that would precede the process of financial decision making. For making and implementation of major decisions in financial management is required a large number of internal and external information. The quality of crucial decisions in financial management primarily depends on the quality of the available information.

DISCUSSION – ACCOUNTING INFORMATION, DATABASE AND FINANCIAL DECISION MAKING

In any firm in accordance with the division of labor there are different business functions. Each function has its own policy. Policy of business functions include policy goals and principles, which adhered to the achievement of goals. The goals of business functions must be in harmony with the final goal of the firm and they must also be understood as sub-goals of the firm's policy goals.

Financial policy as a policy of the financial function has goals and principles as a source of data on the basis of which works towards realizing the goals. The aim of the financial policy is to increase the firm's financial strength. But, financial power means (Kralj, 1990):

- Sustainable solvency ability,
- Sustainable financing ability,
- Sustainable investment ability,
- Ability to increase the wealth of owners, and
- Ability to meet the financial interests of the participants in the firm.

Financial policy requires that the need for financial decisions have a huge amount of information, which will not only be to support the decision, but also support for the possible consequences of the financial decision. The information system which is not well regulated, only with partial information, leads to the creation of routine financial decisions that are not always rational.

Today financial theory and practice in the course of time have developed various methods for evaluating and ranking of investment projects on the basis of prospective, desired profitability (Krasulja, 1998:305). All these modern methods in fact give us the desired information to accurately assess the economic costs and forecast, accurate calculation of revenues that will be realized by the firm's application of any concrete plan investments.

Within the firm's business system, accounting information system occupies an important place, which is closely linked to the accounting data. In fact, the accounting information represents a sound information base necessary for the conducting of business processes within the firm. Accounting information arising from the accounting information system in most cases, presents the initial data, so it is often necessary for them to be processed in order to be meaningful in the overall process of decision making.

Accounting service due to factors that influenced it, in many countries as in Macedonia too experienced and set new tasks related to meeting the needs, said conditionally modern needs of information users regarding decision making at various levels and by various interest groups. In current practice, financial reports have been designed to provide information which has been in function of protection and growth of social wealth, for the purpose of taxation and the overall economy leadership. The development of a market economy and forms of ownership in Macedonia, and capital structure, in the first place put the interests of the owners of capital and the obligation of management to fulfill these interests (Rusevski, 1999:27). This situation required retraining necessary information from financial reports in order to satisfy the management needs of each individual entity.

Within a firm-entity occur different activities related with production, selling, buying, etc. At commercial-business entities these are known as business activities. These business activities are recognized as transactions, commonly as financial transactions, via accounting documents. It is the job of bookkeeper to record these transactions. Till this point records present just accounting data which nowadays are processed much easier comparing with the past, thanks implementation of computer-electronic software accounting-financial packages. But, accounting as an information system doesn't ends up here. Collected accounting data (inputs) will be processed furthermore (the process) and will be transformed to outputs (financial statements). An illustrated view is given as below (Figure 1):

Figure 1 presents clearly that the bookkeeping is just a part of the overall accounting process. Thus, the accounting process provides information via outputs, mainly in form of financial statements such as: balance sheet, income statement, statement of cash flows, statement of owner's equity,




Figure 1: Accounting as an information system. Source: Based, adopted and reprocessed from Dhamo (2003:30).

and other financial reports. These reports are addressed to different interest groups, which in accounting and financial theory-practice commonly are divided as internal or external users. Needles and Powers (2005:4) divide accounting information users-decision makers into three groups: (1) management; (2) those with direct financial interest such as investors and creditors; (3) those with indirect financial interest such as tax authorities, regulatory agencies, labor unions, financial advisers, customers, and economic planners. All these groups are interested for the firm and view it from different prism of interest, including here financial decisions. They read information from financial statement in order to improve the quality of decision making.

The importance of information is that they show something new on the basis of which current decisions are taken and firm's activities are directed towards achieving business goals. Thus, accounting information is derived from the analytical processing of accounting data. They preceded the collection process, adjustment and data processing based on quantitative analysis and interpretation in the form of reports.

The primary task of the firm's accounting information system is to provide adequate information for making optimal decisions for the governance and leading of its activities. Only qualitative information can be efficiently accomplished business and financial policy. The quality of current decisions in the firm depends on the quality of accounting information which should be relevant, accurate, complete, clear and in time. Accounting information is used at all levels of government. At the strategic level the processed information (as usually is synthetic and aggregate), is directed towards the future and include a longer time. Tactical level uses information, which includes recent past and future. For operational decision making process the information (detailed and analytic) is used which includes the current state and has informative nature.

CONCLUSIONS

In current conditions, information creates prior conditions for existing and development of modern firms. Complexity related with business decisions is increasing day by day due to many factors, inside and outside the firm. In these circumstances it is more than necessary to have a system that will provide information in function of users' needs and requirements. Information related with the firm's activities has to be generated and flow based on concretely demands of its policy. Generation and furthermore using information follow a process of transforming data into information, processing, selection of data, transforming them into working information and dividing them according purposes. Furthermore, the information becomes valuable when it goes to user(s), serves for dynamic controlling and is instrument of working decisions.

REFERENCES:

1. Bernstein A., Leopold, J. Wild, John, *Financial Statements Analysis: Theory, Application, and Interpretation*, McGraw-Hill, Boston, 1998.
2. Dhamo, Sotiraq M., *Kontabiliteti Financiar,* Tiranë, 2003.
3. Horne, James C. Van, *Finansisko upravlanje i politika (Finanansiski menadzment),* Stanford University, MATE-Zagreb, 1993.
4. Kralj, Janko, Finansisko upravlanje i finansisko poslovanje u uslovima trzisne privrede, *Knjigovodstvo,* Br. 8-9, Zagreb, 1990.
5. Krasulja, Dragan, *Poslovne financije,* Ekonomski Fakultet, Beograd, 1998.
6. Needles, E. Belverd, Powers, Marian, *Principles of Financial Accounting*, Houghton Mifflin Company, Boston, 2005.
7. Rusevski, Trajko, *Smetkovodstveno-Finansiska Revija,* 1999.
8. Zeqiri, Izet, Roli i informacionit për Financat e Ndërmarrjes (Tranzicioni Ekonomik në Maqedoni), Revista ekonomike *EKONOMIA dhe TRANZICIONI*, Nr. 2, Prill-Qershor, Tiranë, 1999.

THE ROLE OF INFORMATION IN FINANCIAL DECISION MAKING PROCESS: A THEORETICAL VIEW

IZET ZEQIRI, Ph.D.
Full Professor, South East European University;
Associate Member of the Macedonian Academy of Sciences and Arts, Macedonia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.002

FITIM DEARI, Ph.D.
Assistant Professor, South East European University, Macedonia

SADRI ALIJI, Ph.D.
Assistant Professor, South East European University, Macedonia

KEYWORDS: INFORMATION, DECISION, SYSTEM

SUMMARY

The role and place of information in financial decision making process is undisputed. The financial decision that doesn't rely on information would be inaccurate and costly. Information serves and helps in the decision making process both information users, internal and external. Thus, nowadays firms pay enough attention to the construction of appropriate information systems. Such information systems should be able to provide information in time, valuable, and with many rest qualities which are required by user's needs. In the firm context, different levels of government have different needs. Whereas, the strategic level requires information that is linked with future and a longer time, the tactical level requires such information which includes recent past and future. Or, the operational level requires such information which includes the current state and has informative character.

მცირე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

მიხეილ თოქმაზიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.003

საკვანძო სიტყვები: მცირე ქვეყნები, კომპარატიული ანალიზი, ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი

მცირე ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები სხვადასხვა ხასიათისაა და განსხვავებულად რეგულირდება, რაც შესაბამისად აისახება სავაჭრო ურთიერთობებზე. მათი ყველაზე დიდი პრობლემაა დიდ ქვეყნებთან სავაჭრო უპირატესობების და სავალუტო ურთიერთობების ზემოქმედების მექანიზმების ეფექტიანი რეალიზაცია. მცირე ქვეყნებს არ გააჩნიათ ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ უპირტესობას დიდი ქვეყნებთან ვაჭრობისას. მასშტაბის ეკონომიით მიღებული უპირატესობა ან გაცვლითი კურსით მანიპულაცია არ იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. დიდი ქვეყნების სავაჭრო და სავალუტო ზონებში მიერთება და გაერთიანება კი პოზიტიურ შედეგებთან ერთად საფრთხეებსაც შეიცავს.

მცირე ქვეყნების კლასიფიკაცია. მცირე ქვეყნებს შორისაა როგორც ტრანსფორმირებადი, გარდამავალი პერიოდის ქვეყნები, ასევე მაღალგანვითარებული კლასიკური კაპიტალიზმის მქონე ქვეყნები.

მათ კლასიფიკაციას აქვს შედარებითი ხასიათი. მისი კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმებია ტერიტორიის ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა. მსოფლიო ბანკი მცირე ქვეყნებად მიიჩევს იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობა 1.5 მილიონზე ნაკლებია. ასეთი ქვეყნები მსოფლიო ქვეყნების მეოთხედს შეადგენს. მათი ძირითადი გამოწვევებია ეკონომიკური შოკებისადმი მოწყვლადობა (რამდენადაც ისინი დამოკიდებულნი არიან საგარეო ბაზრებზე). მათი ეკონომიკა არ არის მდგრადი, აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა მსოფლიოს კპიტალის ბაზრებისადმი. აქვთ დაბალი კონკურენტუნარიანობა და მაღალი მოწყვლადობა კლიმატური ცვლილებებისადმი (მსოფლიო ბანკი).

ევრაზიის კონტინენტზე, რამდენადაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ზოგიერთ მცირე ქვეყანას აქვს უფრო დიდი ტერიტორია (განსაკუთრებით ჩრდილოეთის კონტინენტზე გრენლანდიას, ფარერის კუნძულებს, შვეციას, ნორვეგიას, ფინეთს და სხვ.), ვიდრე დიდ ქვეყნებს, ამიტომ მიზანშეწონილია განსხვავებული კრიტერიუმის გამოყენება. მაგალითად, მცირე ქვეყნებად მივიჩნიოთ ისეთი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობაც 10 მლნ-ზე ნაკლებია და მათი ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 100 ათას კვ. კილომეტრს. მათ სიაში შედის ჯუჯა ქვეყნებიც, სადაც ცხოვრობს ნახევარმილიონზე ნაკლები მოსახლეობა და ტერიტორია 1 ათასი კვ. კილომეტრია (ანდორა, ვატიკანი, გიბრალტარი, ლიხტენშტეინი, მონაკო, სან მარინო და სხვ.). ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობა თავისებურია: სახელმწიფოს შემოსავლები დამოკიდებულია მხოლოდ გადასახადებზე და ეკონომიკური განვითარების ძირითადი სფეროებია ფინანსური ინსტიტუტები, მომსახურება და ტურიზმი.

ევრაზიის მცირე ქვეყნებს განსახვავებული ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ. მათგან ნაწილს კომუნისტური წარსული აქვთ და რუსეთთან ინტეგრირებულ ეკონომიკას წარმადგენდა, რომლებსაც წარსულში დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი). ევროპის მცირე ქვეყნების მეორე ნაწილს სოციალისტური წარსული აქვთ და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაექვემდებარნენ რუსეთის ეკონომიკას (ბულგარეთი, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ალბანეთი, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა), ხოლო მესამე ნაწილი კი საბაზრო ეკონომიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნებოდნენ და დღესაც ინტეგრირებულნი არიან ევროპულ ბაზართან (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, ისლანდია, შვედეთი, ისლანდია, კვიპროსი). მათი ეკონომიკა სრულიად განსხვავებულია და განვითარების განსხვავებული ციკლი ახასიათებთ.

ეკონომიკის ზოგადი ნიშნები. ყველა მცირე ქვეყანას აქვს თავისებურება: გააჩნიათ მრავალდარგიანი ეკონომიკის განვითარებისათვის არასაკმარისი რესურსი და მათი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება საკუთარი რესურსებით ძლიერ შეზღუდულია. ისინი, უფრო მეტად ვიდრე დიდ ქვეყნები, განიცდიან რეგიონალური ინტეგრაციის აუცილებლობას. მათი რესურსების დეფიციტის კომპენსირება შესაძლებელი ხდება მხოლოდ აქტიური საგარეო ვაჭრობით.

ინდუსტრიულად განვითარებული მცირე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სტაბილური ეკონომიკა, მყარი ფინანსური პოზიციები, მდგრადი განვითარება, ცხოვრების შედარებით მაღალი დონე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები მიეკუთვნებიან საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებს, რომელთა ზრდის ტემპები მაღალია, პოსტსციალისტური ევროპი ქვეყნები კი საშუალზე მაღალ შემოსავლიან ქვეყნებს.

მცირე ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებები ვლინდება მათი მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებაში. შესაბამისად, ამ ნიშნით კლასიფიკაციაც ნათელს ხდის მათი განვითარების დონეს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგს მიეკუთვნებიან (Freedom in the World

201). ამ ქვეყნებში სახელმწიფოს ფინანსური კონტროლი და რეგულირება საკმაოდ დიდია, არსებობს ინფლაციის მაღალი დონე, საკრედიტო ინსტიტუტების დაბალი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, განუვითარებელი საფონდო ბირჟები და დაბალი დანაზოგები. ფინანსური მდგრადობა ბევრად არის დამოკიდებული ფინანსურ ნაკადებზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მათ შორის ექსპორტზე და პირდაპირ ინვესტიციებზე. სახელმწიფოს საგარეო ვალიც მაღალია, რომელიც უცხოურ ვალუტაშია აღებული.

საგარეო ვაჭრობის როლი განსაკუთრებით დიდია ყველა მცირე ქვეყანაში, მიუხედავად მისი განვითარების დონისა. ევროპის ინდუსტრიულად განვითარებული და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მცირე ქვეყნების ექსპორტის წილი ამ ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში 2.2 ჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებელს.

მცირე ქვეყნებში საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება ძირითადად იმპორტის ხარჯზე, თუმცა ინდუსტრიულად განვითარებული მცირე ქვეყნები აწარმოებენ ისეთ პროდუქციას, რომლის მასშტაბიც აღემატება საკუთარი ბაზრის მოთხოვნებს და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის უზრუნველყოფაში მათი ექსპორტის წილი მშპ-ში აღემატება 60 პროცენტს.

At current stage, deepening of the trade & economic relations with the developed countries is of greater significance than with the countries at the same development level. This is mostly caused by the increasing technological dependence on the developed countries. For the developing and transition economies it is of critical significance to attract foreign investments providing the basis for economic development, exports growth and integration into the world trade and economics.

To evaluate the directions of the foreign trade relations of Georgia, the work offers discussion of the foreign trade turnover, export & import, the largest trade partner countries, the largest groups of import and export goods and other indicators. Georgian government supports the idea of export-oriented policies. Reduction of import tariffs and liberal local policies of recent years is best suitable for such approach. Export-oriented policies imply entry to the foreign markets and improvement of situation, with respect of production and costs in domestic export sector. Both of these aspects are subject of trade agreements, determining the conditions for opening markets for one another by the trade partners. And such negotiations deal not only with the tariff and non-tariff barriers but legislation regulating and forming the markets in general, as well.

Trade policies of a country comprise significant part of the economic politics, as exports promotion is associated with economic growth, especially, where the trade partner, e.g., such as EU, implements the policies oriented towards foreign markets.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

შოთა შაბურიშვილი
https://doi.org/10.35945/gb.2017.03.011
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ბიზნესი, სიღარიბე, ღირებულების ჯაჭვი, ბიზნესის მოდელი, ეკონომიკური განვითარება

შესავალი

გლობალიზაციის პროცესი ობიექტურად განაპირობებს ეკონომიკური სისტემის და საქმიანი კულტურის ტრანსფორმაციას, რამაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს. ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს შორის მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას ინკლუზიური ბისნესის ფენომენი იმსახურებს. სპეციალურ ლიტერატურაში ინკლუზიური ბიზნესი შედარებით ახალი ცნებაა, პირველად ის გამოყენებულ იქნა 2005 წელს ჟენევაში გამართულ ბიზნესის მდგადი განვითარების მსოფლიო საბჭოზე (Södergren, 2016). ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირებამ ხელი შეუწყო მეწარმეობის განვითარებას და დააჩქარა ეკონომიკური ზრდის ტემპები, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უკეთესი მომავალი უზრუნველყო. მაგრამ, ამავე დროს, ტრანსფორმაციული კრიზისის და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში მომხდარი შოკების შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდა. ეკონომიკურმა ზრდამ ვერ უზრუნველყო სიღარიბის შემცირება. მაგალითად, საქართველოში 2004-2015 წლებში მიღწეული შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიუხედავად, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 20 პროცენტს აღემატება (სიღარიბის მაჩვენებლები, 2017).

ეკონომიკური ზრდის შედეგების მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე გადანაწილება, მხოლოდ სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტებით ვერ მოხერხდება (Meskhia, 2014). ამისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ღირებულების შექმნის ჯაჭვში ჩართვას აქვს, რაც მხოლოდ ბიზნესის განსაკუთრებულ მოდელებს შეუძლიათ უზრუნველყონ. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ მრავალჯერ დაადასტურა, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც საქმიანობის დაგეგმვისას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ინტერესებზე ფოკუსირდებიან, შეუძლიათ მოიპოვონ არსებითი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე და მიიღონ საშუალოზე მაღალი მოგება. ამრიგად, ინკლუზიური ბიზნესი კომერციული და სოციალური მიზნების ეფექტიან შეხამებას ეფუძნება.

1. ინკლუზიური ბიზნესის ფენომენი

ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ღირებულების შექმნის ჯაჭვში ჩართვაზე. ინკლუზიური ბიზნესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის, მეორე მხრივ კი ქმნის ფასეულობას წარმოებული საქონლისა და მომსახურების სახით. ასევე, ინკლუზიური ბიზნესის მეშვეობით მრავალ ინოვაციურ პროექტს ეყრება საფუძველი (შაბურიშვილი, 2012). ინკლუზიური ბიზნესის მოდელები მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნებს სინერგიულად აკავშირებენ კომპანიების ოპერაციულ აქტივობებთან. ეს მოდელები მოსახლეობას უმნიშვნელოვანესი სოციოეკონომიკური ფასეულობებით უზრუნველყოფს და ავლენს ბაზრის არსებულ პოტენციალს. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში შესაძლებელია ჩაერთოს, როგორც მოთხოვნის (მომხმარებელი), ისევე მიწოდების მხრიდან (მიმწოდებელი, თანამშრომელი, მეწარმე).

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ ბიზნესს გააჩნია გარკვეული თავისებურებები:

- **სოციალური და კომერციული მიზნების სინერგიული შეთავსება:** ინკლუზიური ბიზნესით დაკავებული კომპანიის მთავარი მისია – სიღარიბის და სოციალური პრობლემების შემსუბუქება, მომგებიანი საქმიანობით ხორციელდება. რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს კომპანიას საზოგადოებისათვის, მით მეტ რესურსებს, ინვესტიციებსა და დაკვეთებს იღებს. ამ დროს მოგებული რჩება არა მხოლოდ კომპანია, არამედ მთლიანად საზოგადოება;
- **სტაბილური სოციალური პერსპექტივა:** ინკლუზიურ ბიზნესში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა გვევლინება ბიზნესის მონაწილედ (პარტნიორი, თანამშრომლი, მომხმარებელი, მიმწოდებელი) და არა დახმარების ან ქველმოქმედების მიმღებად. ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ხელმოკლე მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურ, გრძელვადიან გაუმჯობესებაზე და არა ერთჯერად დახმარებაზე;
- **ინოვაციურობა:** ინკლუზიური ბიზნესი მიზნების მიღწევისათვის უმეტესად ახალ, უნიკალურ მიდგომებს ეყრდნობა. ამ დროს კომპანიის მიზნები მიიღწევა ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რომელიც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა.

ხელმოკლე მოსახლეობას შეუძლია და მზად არის იმისათვის, რომ გადაიხადოს საქონლის და მომსახურების ფასი, თუმცა, ხშირად იჩაგრება „სიღარიბის ჯარიმის" გამო. ზოგჯერ მათ პირველადი მოხმარების საგნებისათვის უფრო მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე მდიდრებს. მაგალითად,

ჯაკარტის, მანილის, ნაირუბის ღარიბი უბნების მცხოვრებნი 5-10-ჯერ მეტ ფასს იხდიან სასმელ წყალში, ვიდრე ამ ქალაქის მდიდარი უბნები და კიდევ უფრო მეტს ვიდრე ლონდონის ან ნიუ-იორკის მცხოვრებნი. „სიღარიბის ჯარიმა" მოქმედებს კრედიტების, ელექტროენერგიის და ჯანდაცვის სფეროშიც. ბიზნესის მოდელები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ფასს ან ახალ პროდუქციას ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შეიძლება საკმაოდ მომგებიანი აღმოჩდეს. მაგალითად, მიკროსესხების გამცემ ორგანიზაციებს, რომლებიც დაბალ-შემოსავლიან მოსახლეობაზეა გათვლილი, მსხვილ ბანკებ-ზე მნიშვნელოვნად მაღალი მოგების ნორმა გააჩნიათ (შაბურიშვილი, 2012).

მსოფლიო მასშტაბით ბევრი კომპანიაა ინკლუზიურ ბიზნესში ჩართული. უკრაინული **Vitmak**-ი სწორედ ასეთი მაგალითია. რამდენიმე წლის წინ, ხელმოკლე უკრაინე-ლებისათვის მაღალი ხარისხის ხილის წვენი დიდ ფუფუ-ნებას წარმოადგენდა. **Vitmak**-მა უკრაინის სამ ქალაქში გახსნა წვენების ქარხანა და დაიწყო პროდუქციის დაბალი ფასით გაყიდვა. საწარმოში დასაქმებულია ადგილობრივი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა, ხოლო ხილს ადგილობ-რივი გლეხებისგან იძენენ. შეთავაზებული ხელფასი საშუალო ადგილობრივ ხელფასზე ერთი მესამედით მაღალია. გარდა ამისა, გლეხებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები, რათა შეძლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მწარმოებლურობის ამაღლება. ამავე დროს, **Vitmak**-მა იმისათვის, რომ გასულიყო დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებელზე, განსაკუთრებული ყურადღება შეფუთ-ვის გამარტივებას მიაქცია, რაც გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასაც ამცირებს. დაბალი შემოსავლების ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის მიუხედავად, **Vitmak**-ის გაყიდვები უკრაინის ბაზრის დაბალი ფასის სეგმენტის 30%-ს შეადგენს. კომპანიის საბაზრო წილი ბაზარზე 10 წელიწადში 7-დან 22%-მდე გაიზარდა (EUNDP, 2009).

ძალიან აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობე-ბის მქონე პირების ბიზნეს პროცესში ჩართვის საკითხი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 15% შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებია (WHO, 2016). კვლევებით დასტურდება, რომ უნარშეზღუდული პირები ერთ-ერთ უღარიბეს კატეგორიას მიეკუთვნებიან. მათ სათანადოდ არ მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტსა და სხვა საარსებოდ საჭირო მომსახურებასა თუ საქონელზე. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით გამძაფრებულია განვითარებად ქვეყნებში.

აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის მიმართულებით ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია Starbucks-ია. ის სხვადა-სხვა სახეობის ყავას აწარმოებს და მსოფლიოში ყველაზე დიდი გასაღების ქსელი გააჩნია. Starbucks-ი უკვე 27 წელია თანამშრომლობს უნარშეზღუდულ პირებთან. კომპანია წელიწადში საშუალოდ 15 უნარშეძრუდულ პირს ასაქმებს, რაც ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად ითვლება, სწორედ ამიტომ, 2014 წელს Starbucks-ი წლის საუკეთესო ინკლუზიურ კომპანიად დასახელდა. უნარშეზღუდული პირები, თავისი შესაძლებლობების შესაბამის პოზიციებზე საქმდებიან, მათ პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები, კომპანიაში არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მეგობრული გარემო. Starbucks-ის დევიზებია: „თუ შენ სტარბაქსის მომხმარებელი ხარ, ყოველი შენაძენით ეხმარები ჩვენთან დასაქმებულ უნარშეზღუდულ პირებს", „ჩვენი წარმატება დაკავშირე-ბულია იმ ფერმერების წარმატებასთან, რომლებსაც მოჰყავთ მოსავალი ჩვენთვის". მსგავსი მოწოდებები კომპანიის მარკეტინგული სტიმულირების კამპანიის უმნიშვნელოვა-ნესი შემადგენელია და ლოიალურად განაწყობენ მომხმა-რებლებს, რაც გაყიდვებისა და შემოსავლების ზრდის წინა-პირობაა (Starbucks, 2017).

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით, დასახელდა 10 საუკეთესო კომპანია, რომლებიც აქტიურად რთავენ უნარშეზღუდულ პირებს ბიზნესში: Prudential Financial, Procter & Gamble, IBM, KPMG, Merck & Co, AT&T, Sodexo, Kaiser Permanente, Comcast NBCUniversa, Northrop Grumman (Diversityinc, 2015).

2. ინკლუზიური ბიზნესის განვითარების შემაფერ-ხებელი ფაქტორები

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების მიმართულებით როგორც შესაძლებლობები, ასევე სირთულეები, ძალზე ბევრია. სოფლის დასახლებები და ქალაქის ღარიბი უბნები ბიზნესის წარმოებისათვის არ წარმოადგენს ხელსაყრელ ადგილს (**Södergren, 2016**). არ არის განვითარებული ან საერთოდ არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა, ღარიბების სამყაროში არ მოქმედებს ფინანსური სისტემა, ეკონომიკა ბარტერსა და ნაღდ ანგარიშსწორებას ეფუძნება. საიმედო სამართლდამცავი და იურიდიული სისტემის არ არსებობის გამო გარიგებები არაფორმალურ ხასიათს ატარებს (EUNDP, 2009). ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია შესაძლებლობა ბიზნესი ჩვეული, სტანდარტული სცენარით წარმართოს.

შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლის გამოც კომპანიები ერიდებიან ხელმოკლე მო-სახლეობასთან საქმის დაჭერას:

- შეზღუდული ინფორმაცია ბაზრების შესახებ. მეწარ-მეებმა ძალიან ცოტა იციან ღარიბების შესახებ, მათ შორის – სამომხმარებლო მისწრაფებები, ფინანსური შესაძლებ-ლობები, მათი, როგორც დაქირავებული მუშაკის, მწარ-მოებლის, მეწარმის მახასიათებლები;
- არაეფექტიანი რეგულირება. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე ხშირად არ არსებობს მარეგუ-ლირებელი მექანიზმები, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას უსაფრთხოს ხდიდა. არ არის უზრუნველყოფილი სამართ-ლებრივი ნორმების და ხელშეკრულების პირობების დაცვა;
- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. ტრანსპორტით, წყლით, ელექტროენერგიითა და კავშირგაბმულობით უზრუნ-ველყოფის სისტემის განუვითარებლობა;
- ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა. დაბალ-შემოსავლიანმა მომხმარებელმა შესაძლოა არ იცოდეს

სხვადასხა პროდუქტის უპირატესობები ან მისი გამოყენება, არ გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია საწარმოო პროცესში ჩასართავად.

• შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე. საბანკო კრედიტის შეზღუდულობა მკვეთრად ამცირებს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შესაძლებლობებს განახორციელოს ინვესტიციები ან მსხვილი შესყიდვები. საბანკო ანგარიშსწორების სისტემის ხელმიუწვდომლობა ზრდის გარიგების განხორციელების დანახარჯებს და რისკს.

3. ინკლუზიური ბიზნესის სტრატეგიები

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი განუხრელად იზრდება. კომპანიები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე არსებულ დაბრკოლებებს თავს ართმევენ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი სტრატეგია: პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა, სტრატეგიული ალიანსების ფორმირება და დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე (EUNDP, 2009). რა თქმა უნდა, ეს სტრატეგიები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებსა და საწარმოს მიზნებს. ამასთან, აუცილებელი კომპონენტი თავად მეწარმის ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნების უნარია.

პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია გულისხმობს საბაზრო ბარიერების გადალახვას ახალი ტექნოლოგიების და ბიზნესპროცესების რეორგანიზების გზით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები იძლევა ასეთი ადაპტაციის საშუალებას, მათ შორის – მობილური ბანკინგი, სმარტბარათები, ტელემედიცინა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დისტანციური მომსახურება. მობილურმა ბანკინგმა შესაძლებელი გახადა ოფისების და ბანკომატების (ინფრასტრუქტურა, რომელიც იშვიათია ღარიბთა დასახლებებში) გარეშე განხორციელდეს ფინანსური მომსახურება. თანამედროვე პირობებში მობილური ტელეფონი მომხმარებელს საშუალებას აძლევს განახორციელოს ფულადი გადარიცხვები, აანაზღაუროს შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, დაფაროს კრედიტის თანხა. ინოვაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შემცირდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენება და გაიზარდოს მწარმოებლურობა.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე თანადაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ჩავარდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა, ხშირად ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები თავად წყვეტენ ასეთ ამოცანებს. ასეთმა ინვესტიციებმა შეიძლება უზრუნველყოს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო უპირატესობები. მაგალითად, თანამშრომლების სწავლებით საწარმო ამაღლებს კადრების კვალიფიკაციას და იმყარებს საკუთარ პოზიციებს, ამასთან, კვალიფიციურ კადრებს უფლება აქვთ გადავიდნენ სხვა კომპანიებში სამუშაოდ, რითაც მთლიანად საზოგადოება სარგებლობს. დამატებითი სოციალური სარგებლის არსებობა სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების მხრიდან თანადაფინანსების პერსპექტივებს წარმოშობს. ასეთი ინსტიტუტები, მათ შორის დონორები, მეცენატები, არაკომერციული სოციალური საინვესტიციო ფონდები, მთავრობა, კერძო სექტორს საშუალებას აძლევს თანადაფინანსებით (გრანტები, სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები) შექმნას სოციალური პროდუქტი.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება, მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა. როგორც წესი, დაბალშემოსავლიანი ადამიანები ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე საწარმოს საკვანძო პარტნიორებია. ხელმოკლე მოსახლეობის მიზიდვით და მათი სოციალური ქსელების გამოყენებით კომპანიებს, დანახარჯების შემცირების გარდა, შეუძლიათ გაიუმჯობესონ ბაზრის ხელმისაწვდომობა, ნდობა და გამჭვირვალება. ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების ცოდნა და ნდობა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ხელმოკლე მოსახლეობის აქტიური ჩართვით ბიზნესში, იქნება ეს ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროდუქტის აწყობა და შეკეთება, მომარაგება თუ სწავლება. გარდა ამისა, ხშირად თავად ხელმოკლე ადამიანებს უჩდებათ ინოვაციური იდეები ახალი საქონლისა ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით ინკლუზიურ ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. ასეთი თანამშრომლობა საერთო მიზნის მქონე საწარმოების რესურსების გაერთიანებას ემყარება. ალიანსმა შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს: დაპატენტებულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გაცვლა, საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება, კვლევების ერთობლივი დაფინანსება, პარტნიორის პროდუქციის გასაღება საკუთარი ქსელების მეშვეობით და ა.შ. სტრატეგიული ალიანსები იქმნება როგორც საპასუხო რეაქცია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებისათვის დამახასიათებელ სირთულეებზე და ინკლუზიური ბიზნესის განვითარების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელმოკლე მოსახლეობასთან ბიზნესის წარმოებისას. ყველა ის პრობლემა, რომელსაც ბიზნესი აწყდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე საქმიანობისას, მეტნაკლებად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან. ხშირ შემთხვევაში საწარმო ნახულობს შემოქმედებით გზებს, რათა დაძლიოს ბაზარზე არსებული პრობლემები, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, განათლებაში და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაში

ინვესტირებით, სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით. ბიზნესის ზოგიერთ მიმართულებაში საბაზრო სირთულეების დაძლევა კერძო ინიციატივებით შეუძლებელია, ამიტომ მათი სტრატეგია მთავრობასთან დიალოგია. ეს რთული და ხანგძლივი პროცესია, რომელში მონაწილეობითაც ბიზნესს შეუძლია მთავრობას მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. ხშირად ასეთ დიალოგს შეიძლება მარეგულირებელი ნორმების გამყარებაც მოჰყვეს, რაც ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს.

დასკვა

ინკლუზიურ მოდელს ბიზნესისათვის მოაქვს არა მარტო მოგება და მაღალი შემოსავლები, ის ასევე უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, დასაქმების ზრდას, პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერებას. დაბალი შემოსავლების ადამიანებს ინკლუზიური ბიზნესი საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, მოიპოვონ სტაბილური შემოსავალი და აამაღლონ პროდუქტიულობა. გარდა ამისა, ინკლუზიური ბიზნესის მოდელი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განვითარებულ ქვეყნებში ინკლუზიური ბიზნესის აღმავლობა განპირობებულია საზოგადოების წარმატებული წევრების სოციალური აქტიურობის, პასუხისმგებლობის ზრდით, სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცელებით, სამეწარმეო პრაქტიკისა და სოციალური მისიის წარმატებული კომბინაციით. ამიტომ საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრები თავისთავად ემსახურება ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას. თუ გავითვალისწინებთ ქართული წარმატებული კომპანიებისათვის დამახასიათებელ სოციალური პასუხისმგებლობის მზარდ ტენდენციას, ქართველების მისწრაფებას სწრაფად აუწყონ ფეხი მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ ტენდენციებს, ასევე იმას, რომ ინკლუზიური ბიზნესის მხარდაჭერა ისეთივე რესპექტაბელურია როგორც ქველმოქმედება, ამავდროულად უფრო თანამედროვე და ეფექტიანი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინკლუზიურ ბიზნესს საქართველოში კარგი პერსპექტივა გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Diversityinc. (2015). The DiversityInc Top 10 Companies for People With Disabilities. http://www.diversityinc.com/top-10-companies-people-with-disabilities/ (ნანახია 9.05.2017).
2. EUNDP. (2009). Business Solution to poverty — How inclusive business models create opportunities for all in Emerging Europe and Central Asia. UNDP Regional Bureau for Europe and the Commonwealth of Independent States. http://www.growinginclusivemarkets.org/media/report/rbecreport_EN_websmall.pdf (ნანახია 12.05.2017).
3. Meskhia, I., Shaburishvili, S. (2014). Major Threats to Economic Stability in the Post-communist Georgia: Reality and Prognosis. Organization in changing environment (pp. 31-44). Warsaw: Studio Emka.
4. Södergren, K. (2016). Inclusive Business Perspectives. Associate, Social Capital, WBCSD, Inclus http://www.inclusive-business.org/inclusive-business.html (ნანახია 19.02.2017).
5. Starbucks. (2017). What is the role and responsibility of a for-profit, public company? Starbucks, https://www.starbucks.com/responsibility (ნანახია 3.04.2017).
6. WHO. (2016). World Health Statistics. WHO, http://www.who.int/gho/publications/world_health_statistics/2016/EN_WHS2016_Chapter3.pdf?ua=1 (ნანახია 9.04.2017).
7. (2017). სიღარიბის მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo, ნანახია 11.05.2017).
8. შაბურიშვილი, შ. (2012). სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები. ეკონომიკა და ბიზნესი N3, 101—113.

THE PECULIARITIES OF INCLUSIVE BUSINESS DEVELOPMENT UNDER GLOBALIZATION

SHOTA SHABURISHVILI
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.011

KEYWORDS: INCLUSIVE BUSINESS, POVERTY, VALUE CHAIN, BUSINESS MODEL, ECONOMIC DEVELOPMENT

SUMMARY

Inclusive business is an emerging field in Georgia. For Inclusive business successful samples and sharing information (as on national level as on international level) are necessary. Inclusive business models include people with low incomes on the demand side as clients and consumers, and on the supply side as employees, producers and entrepreneurs at various points in the value chain. They build bridges between business and people with low incomes, for mutual beneit. The beneits from inclusive business models go beyond immediate profits and higher incomes. For business, they include winning new consumers, expanding the workforce, and strengthening supply and delivery chains. And for people with low incomes, they include meeting basic needs, having sustainable earnings, and achieving higher productivity. In addition, the models can be designed in a way that uses environmental resources sustainably.

CONFLICTS OF INTEREST AT ANY GOVERNANCE LEVEL OF EU FUND MANAGEMENT

LELA KAMLADZE
Doctor of Economics,
Visiting Specialist at Akaki Tsereteli Kutaisi State University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.012

KEYWORDS: CONFLICT OF INTEREST, GOVERNANCE LEVEL, MANAGEMENT OF EU FUNDS

This study aims to understand how the European Union member state administrations is involved in the shared management of EU funding (e.g. the European Structural and Investment (ESI) Funds), ensure the integrity of relevant decision-making and management processes. The study takes an interest in both, 'soft' and 'hard' law approaches, e.g. codes of conduct and legislation on the prevention of Conflicts of Interest. The Specifications for the study rightly emphasise 'the high levels of administration at the regional level' (p. 2). Indeed, it is at this level, that in many member states most of the relevant decisions regarding the deployment of the European Structural and Investment (ESI) Funds are taken, and that therefore require attention to avoiding Conflicts of Interest. Finally, the study aims not only to establish an overview of the existing approaches (comparing, inter alia, between legislation and codes of conduct) to addressing Conflicts of Interest, but also takes an interest in their effectiveness, and in possible future improvements, drawing, inter alia, on best practices in and outside the EU.

Several research tools were deployed to answer the research questions:

1. Desk research;
2. Case studies.

Until today, the competence for implementing Community law has, as a principle, stayed with the MS, and their organisational and institutional structures are protected under the procedural autonomy doctrine. Moreover, the principles of subsidiarity, proportionality, enumerated competence and safeguarding national identity and institutional autonomy of the MS reflect this classic picture of clear delineation between the EU and the national administrations.

As a consequence of the distribution of tasks and the functional separation between the EU and the member sat as a clear area of tension exists between the principle of institutional autonomy of the MS and the duty to 'implement' community policies effectively, as enshrined in Article 197 paragraph 1 TFEU. During the past decades the European Court of Justice has interpreted concepts such as the 'correct implementation of community policies' more strictly and linked it to the principle of effectiveness. This also applies to the duty to effectively safeguard community financial interests.

Despite the fact that (as a principle) implementation falls under MS responsibility, it is certainly true that especially as regards the implementation of the ESI Funds, today, there is no more a clear dividing line between EU administrative law and national administrative law and also not between EU administration and national administration as the scholarly discussions on the Europeanisation of public law, and Europeanisation of administrative law illustrate. For example, forms of administrative 'engrenage' can best be observed as regards the effects of the so-called partnership principle which links European, national, regional and local administrations. Another example for the 'fusion' of administrations is OLAF which assumes important monitoring and surveillance functions as regards the protection of community financial interests on the European but also on the national and regional level. Notwithstanding, OLAF and the EC rely on the 'goodwill' of the MS to implement the EU funds effectively.

The EC has only few possibilities to monitor and to enforce its own policies on the local level. Therefore, the EC is using other channels to make sure that (not only) community financial interests are properly implemented. For example, the EC is funding various public administration reforms in many EU Member states and uses the ESF to support capacity building, anti-fraud- and anti-corruption policies etc.. Implementing European CoI requirements in the field of the ESI Funds faces additional challenges compared to the national level. In its report 'Making the best use of EU money: a landscape review to the risks of the financial management of the EU budget', 30 the European Court of Auditors discuss a large variety of reasons and factors which explain risks in the implementation of EU funds. Corruption, fraud and conflict of interests are one reason, amongst many others. One reason can also be found in the legal and institutional structure of the EU and the lack of powers as regards the implementation of EU policies on the national level, weak monitoring and enforcement capacities and the existence of an accountability gap on the side of the MS: 'Member States are obliged to report only on the elements that are included in the legal basis on monitoring and reporting. If the above cases are not considered irregularity they will not be mentioned in the irregularity reports either. Nevertheless, as the EC participates in the MC meetings it can pay attention on the extent to which the guidance is applied and discuss this with the MAs in bilateral review meetings' (DG EMPL).

Another problem concerns the above mentioned 'accountability gap'. While the MS are responsible for spending approximately 80% of the EU budget under shared management arrangements, it is the EC that is ultimately responsible for supervising and implementing the EU budget, in turn, overseen by the EP's Committee on Budgetary Control, e.g. in the context of the discharge procedure. As DG Employment replied to this study: 'EC communicates related

rules to the ESIF Managing Authorities, which could be both at national or regional level.

The formal channel is the expert group (the ESF technical working group, for example) where all guidance is presented and discussed. From time to time, there are meetings of that group specifically dedicated on fraud prevention, where OLAF also takes part and presents their experience and recommendations. Due to the big number of managing authorities however not all of them are represented in the expert groups. Therefore, in some countries with several dozens of OP the only channel is the direct communication between the geographical desks, managing the OPs and the respective national/regional bodies. The role of the national coordination and audit bodies in these cases also is critical'.

According to Mögele (2016), this form of institutional cooperation produces a paradox: Although MS are actively involved in the management and implementation of the EU budget and accountable to the EC (and may be sanctioned in case of unprofessional spending), it is the EC which takes ultimate responsibility. This is also confirmed by the Art. 59 of the EU Budget which gives the political responsibility for the execution of the budget to the EC. Accordingly, the EC is also accountable for those acts for which the MS are responsible. This again means that – on the national level - the monitoring of EU funds is not taken care of in the same way as the national funds and accountability mechanisms differ as regards the implementation of EU funds.31 Since EU funds are spent via 28 national administrations and many regional and local authorities with unequal administrative capacity (skills and resources) this increases the risk of errors occurring, as well as the risk of poor quality spending.

As our case studies have shown, the biggest challenge is not the lack of rules and codes, but the lack of awareness about potential CoI, the lack of ethical leadership in MCs, the lack of transparency, and the poor management and the institutionalisation of CoI policies in the MCs. In most cases, more regulation is not required in those situations or countries where high levels of public trust exist. We believe that the existing rule-based approaches are necessary, but must be complemented by soft approaches, ethical leadership and investments in transparency. A transparent system that can be observed by everyone as a matter of course will also demonstrate to members of the public and others who deal with the implementation of the ESI Funds that the MCs perform their role in a way that is fair and unaffected by improper considerations. Therefore, we believe that protocols and voting behavior should be published and CoI more intensively discussed. The latter requires an active role by the MC chairperson.

We are also critical as regards the effectiveness of codes and guidelines. Adopting a code of conduct is not sufficient. In most MCs, EU-guidelines are not well known. Also on the national level, much time and energy is usually spent in designing, formulating, and adopting a code but many institutions stop here. The code remains a 'paper tiger' and is never implemented or monitored. The future challenge should be to 'utilise the dynamics' which have emerged from the formulation of the code. This will support a continuous process of reflection on the central values and standards contained in the code. Thus, it would be important, if politicians and public servants meet on a regular basis and discuss (and update) the existing code (s).

Overall, Ethics and CoI policies should not be a 'plug-in policy' that fills the gaps that other policies and other governance logics produce. It is time to acknowledge that ethics is not only a normative question. It is a practical, daily-life issue. Most important thing is to have a credible monitoring and control mechanism in place, the crucial issues being transparency and accessibility of information, monitoring and enforcement. While we do not suggest the introduction of more rules and more codes, we believe that countries should invest in monitoring (the effectiveness of their own) CoI policies and nominate existing bodies (e.g. the ombudsman) to carry out regular CoI tests and reports.

CoI policies are an expression of distrust. We believe that in the future, the public will continue to question practices where public institutions and/or politicians regulate their own ethical conduct. Any form of self-regulation will continue to cause suspicion. This also relates to the MCs. Our findings suggests that it may be advisable to establish an independent CoI commission and/or independent compliance officer who should carry out these tasks.

Size of a country and relationship with CoI – the case of Estonia. With a population of under 1.3 million, Estonia is one of the smallest countries in Europe. The size of the population influences CoI in the public sector. However, this does not suggest that only because Estonia is a small country, it has higher levels of CoI (in reality, it has relatively low levels of corruption, fraud and CoI). Still, the size of the country relates to CoI. First, because few actors are working in the administration. This again means that people know each other (personally) which again means that decision making, coordination and communication structures are less formalised and anonymous than in bigger administrations. Thus, the fact that the public workforce is small may have positive (side-effects through more possibilities for social control of actors) and/or negative effects because of enhanced possibilities to create networks and personal ties which make it more difficult to maintain strictly formalised decision-making procedures and processes. Another problem is the high labour turnover in the public sector. High turnover favours high levels of interaction between the public and private sectors, facilitates corruption and weakens institutionalised knowledge. This again may support the appearances of CoI.

Overall, in all of our case-studies there is no evidence pointing to much awareness of CoI as affecting the MCs or related sub-committees. In many cases, stakeholders consider that the issue of CoI is not relevant in the first place in the context of the MCs. This is somewhat contradictory since the MC rules of procedure, in some (but not all) cases actually refer to CoI, thus addressing the requirements spelled out in the EU regulatory framework for the ESI Funds. However, there is no specific guidance on CoI in the context of the MCs. As regards the implementation of CoI in the MC meetings, we conclude that, in most cases, there is no operationalisation of

the CoI rules (where they exist). The lack of operationalisation is explained by a lack of awareness that CoI can in fact become relevant for MCs. Moreover, as the ES case illustrates, the focus is strongly on anti-fraud measures, looking primarily at public procurement.

For many years, international research on ethics and integrity has focused on the characteristics and prevalence of high performance ethics infrastructures. Much of this literature assumes that high performance ethics infrastructures constitute 'best practice' and universally applicable management, although a distinction can be drawn between those arguing for a contextual best-fit approach and those arguing for more of a best-practice approach, based on a belief in the more universal advantages of these systems. The best-practice approach is based on the belief that ethics infrastructures can be used in any organisation and the view that all organisations can improve performance if they identify and implement best practices.

In the meantime, there is considerable consensus on what constitutes bad practices, for example, the absence of codes of ethics, poor leadership, unfair HR policies, lack of training, unprofessional performance measurement etc..

However, it is much more difficult to identity institutional best practices, although the search for benchmarks is becoming ever more popular. Still, it is possible to continue the work on 'common elements' and 'good practices' that really work in the field of CoI. The contours of an approach to establishing effective CoI policies are steadily coming into view, and comprise aspects such as measurement of CoI; strengthening the focus on transparency, openness and accountability; supporting efforts to tackle CoI through cycles of awareness raising and learning about the risks of CoI; systematic monitoring and evaluation of effectiveness; and paying more attention to implementation, compliance and results and not only the implementation of rules.

Overall, the search for best ethics infrastructures is confronted with a context and institutionbased, fragmented and pragmatic reality. Overall, institutional differences – notably the levels of budgetary resources, social legitimacy, work systems, labour markets, education and training systems, work organisation and the collective organisation of employers and employees – mediate the impact of converging processes.

Consequently, the proposition for implementing institutional and organisational best practice models such as ethics infrastructures is ambiguous. In fact, the political and institutional world is currently moving away from universal or even European best-practice institutional configurations towards more specific best-fit context-related models. New developments lean more towards the testing of new innovative organisational models and work systems that fit into the national, regional, local or even organisational context.

Current discussions in the field of CoI also turn away from the 'grand old' dichotomy: valuebased approaches versus compliance-based approaches. This can best be seen in the field of CoI, where countries have started to realise that the management of CoI does not work without clear rules, formal procedures, and strong enforcement mechanisms but also not without softinstruments, awareness raising, strong leadership, independent ethics committees, registers of interest and more and better management capacity. Overall, countries are also starting to test new instruments like staff-assessments on CoI and integrity, monitoring integrity policies on the governmental level and introducing better registers that collect data on CoI violations.

As regards the MCs under the ESI Funds, we have concluded that:

a) There is too little awareness about the importance of CoI in MCs; there is also too little discussion on CoI. Therefore, we suggest to invest in awareness raising instruments, also at the EU level, through ESF-funded programmes in the fields of Public Sector Modernisation and Capacity Building.

b) Mostly, the MC rules of procedures address CoI, if at all, very cursorily. We suggest that each MC should have CoI guidelines at hands. There is no need to produce new ones, as best-practices exist (EU guidelines, OECD-toolkits). This is only a matter of better internal distribution and communication.

c) Frequently, MCs are not transparent as regards the management of CoI. We suggest to publish protocols of meetings and voting behavior and, for the purpose of research and scrutiny, to collect these reports in publicly available databases (respecting, of course, existing rules on data protection and privacy).

d) Often, the chairperson does not discuss CoI in the MC because priorities are set elsewhere. This is also due to a lack of ethical leadership and awareness as regards the importance of the issue. Here, ethical leadership is important. Chairpersons need to be trained in the field of CoI and should be obliged to discuss CoI during committee proceedings.

e) Involvement of external experts in the proceedings as well as in training and awareness raising can help eliminate blind spots and identify systemic weaknesses. Experts could, e. g., be consulted in elaborating risk management strategies, providing guidance and instructions as well as distributing roles and responsibilities to identify and mitigate CoI risks.

f) Most countries have no information and data on the development of CoI under the ESI Funds. There is also very little monitoring in the field of CoI. We believe that monitoring and reporting on CoI is of utmost importance. Without asking for the establishment of a new ethics/CoI bureaucracy, we suggest to ask existing authorities and bodies in the field to regularly report on the development of CoI. Good practices exist in NL and NO.

REFERENCES:

1. Anechiarico, F. & Jacobs, J. (1996) The Pursuit of Absolute Integrity. How Corruption Control Makes Government Ineffective.
2. Bertók, J. & Maesschalck, J. (2009) Public Sector Ethics: an infrastructure. In: OECD (Eds.): No longer business as usual – Fighting Bribery and Corruption.
3. Demmke, C. et al. (2008) Regulating Conflicts of Interest for Holders of Public Office in the European Union, European Institute of Public Administration.
4. Lascoumes, P. (2014) Condemning corruption and tolerating conflicts of interest: French arrangements regarding breaches of integrity, in: Auby, J.B., Breen, E. & Perroud, T. (eds) Corruption and Conflicts of Interest, A Comparative Law Approach.

CONFLICTS OF INTEREST AT ANY GOVERNANCE LEVEL OF EU FUND MANAGEMENT

LELA KAMLADZE
Doctor of Economics,
Visiting Specialist at Akaki Tsereteli Kutaisi State University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.012

KEYWORDS: CONFLICT OF INTEREST, GOVERNANCE LEVEL, MANAGEMENT OF EU FUNDS

SUMMARY

This study reviews the Member States' experience with codes of conduct and conflicts of interest affecting the partnership arrangements under the European Structural and Investment Funds. The focus is on conflicts of interest affecting the Monitoring Committees under the European Regional Development and European Social Fund. The study reviews the rules and other approaches to deal with conflicts of interest, discusses best practices and ends with conclusions and recommendations advocating a complementary rule and value based approach supported by transparency and ethical leadership.

მაკროეკონომიკა, ფინანსური ბაზრები, სოციალურ-ეკონომიკური სფერო და სისიტემური პრობლემები

MACROECONOMICS, FINANCIAL MARKETS, SOCIO-ECONOMIC SPHERE AND PROBLEMATIC PROBLEMS

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოთვლის თეორიული საფუძვლები

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.013

გოჩა თუთბერიძე
ეკონომიკის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, პრორექტორი, საქართველო

გივი რაქვიაშვილი
ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

ქეთევან ფიფია
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ჯინის ინდექსი, ჰუვერის ინდექსი, ტეილის ინდექსი, ატკინსონის ინდექსი

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა ამოცანების, კვლევაში თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ნიშნავს ეკონომიკური მოდელების შედგენის დროს მათემატიკისა და ბუნებისმეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევების ფართო გამოყენებას, რისი მაგალითიცაა ეკონოფიზიკის, სოციოფიზიკის და სხვა სამეცნიერო მიმართულებების წარმოქმნა. საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზისას გამოიყენება ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორებიცაა ჯინის ინდექსი, ჯინის განზოგადებული ინდექსი, ჰუვერის ინდექსი, ტეილის პირველი და მეორე ინდექსები, ატკინსონის პირველი და მეორე ინდექსი და სხვა. სტატიაში ჩვენ შევეხებით ამ ინდექსების სხვადასხვა გამოსახულებებს შორის კავშირს, დავამტკიცებთ, რომ ზოგიერთი მათგანი ერთმანეთს ემთხვევა და გამოვიანგარიშებთ მათ მნიშვნელობებს რიგი ქვეყნებისათვის: აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, ესტონეთი, თურქეთი, იაპონია, ირანი, ისრაელი, იტალია, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ჩინეთი.

მაგრამ ამ რაოდენობრივი მონაცემების ეკონომიკურ ინტერპრეტაციას სჭირდება ისეთი ეკონომიკური კატეგორიების კონცეპტუალური, თვისობრივი ანალიზი, როგორებიცაა სიღარიბე, საშუალო კლასი, უმუშევრობა, დასაქმება, საარსებო მინიმუმი და სხვა, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია გამოთვლილი რაოდენობრივი მახასიათებლების მეტ-ნაკლებად გონივრული გამოყენება.

მაგალითად ავიღოთ **სიღარიბე** და **სოციალური გამონაკლისობა.** სიღარიბე მრავალმხრივი ცნებაა. სიღარიბის ცნება, რომელიც ევროპაში საყოველთაოდაა აღიარებული, ევროსაბჭოში მიიღეს ჯერ კიდევ 1975 წელს [1]:

„ღარიბებად ითვლებიან პირები, რომელთა შემოსავლები და რესურსები შეზღუდულია იმდენად, რომ არ აძლევს მათ საშუალებას ეწეოდნენ მინიმალურად მისაღებ ცხოვრებას იმ საზოგადოებაში, რომლის წევრებიც არიან. თავისი სიღარიბის გამო მათ ბევრი რამ აკლიათ, რაც გამოიხატება უმუშევრობაში, დაბალ შემოსავალში, ცხოვრების ცუდ პირობებში, სამედიცინო მომსახურების დაბალ დონეში, ბარიერებში, რომლებსაც აწყდებიან კულტურაში, სპორტში, დასვენებაში, უწყვეტი განათლების მიღებაში. ასეთ ადამიანებს ხშირად არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ისეთი სახის საქმიანობებში (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ), რაც ნორმას წარმოადგენს სხვა ადამინებისათვის, და მათი წვდომა ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებთან შეზღუდულია.“

ასეთი განმარტება ეხება საზოგადოებას და ცხოვრების დონეს, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები, და ის მოიცავს სიღარიბისა და სოციალური გამონაკლისობის მრავალ შემთხვევას. 2002 წელს ევროსტატის (Eurostat – ევროკავშირის სტატისტიკური სამსახური) მიერ შემოთავაზებულ იქნა სოციალური გამონაკლისობის რაოდენობრივი შეფასების კონცეპტუალური საფუძველი, რომლის მიხედვით სიღარიბე შემოსავლების მიხედვით არის სოციალური გამონაკლისობის ერთ-ერთი ასპექტი.

იმედია, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ჩვენს მიერ გამოთვლილი რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე მოხერხდება საქართველოს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის უკეთესი ანალიზი.

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის თვისობრივი შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და თანამედროვე მეთოდად წარმოგვიდგება მისი, გარკვეული აზრით, აქსიომატიზაციის ცდა, რომელიც ეკუთვნის Lorenco Bellu-ს და სხვებს: Inequality and Axioms for its Measurment [2] (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია – Food and Agriculture Organization of the United Nations, FAO). თუმცა ცხადია, რომ აქ „აქსიომატიზაციაში“ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი პრინციპები, რომლებსაც შესასწავლი რაოდენობრივი მახასიათებლები შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდნენ.

ბელუს და სხვ, ნაშრომში შემოტანილია უთანაბრობის კვლევის აღწერითი და ნორმატიული მეთოდები, რომლებსაც ჩვენ ზემოთ რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი ვუწოდეთ, და აღნიშნულია, რომ აღწერითი ანალიზის

დროს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავაფიქსიროთ მოცემული მახასიათებლის გადახრა ეტალონისაგან, მაგრამ ვერ დავასკვნით, ეს კარგია თუ ცუდი; ავტორები აღნიშნავენ, რომ აღწერითი ანალიზი ძირითადად გვხვდება მათემატიკური ფორმულების სახით. ზუსტად აღწერითი ანალიზის ასპექტში მიმართავენ ავტორები აქსიომატური აგების მეთოდს, რაც ბუნებრივად მიგვაჩნია, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, აღწერითი ანალიზის გარეგნული ფორმა მათემატიკური ფორმულებია, რომლებიც კარგად ემორჩილებიან აქსიომატიკას.

ნორმატიული მიდგომა ანალიტიკოსს საშუალებას აძლევს შეაფასოს შემოსავლების განაწილება „სასურველობის დიდი და მცირე ხარისხსის" მიხედვით. სხვა სიტყვებით, ასეთი მიდგომის დროს ხდება შეფასება, ეს უთანაბრობა ცუდია თუ კარგია, რამდენადაა ცუდი ან რამდენადაა კარგი, რამდენად მოიგებს ან წააგებს საზოგადოება ამის გამო, და როგორ შევადაროთ ინდივიდუალური შემოსავლები.

ბელუს ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ხუთი ძირითადი აქსიომა:

1. ტრანსფერების აქსიომა; ცნობილია ასევე, როგორც პიგუ–დალტონის (Pigou–Dalton) პრინციპი;
2. სკალარული ინვარიანტობის აქსიომა;
3. გარდაქმნათა ინვარიანტობის აქსიომა;
4. პოპულაციის რეპლიკაციის აქსიომა;
5. დაშლადობის აქსიომა.

აღვწეროთ თითოეული მათგანი.

ტრანსფერების აქსიომა მოითხოვს, რომ ინდექსი უნდა მცირდებოდეს შემოსავლების მდიდრებიდან ღარიბებისკენ ტრანსფერის (გადანაწილების) დროს და ინდექსი უნდა იზრდებოდეს, როდესაც ტრანსფერი ხდება ღარიბებიდან მდიდრებისკენ.

სკალარული ინვარიანტობის აქსიომა მოითხოვს, რომ ინდექსი არ უნდა იცვლებოდეს ინდექსების ერთიდაიგივე რიცხვზე გამრავლების დროს.

გარდაქმნათა ინვარიანტობის აქსიომა მოითხოვს, რომ ინდექსი არ უნდა იცვლებოდეს, თუ მონაცემებს მივუმატებთ ერთიდაიგივე სიდიდეს.

პოპულაციის რეპლიკაციის აქსიომა მოითხოვს, რომ ინდექსი არ უნდა იცვლებოდეს, თუ მონაცემებს გავიმეორებთ, ანუ, უფრო ზუსტად, თუ გვაქვს შემოსავლების ორი განაწილება

$$y = (y_1, y_2, ..., y_n), \quad y = (y_1, y_1, y_2, y_2, ..., y_n, y_n),$$

რომლებიდანაც მეორე მიიღება პირველისაგან მონაცემთა განმეორებით, მაშინ მათი შესაბამისი ინდექსები ტოლი უნდა იყოს.

დაშლადობის აქსიომა მოითხოვს, რომ თუ შემოსავლების საწყისი y განაწილება გონივრულად დაყოფილია $\mathrm{y}_1, \mathrm{y}_2, ..., \mathrm{y}_n$ განაწილებებად, მაშინ y–ის ინდექსი ტოლია $\mathrm{y}_1, \mathrm{y}_2, ..., \mathrm{y}_n$ შემოსავლების განაწილებების ჯამისა:

$$\mathrm{I(y)} = \mathrm{I(y_1)} + \mathrm{I(y_2)} + ... + \mathrm{I(y}_n).$$

უნდა ავღნიშნოთ, რომ საყოველთაოდ აღიარებული ინდექსები შეიძლება არ აკმაყოფილებდნენ ზოგიერთ აქსიომას; მაგალითად, ჯინის ინდექსი, ტეილის ინდექსისგან განსხვავებით, არ აკმაყოფილებს დაშლადობის აქსიომას.

ჯინის კოეფიციენტი. როგორც ვიცით, ჯინის კოეფიციენტი ასახავს დოვლათის განაწილების უთანაბრობას ქვეყანაში. იგი იტალიელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა კორადო ჯინიმ (Corrado Gini, 1884–1965) შემოიტანა 1912 წელს ([3],[4]). საზოგადოდ, ჯინის კოეფიციენტი არის მაკროეკონომიკური, სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს რაიმე გამოსაკვლევი თვისების მიმართ საზოგადოების ფენებად დაშლის ხარისხს და წარმოადგენს ამ თვისების ფაქტიური განაწილების შეფარდებას აბსოლუტურად თანაბარ განაწილებასთან. კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 – რომ უთანაბრობა მაქსიმალურია. თუ ჯინის კოეფიციენტს გავამრავლებთ 100–ზე, მაშინ მივიღებთ მის პროცენტულ გამოსახულებას, რასაც ჯინის ინდექსი ეწოდება.

ჯინის ინდექსის აღწერის ორ ხერხს განვიხილავთ:


1. ლორენცის წირის საშუალებით;
2. კოვარიაციის საშუალებით.

არსებობს ასევე ჯინის ინდექსის სხვადასხვა განზოგადოებაც; ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ მათგანს.

პირველ შემთხვევაში ჯინის ინდექსის გამოსათვლელად უნდა ავაგოთ მოცემული ქვეყნის ლორენცის წირი [5] თანაბარი განაწილების წრფესთან ($y=x$ განტოლების გრაფიკთან) ერთად; ამასთან OX ღერძზე გადაიზომება მოსახლეობის რაოდენობა დაგროვებით ნაწილებში, ხოლო OY ღერძზე კი – მოხმარებული სიკეთე ისიც დაგროვებით ნაწილებში. დაგროვებითი ნაწილები ნიშნავს შემდეგს: ვთქვათ, მოსახლეობის 0,2 ნაწილი ფლობს მშპ–ს (მთლიანი შიდა პროდუქტის) 0,1 ნაწილს, შემდეგი 0,3 ნაწილი ფლობს მშპ–ს 0,2 ნაწილს, 0,4 ნაწილი ფლობს მშპ–ს 0,3 ნაწილს და დარჩენილი 0,1 ნაწილი ფლობს დარჩენილ 0,4 ნაწილს; მაშინ 0,2+0,3=0,5 დაგროვებითი ნაწილი ფლობს 0,1+0,2=0,3 დაგროვებით ნაწილს, 0,2+0,3+0,4=0,9 დაგროვებითი ნაწილი ფლობს 0,1+0,2+0,3=0,6 დაგროვებით ნაწილს, და 0,2+0,3+0,4+0,1=1 დაგროვებითი ნაწილი ფლობს 0,1+0,2+0,3+0,4=1 დაგროვებით ნაწილს. დაგროვებით ნაწილს კუმულაციურ ნაწილსაც ეძახიან.

განმარტება 1. *ჯინის კოეფიციენტი ეწოდება ლორენცის წირსა და თანაბარი განაწილების წრფეს შორის მოთავსებული ფიგურის ფართობისა და თანაბრობის წრფის ქვემოთ მდებარე სამკუთხედის ფართობების შეფარდება (იხ. ნახ.1):*

G=A/(A+B). (1)



ნახ. 1. ჯინის ინდექსის გამოთვლა ლორენცის წირის საშუალებით

თუ გავითვალისწინებთ, რომ A+B=1/2, მაშინ (1) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$G = 2A = 2(1/2 - B) = 1 - 2B. \quad (2)$$

თუ ლორენცის წირის განტოლებას ავღნიშნავთ $L(x)$ –ით, მაშინ ნიუტონ–ლაიბნიცის ფორმულის მიხედვით

$$B = \int_0^1 L(x)\,\mathrm{dx},$$

საიდანაც (2)–ის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$G = 1 - 2\int_0^1 L(x)dx. \quad (3)$$

პრაქტიკაში ლორენცის წირი გვხვდება ტეხილის სახით და მისი გამოთვლა ინტეგრალის გარეშე უფრო მოსახერხებელია. მართლაც, ვთქვათ, საზოგადოების p_i ნაწილი, $i = 1, 2, ..., n$, $p_1 + p_2 + ... + p_n = 1$, ფლობს q_i ნაწილს რაღაც თვისებისას, $i = 1, 2, ..., n$, $q_1 + q_2 + ... + q_n = 1$. თუ გადავიყვანთ ამ მონაცემებს დაგროვებით ფორმაში, გვექნება, რომ საზოგადოების $r_i = p_1 + p_2 + ... + p_i$ ნაწილი ფლობს რაღაც თვისების $s_i = q_1 + q_2 + ... + q_i$ ნაწილს. მაშინ შესაბამისი ფართობების პირდაპირი გამოთვლებით ადვილად მიიღება [3], რომ

$$G = 1 - \sum_{i=1}^{n} (\mathrm{r}_i - r_{i-1})(\mathrm{s}_i + s_{i-1}). \quad (4)$$

ჯინის ინდექსის კოვარიაციით გამოთვლისთვის გავიხსენოთ მისი განმარტება: თუ მოცემულია შემთხვევითი სიდიდეები

$$X = \begin{pmatrix} x_1, & x_2, & ..., & x_n \\ p_1, & p_2, & ..., & p_n \end{pmatrix},$$

$$Y = \begin{pmatrix} y_1, & y_2, & ..., & y_n \\ q_1, & q_2, & ..., & q_n \end{pmatrix},$$

მაშინ მათი კოვარიაცია [6] ეწოდება სიდიდეს

$$\mathrm{cov}(\mathrm{X}, \mathrm{Y}) = E[(X - E[X])(\mathrm{Y} - \mathrm{E[Y]})] = E[\mathrm{XY}] - E[X]E[Y]$$

სადაც $E[X]$ არის მათემატიკური ლოდინი [6].

წინადადება 1. დავუშვათ,

$$p_1 = p_2 = ... = p_n = 1/n, \ \mathrm{q} = (\mathrm{q}_1, \mathrm{q}_2, ..., \mathrm{q}_n),$$

$$q_1 \le q_2 \le ... \le q_n;$$

მაშინ ჯინის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$G = \frac{2}{E(\mathrm{q})} Cov(\mathrm{q}, F(\mathrm{q})), \quad (5)$$

სადაც $F(q) = \left(\frac{1}{n}, \frac{2}{n}, ..., \frac{n}{n}\right)$.

დამტკიცება. რადგან განმარტების თანახმად

$$q \cdot F(q) = \left(\frac{q_1}{n}, \frac{2q_2}{n}, ..., \frac{nq_n}{n}\right),$$

ამიტომ

$$\mathrm{E(q \cdot F(q))} = \frac{q_1/n + 2q_2/n + ... + nq_n/n}{n} = \frac{q_1 + 2q_2 + ... + nq_n}{n^2}$$

ასევე, რადგან $q_1 + q_2 + ... + q_n = 1$, ამიტომ

$$E(q) = \frac{q_1 + q_2 + ... + q_n}{n} = \frac{1}{n},$$

$$E(F(q)) = \frac{1/n + 2/n + ... + n/n}{n} = \frac{1 + 2 + ... + n}{n^2} = \frac{n(n+1)}{2n^2} = \frac{n+1}{2n}$$

$$\mathrm{E(q \cdot F(q))} - E(q)E(F(q)) = \frac{q_1 + 2q_2 + ... + nq_n}{n^2} -$$

$$- \frac{q_1 + q_2 + ... + q_n}{n} \cdot \frac{n+1}{2n} = \frac{q_1 + 2q_2 + ... + nq_n}{n^2} - \frac{n+1}{2n^2}$$

მაშასადამე, რადგან

$$\frac{2}{E(q)} = \frac{2n}{q_1 + q_2 + ... + q_n} = 2\mathrm{n},$$

ამიტომ

$$\mathrm{G} = \frac{2}{E(q)} \mathrm{cov}(q, F(q)) = 2n\left(\frac{q_1 + 2q_2 + ... + nq_n}{n^2} - \frac{n+1}{2n^2}\right) =$$

$$= \frac{2(q_1 + 2q_2 + ... + nq_n) - (n+1)}{n}$$

ახლა გამოვთვალოთ ჯინის ინდექსი ლორენცის ტეხილი წირის საშუალებით. ლორენცის წირის ქვევით მდებარე ფიგურა შედგება ერთი სამკუთხედისა და რამდენიმე ტრაპეციისაგან, რომელთაც ერთნაირი სიმაღლეები აქვთ, კერძოდ, თითოეულის სიმაღლე უდრის $\frac{1}{n}$ –ს. მაშინ, თუ $\frac{1}{n}$ –ს

გამოვიტანთ ფრჩხილებს გარეთ, გვექნება:

$$2B = \frac{1}{n}(\mathrm{q}_1 + (\mathrm{q}_1 + (\mathrm{q}_1 + q_2)) + ((\mathrm{q}_1 + q_2) + (\mathrm{q}_1 + q_2 + q_3)) + ... +$$

$$+ ((\mathrm{q}_1 + q_2 + ... + q_{n-1}) + (\mathrm{q}_1 + q_2 + ... + q_{n-1} + q_n))) =$$

$$=\frac{1}{n}(q_1+(2q_1+q_2)+(2q_1+2q_2+q_3)+...+(2q_1+2q_2+...+2q_{n-1}+q_n))=$$

$$=\frac{1}{n}((1+2(n-1))q_1+(1+2(n-2))q_2+(1+2(n-3))q_3+...+(1+2(n-n))q_n)=$$

$$=\frac{1}{n}((q_1+q_2+...+q_{n-1}+q_n)+2((n-1)q_1+(n-2)q_2+(n-3)q_3+...+(n-n)q_n)=$$

$$=\frac{1}{n}(1+2(n(q_1+q_2+...+q_{n-1})-(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}))=$$

$$=\frac{1}{n}(1+2n(1-q_n)-2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}))=$$

$$=\frac{1}{n}(1+2n-2nq_n-2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}))=$$

$$=\frac{1+2n-2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}+nq_n)}{n}.$$

ამრიგად,

$$G=1-2B=1-\frac{1+2n-2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}+nq_n)}{n}=$$

$$=\frac{2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}+nq_n)-(n+1)}{n}.$$

მაშასადამე, ჯინის ინდექსი ერთიდაიგივეა როგორც ლორენცის წირის, ასევე კოვარიაციის საშუალებით გამოთვლის დროს.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ჯინის ინდექსის გამოსათვლელი ოთხი ფორმულა:

1)

$$G=\frac{2(q_1+2q_2+...+(n-1)q_{n-1}+nq_n)-(n+1)}{n}$$ –

ნაწილებით; (6)

2)

$$G=1-\sum_{i=1}^{n}(r_i-r_{i-1})(s_i+s_{i-1})$$ – დაგრ. ნაწილებით; (7)

3)

$$G=\frac{2}{E(q)}Cov(q,F(q))$$ – კოვარიაციით; (8)

4)

$$G=1-2\int_0^1 L(x)dx$$ – ინტეგრალით. (9)

ვინაიდან ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯინის კოეფიციენტების გამოთვლის მაგალითები მწირადაა, ჩვენ გამოვთვალეთ ჯინის კოეფიციენტი მშპ-ს განაწილების მიმართ რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე და შევადარებთ სხვადასხვა ორგანიზაციების (საქსტატის, მსოფლიო ბანკის და აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის) მიერ ჩატარებულ გამოთვლებს; მონაცემები ავიღეთ მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მასალებიდან. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გამოთვლილი ჯინის ინდექსი თვალშისაცემად განსხვავდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მიღებული შედეგებისაგან (ჩვენი გამოთვლა – 38,6; საქსტატის – 40, აშშ ცსს–მიერ კი – 46), რაც ცხადია აიხსნება განსხვავებული საწყისი მონაცემებით.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით [7], საქართველოში, აშშ–ში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მშპ განაწილებულია შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 1):

	r_1 =0.1	r_2 =0.2	r_3 =0.4	r_4 =0.6	r_5 =0.8	r_6 =0.9	r_7 =1
საქ–ლო 2013 წ.	s_1 =0.021	s_2 =0.056	s_3 =0.161	s_4 =0.315	s_5 =0.54	s_6 =0.701	s_7 =1
აშშ 2013 წ.	s_1 =0.018	s_2 =0.052	s_3 =0.155	s_4 =0.309	s_5 =0.536	s_6 =0.698	s_7 =1
რუსეთი 2012 წ.	s_1 =0.023	s_2 =0.059	s_3 =0.16	s_4 =0.305	s_5 =0.517	=0.678	s_7 =1
აზერბაიჯ. 2005 წ.	s_1 =0.061	s_2 =0.134	s_3 =0.298	s_4 =0.483	s_5 =**0.698**	s_6 =**0.826**	s_7 =1
სომხეთი 2013 წ.	s_1 =0.035	s_2 =0.085	s_3 =0.211	s_4 =0.377	s_5 =0.597	s_6 =0.744	s_7 =1

ცხრ. 1. მშპ–ს განაწილება მსოფლიო ბანკის მონაცემებით

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლები უთანაბრობაა აზერბაიჯანში (ცხრ. 2).

	ჩვენი გამოთვლ.	საქსტატი	მსოფლ. ბანკი	აშშ ცსს
საქართველო 2013 წ.	38.6	40.0	40.0	46 (2011) 37.6 (1991)
აშშ 2013 წ.	39.5		41.1	
რუსეთი 2012 წ.	40.1		41.6	
აზერბაიჯანი 2005 წ.	16.1		16.6	
სომხეთი 2013 წ.	30.4		31.5	

ცხრ. 2. ჯინის ინდექსი, გამოთვლილი საქსტატის, მსოფლიო ბანკის [7], აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა [8] და ჩვენს მიერ.

ჩვენს მიერ გამოთვლილი ჯინის ინდექსები ახლოსაა მსოფლიო ბანკის მიერ გამოთვლილ ჯინის ინდექსის მნიშვნელობასთან. საქართველოს, აშშ–ს და რუსეთს (ცხრ. 2) ჯინის ინდექსი თითქმის ერთნაირი აქვთ. ჯინის ინდექსის ტოლობა ჩვენთან და აშშ–ი გამოწვეულია იმით, რომ ამერიკელი მდიდარი უფრო მდიდარია, ვიდრე ქართველი მდიდარი და ამერიკელი ღარიბიც უფრო მდიდარია ვიდრე ქართველი ღარიბი.

ჯინის განზოგადებული ინდექსი (იხ. [4]).

განმარტება 2. *ჯინის განზოგადებული ინდექსი (5) ფორმულის აღნიშნვებში გამოითვლება ფორმულით*

$$G(\nu) = -\frac{\nu}{E(\mathrm{q})} Cov(\mathrm{q}, (1 - F(\mathrm{q}))^{\nu - 1}) \qquad (10)$$

სადაც ν არის უთანაბრობის მიუღებლობის (უკმაყოფილების) კოეფიციენტი.

რადგან $\mathrm{cov}(x, 1-y) = -\mathrm{cov}(x, y)$, ამიტომ როცა $\nu = 2$, განზოგადებული ჯინის ინდექსი ემთხვევა ჯინის ინდექსს, $G(2) = G$. რაც უფრო მატულობს უკმაყოფილება, ე. ი. მეტია ν-ს მნიშვნელობა, მით უფრო მეტია ჯინის განზოგადებული ინდექსის მნიშვნელობა. ქვემოთ მოყვანილია ჩვენს მიერ გამოთვლილი ჯინის განზოგადებული ინდექსის მნიშვნელობანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისათვის:

ქვეყნები	წლები	ჯინი	ჯინი განზ, ν=3	ჯინი განზ, ν=4
აზერბაიჯ.	2005	16.6	0.19797	0.213776
ამერიკა	2013	41.1	0.47322	0.500888
გერმანია	2011	30.1	0.35484	0.380496
ესტონეთ	2012	33.2	0.389175	0.417746
თურქე	2012	40.2	0.45795	0.481608
იაპონია	2008	32.1	0.379545	0.40891
ირანი	2013	37.4	0.427065	0.449394
ისრაელი	2010	42.8	0.49074	0.518436
იტალია	2012	35.4	0.415815	0.448182
ლატვია	2012	35.2	0.39756	0.425856
ლიტვა	2012	35.2	0.41028	0.439296
მოლდოვ	2013	28.5	0.33492	0.358244
რუსეთის	2012	41.6	0.46587	0.485992
საბერძნ	2012	36.7	0.43374	0.4678
საფრანგ.	2012	33.1	0.378045	0.401358
საქართ.	2013	40	0.45948	0.485088
სომხეთი	2013	31.5	0.3639	0.385936
უკრაინ	2013	24.6	0.29235	0.314992
ჩინეთი	2010	42.6	0.48795	0.515784

ცხრ. 3. ჯინის განზოგადებული ინდექსი

ჰუვერის ინდექსი

განმარტება 3. *ჰუვერის ინდექსი [9] ეწოდება ქვეყნის დოვლათის იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა გადავანაწილოთ, რომ საზოგადოებაში მიღწეულ იქნას ეკონომიკური თანასწორობა.*

ჰუვერის ინდექსს ხშირად რობინ ჰუდის ინდექსაც ეძახიან; ჩვენ მას არსენა ოძელაშვილის ინდექსი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან განსაზღვრავს საზოგადოების შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც უნდა გადავუნაწილოთ დანარჩენ მოსახლეობას იმისათვის, რომ ყველას ერთნაირი შემოსავალი ჰქონდეს. ჯინის ინდექსის მსგავსად, ჰუვერის ინდექსის განსაზღვრაც ლორენცის წირის საშუალებითაც ხდება და ამიტომ არსებობს კორელაცია ჯინისა და ჰუვერის ინდექსებს შორის.

წინადადება 3. ჰუვერის H ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$H = \frac{1}{2} \sum_{i=1}^{n} \left| \frac{E_i}{E_t} - \frac{A_i}{A_t} \right|, \qquad (11)$$

სადაც E_i არის i-ური ქვანტილის შემოსავალი, E_{total} არის E_i-ების ჯამი, A_i არის i-ურ ქვანტილში პიროვნებათა რაოდენობა, A_{total} არის A_i-ების ჯამი. იგი უდრის ლორენცის წირსა და თანაბარი განაწილების წირს შორის მანძილების მაქსიმუმს. ექვივალენტურად, იმისათვის, რომ ჰუვერის ინდექსი განვსაზღვროთ, უნდა ვიპოვოთ უდიდესი ვერტიკალური მონაკვეთი, რომელიც ლორენცის ფაქტიურ წირს აერთებს თანაბარი განაწილების წრფესთან; მაშინ ამ მონაკვეთის მარჯვნივ მდებარე ფიგურის შესაბამისი დოვლათის განაწილების შემდეგ საზოგადოებაში მოხმარება გათანაბრდება.

შენიშვნა. (6) ფორმულის აღნიშვნებში ჰუვერის ინდექსი უფრო მარტივად გამოისახება:

$$H = \frac{1}{2} \sum_{i=1}^{n} |q_i - p_i| . \qquad (12)$$

დამტკიცება. ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება დავუშვათ, რომ

$$\frac{E_1}{A_1} \lhd \frac{E_2}{A_2} \lhd \ldots \lhd \frac{E_N}{A_N},$$

ანუ რაც მეტია ჯგუფის ნომერი, მით უფრო მეტი შემოსავალი აქვს ჯგუფის თითოეულ წევრს.

ცხადია, თანაბარი განაწილების შემთხვევაში თითოეულს შეხვდება $\frac{E_t}{A_t}$ დოვლათი.

ვთქვათ i_0 არის ისეთი ნომერი, რომ $\frac{E_t}{A_t} - \frac{E_{i_0}}{A_{i_0}} \geq 0$,

მაგრამ $\frac{E_t}{A_t} - \frac{E_{i_0+1}}{A_{i_{0+1}}} \lhd 0$

ამიტომ დოვლათის თანაბრად გასანაწილებლად

$A_i, A_2, \ldots, A_{i_0}$ ჯგუფებმა უნდა მიიღონ შესაბამისად

$$A_1\left(\frac{E_t}{A_t} - \frac{E_1}{A_1}\right) = \frac{A_1 E_t}{A_t} - E_1, \quad A_2\left(\frac{E_t}{A_t} - \frac{E_2}{A_2}\right) = \frac{A_2 E_t}{A_t} - E_2,$$

$$\ldots, \quad A_{i_0}\left(\frac{E_t}{A_t} - \frac{E_{i_0}}{A_{i_0}}\right) = \frac{A_{i_0} E_t}{A_t} - E_{i_0},$$

ანუ მთლიანად

$$E_0 = \left(\frac{A_1 E_t}{A_t} - E_1\right) + \left(\frac{A_2 E_t}{A_t} - E_2\right) + \ldots + \left(\frac{A_{i_0} E_t}{A_t} - E_{i_0}\right)$$

დოვლათი. ახლა ვთქვათ, $i > i_0$. ამ ჯგუფების თითო-

ეული წევრის დოვლათია $\frac{E_i}{A_i}$, რომელიც მეტია $\frac{E_t}{A_t}$–ზე.

გასათანაბრებლად მას დააკლდება $\frac{E_i}{A_i}-\frac{E_t}{A_t}$, ხოლო

მთელ ჯგუფს დააკლდება $A_i(\frac{E_i}{A_i}-\frac{E_t}{A_t})=E_i-\frac{A_iE_t}{A_t}$ დოვლათი.

ამრიგად „მდიდრები" დაჰკარგავენ

$$E_1=(E_{i_O+1}-\frac{A_{i_0+1}E_t}{A_t})+...+(E_n-\frac{A_nE_t}{A_t})$$

დოვლათს.

ცხადია, $E_0=E_1$ და ამიტომ გასანაწილებელი დოვლათია

$E_0=\frac{1}{2}(E_0+E_1)$ =(თუ ჩავსვამთ E_0 და E_1 –ის

მნიშვნელობებს)=$\frac{1}{2}\sum_{i=1}^{n}\left|\frac{A_iE_t}{A_t}-E_i\right|$.

ჩვენ გვაინტერესებს გასანაწილებელი დოვლათის შეფარდება მთელ დოვლათთან E_t–სთან – ზუსტად ეს არის ჰუვერის ინდექსი: $H=\frac{E_0}{E_t}=\frac{1}{2}\sum_{i=1}^{n}\left|\frac{A_i}{A_t}-\frac{E_i}{E_t}\right|$, ანუ ტოლობა დამტკიცდა. წინადადების მეორე ნაწილი ცხადია.

მოცემული ფორმულის გამოყენებით და მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მონაცემების საშუალებით, გამოვთვალეთ ჰუვერის ინდექსი მთელი რიგი ქვეყნებისთვის. ჩვენს მიერ გაკეთებული გამოთვლების მიხედვით, გავარკვიეთ მოსახლეობის შემოსავლების გამოსათანაბრებლად ქვეყნის საერთო შემოსავლის რა პროცენტი უნდა გადანაწილდეს ამა თუ იმ ქვეყანაში (იხ. ცხრ. 4).

მაშინ, როდესაც ნორმად მიჩნეულია 20 %, აზერბაიჯანისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 11,7%–ს, უკრაინისთვის 17,3%–ს. 20%–თან ახლოსაა გერმანია 21,3%, მოლდოვა 20,2%, იაპონია 22,4%. რაც შეეხება საქართველოს, აქ 28,5% უნდა გადანაწილდეს შემოსავლების გამოსათანაბრებლად. მსგავსი სიტუაციაა აშშ–ში (29,2), თურქეთში (28,6), რუსეთში (29,5). ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ საერთო შემოსავლის რამდენი პროცენტი უნდა გადანაწილდეს, რომ ქვეყანაში არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები.

ტეილის ინდექსი

ტეილის ინდექსი წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის საზომს, რომელიც 1967 წელს ნიდერლანდელმა მეცნიერმა ანრი ტეილმა შემოგვთავაზა [10]. ტეილის ინდექსი ეფუძნება შენონის მიერ შემოთავაზებულ ცნებას საინფორმაციო ენტროპიის შესახებ. ტეილის ინდექსი ეკონომიკის გარდა გამოიყენება საირიგაციო სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მეტრიკის განაწილების ხარისხის შესაფასებლად.

ჯინის ინდექსისგან განსხვავებით ტეილის ინდექსი დაშლადია, ე. ი. თუ პოპულაცია დაშლილია ჯგუფებად, მაშინ ტეილის ინდექსი მთლიანად პოპულაციისთვის შეიძლება ჩაიწეროს თითოეული ჯგუფის ტეილის ინდექსების შეწონილი ინდექსების ჯამის სახით. ტეილის ინდექსის დაშლადობა

		წელი	ჯინი	ჰუვერი	ჰუვ.x100	ტეილი 1	ტეილი 2	ატკინ 1	ატკინ 2
1	აზერბაიჯანი	2005	**16,6**	**0.117**	**11.7**	**0.0416446**	**0.0434282**	**0.042499**	**0.040789**
2	აშშ	2013	**41,1**	**0.292**	**29.2**	**0.2853571**	**0.2667691**	**0.23415**	**0.248254**
3	გერმანია	2011	**30,1**	**0.213**	**21.3**	**0.1404911**	**0.139961**	**0.130608**	**0.131069**
4	ესტონეთი	2012	**33,2**	**0.234**	**23.4**	**0.1789804**	**0.1716277**	**0.157707**	**0.163878**
5	თურქეთი	2012	**40,2**	**0.286**	**28.6**	**0.2604572**	**0.2575757**	**0.227077**	**0.229301**
6	იაპონია	2008	**32,1**	**0.224**	**22.4**	**0.1671117**	**0.1609167**	**0.148637**	**0.153895**
7	ირანი	2013	**37,4**	**0.266**	**26.6**	**0.2192043**	**0.2232492**	**0.200084**	**0.196842**
8	ისრაელი	2010	**42,8**	**0.303**	**30.3**	**0.3093542**	**0.2875229**	**0.249881**	**0.266079**
9	იტალია	2012	**35,4**	**0.245**	**24.5**	**0.2141182**	**0.1954185**	**0.17751**	**0.192747**
10	ლატვია	2012	**35,2**	**0.239**	**23.9**	**0.1946908**	**0.1868106**	**0.170399**	**0.176911**
11	ლიტვა	2012	**35,2**	**0.246**	**24.6**	**0.2025935**	**0.1941359**	**0.176454**	**0.18339**
12	მოლდოვა	2013	**28,5**	**0.202**	**20.2**	**0.1237845**	**0.1261411**	**0.11851**	**0.11643**
13	რუსეთი	2012	**41,6**	**0.295**	**29.5**	**0.2738735**	**0.279353**	**0.243727**	**0.239572**
14	საბერძნეთი	2012	**36,7**	**0.255**	**25.5**	**0.2359044**	**0.2096734**	**0.189151**	**0.210144**
15	საფრანგეთი	2012	**33,1**	**0.23**	**23**	**0.1680456**	**0.1735885**	**0.159357**	**0.154685**
16	საქართველო	2013	**40,0**	**0.285**	**28.5**	**0.261484**	**0.2532366**	**0.223716**	**0.230092**
17	სომხეთი	2013	**31,5**	**0.223**	**22.3**	**0.1523809**	**0.1576954**	**0.14589**	**0.141339**
18	უკრაინა	2013	**24,6**	**0.173**	**17.3**	**0.0921763**	**0.0940853**	**0.089795**	**0.088056**
19	ჩინეთი	2010	**42,6**	**0.303**	**30.3**	**0.3026956**	**0.2783397**	**0.24296**	**0.261176**

ცხრ. 4. ჯინის, ჰუვერის, ტეილის და ატკინსონის ინდექსების ცხრილი

გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ სოციალური უთანას–წორობის პროცენტზე, რომელიც აიხსნება პოპულაციის ჯგუფებად დაშლის საშუალებით და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ პოპულაციის სხვადასხვა ჯგუფებად დაშლები.

არსებობს ტეილის ორი ინდექსი და მათი გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულებით:

$$T_1 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{X_i}{\overline{X}}\cdot \ln \frac{X_i}{\overline{X}}\right), \tag{13}$$

$$T_0 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\left(\ln \frac{\overline{X}}{X_i}\right), \tag{14}$$

სადაც X_i არის i -ური ინდივიდის შემოსავალი,

$\overline{X} = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n} X_i$ არის შემოსავლის საშუალო

მნიშვნელობა, N არის პოპულაციაში ინდივიდების რაოდენობა. თუ ყველა ინდივიდის შემოსავალი თანაბარია, მაშინ ტეილის ინდექსი 0–ის ტოლია. თუ მთელი პოპულაციის შემოსავალი კონცენტრირებულია ერთი ინდივიდის ხელში, მაშინ ტეილის ინდექსი ტოლია $\ln N$ –ის. ხანდახან ტეილის ინდექს უწოდებენ T_1 –ს, ხოლო T_0 –ს საშუალო ლოგარითმულ გადახრას. საშუალო ლოგარითმული გადახრა მგრძნობიარეა განაწილების მთელი სკალის მიმართ.

ტეილის ინდექსის კიდევ ერთი თვისება ისაა, რომ ის ინვარიანტულია, ანუ არ იცვლება მონაცემების ერთიდაიგივე რიცხვზე გამრავლებისას, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ტეილის ინდექსი არ იცვლება დევალვაციის დროს. ტეილის ინდექსი არაა ინვარიანტული შეკრების მიმართ.

თუ პოპულაცია დაყოფილია $G_1, G_2, ..., G_J$ ჯგუფებად, მაშინ ტეილის ინდექსი ასე ჩაიწერება:

$$T = \sum_{j=1}^{J}\omega_j T(G_j) + \sum_{j=1}^{J}\omega_j \ln\frac{y_j}{\overline{x}}, \tag{15}$$

სადაც y_j არის G_j ჯგუფის საშუალო შემოსავალი,

$\overline{x} = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{N} x_i$ არის მთელი პოპულაციის საშუალო

შემოსავალი, N_j არის თითოეულ ჯგუფში ინდივიდუ–უმების რაოდენობა, N არის პოპულაციაში

ინდივიდუუმების რაოდენობა და $\omega_j = \frac{N_j}{N}\frac{y_j}{\overline{x}}$.

ტეილის ინდექსის გამოანგარიშება შეიძლება Microsoft Excel–ის საშუალებით, თუმცა მათი გამოთვლის უფრო მოსახერხებელი პროგრამული პაკეტები აქვთ Matlab–ს და სტატისტიკურ სისტემა R–ს. ჩვენ გამოვიანგარიშეთ Microsoft Excel–ის საშუალებით ტეილის ინდექსი მთელი რიგი ქვეყნებისთვის (მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით); გამოთვლის შედე–გები იხ. ზემოთ ცხრ. 4–ში.

ატკინსონის ინდექსი

ატკინსონის ინდექსი წარმოადგენს სოციალური უთანას–წორობის საზომს, რომელიც 1970 წელს შემოგვთავაზა ენტონ ატკინსონმა [11]. იგი გამოიყენება აშშ–ის მოსახლეობის აღწერის სამსახურის მიერ. ატკინსონის ინდექსი შეიძლება გადაიქცეს ნორმატიულ მაჩვენებლად, თუ შემოსავლების „აწონვისთვის" შემოვიტანთ ε კოეფიციენტს (იგი იცვლება 0–დან 1–მდე). კოეფიციენტი ε განიხილება, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ როგორია საზოგადოების მიმართება შექმნილი სოციალური უთანასწორობის მიმართ, ანუ იგი არის უთანაბრობის მიუღებლობის (უკმაყოფილების) კოეფი–ციენტი ისევე, როგორც ჯინის განზოგადებული ინდექსში ν პარამეტრი. ε=0 იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება გულგრილია შემოსავლების განაწილების მიმართ, ხოლო ε –ის გაზრდა ნიშნავს, რომ საზოგადოებას უფრო და უფრო აწუხებს შექმნილი სოციალური უთანასწორობა.

როდესაც ε იზრდება, ანუ იზრდება უკმაყოფილება, მაშინ ატკინსონის ინდექსი უფრო მგრძნობიარეა ცვლი–ლებებისადმი შემოსავლების განაწილების ქვედა ნაწილში, რაც ისედაც მოსალოდნელი იყო, ხოლო როცა ε მცირდება, ატკინსონის ინდექსი უფრო მგრძნობიარეა ცვლილებები–სადმი შემოსავლების განაწილების ზედა ნაწილში.

ატკინსონის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$A = \begin{cases} 1 - \dfrac{1}{\mu}\left(\dfrac{1}{N}\sum_{i=1}^{N} y_i^{1-\varepsilon}\right)^{1/(1-\varepsilon)}, & \varepsilon \in [0,1) \\ 1 - \dfrac{1}{\mu}\left(\sum_{i=1}^{N} y_i\right)^{N}, & \varepsilon = 1 \end{cases} \tag{16}$$

სადაც y_i არის i–ური ინდივიდის ან ჯგუფის, $i = 1, 2, ..., N$, შემოსავლის დონე, μ არის შემოსავლის საშუალო არითმეტიკული

$$\mu = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{N} y_i .$$

უკმაყოფილების პარამეტრი ε არის ატკინსონის ინდექსის უპირატესობაც და ნაკლიც, რადგან არ არსებობს მისი ამორჩევის ცალსახა ფორმალიზებული მეთოდი. ამი–ტომ მისი ამორჩევისას და ინტერპრეტაციისას ჩვენ შეგვიძ–ლია ვისარგებლოთ მხოლოდ ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით.

ატკინსონის ინდექსი, იმის გამო, რომ იგი დაფუძნე–ბულია ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა საზოგადოებრივი კეთილდღეობა და სარგებლიანობის ფუნქცია, განიხილება, როგორც სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი, მაგრამ ის თვლის, რომ სარგებლიანობის ინდივიდუალური ფუნქციები დამოკიდებულნი არიან მხოლოდ შემოსავალზე, რაც ნიშნავს, რომ ამ გამოთვლებისას სოციალური უთანასწორობა დაიყვა–ნება მხოლოდ შემოსავლების არათანაბარ განაწილებაზე.

ატკინსონის ინდექსი მჭიდრო კავშირშია ტეილის

ინდექსთან; კერძოდ თუ $\varepsilon = 1$ და T არის ტეილის ინდექსი, მაშინ $1 - e^{-T}$ იქნება ატკინსონის ინდექსი; ჩვენ ატკინსონის ინდექსი გამოთვლილი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა $\varepsilon = 1$ (იხ. ზემოთ ცხრ. 4).

ამრიგად, სტატიაში გამოთვლილია რიგი ქვეყნების მაკროეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნე–ლოვან როლს შეასრულებენ საქართველოს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის მოდელის აგებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Измерение бедности и социальной интеграции в ЕС. Европейская экономическая комиссия Организации Объединённых наций, Рабочий документ 25, 2014 год, 20-го января
2. Bellu L., Liberati P. (2006). Inequality and Axioms for its Measurment. FAO.
3. Bellu. Inequality Analysis (Food and Agriculture Organization of the United Nations, FAO, 2006).
4. https://en.wikipedia.org/wiki/Gini_coefficient
5. Bellu L,. Liberati P. (2005). The Lorenz Curve. FAO.
6. ფურთუხია ო.(2011). ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა მაგალითებსა და ამოცანებში, თსუ.
7. http://wdi.worldbank.org/table/2.9
8. https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/gg.html
9. https://en.wikipedia.org/wiki/Hoover_index
10. https://en.wikipedia.org/wiki/Theil_index
11. https://en.wikipedia.org/wiki/Atkinson_index
12. თუთბერიძე, გ., ფიფია,ქ., რაქვიაშვილი, გ., კუნჭულია.პ. (2016). მოსახლეობის მიგრაციის გრავიტაციული მოდელების შესახებ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ №1, 2016, 53-59.

THEORETICAL BASICS OF CALCULATING QUANTITATIVE INDICATORS OF THE ECONOMIC STRUCTURE OF SOCIETY

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.013

GOCHA TUTBERIDZE
Doctor of Economics, Professor of European University, Vicerector, Georgia

GIVI RAKVIASHVILI
Doctor of Physics and Mathematics, Associated Professor of the Ilia State University, Georgia

KETEVAN PIPIA
PhD Student of Samtskhe-Javakheti State University, Georgia

KEYWORDS: GINI INDEX, HOOVER INDEX, THEIL INDEX, ATKINSON INDEX

SUMMARY

In this paper, the (Generalized) Gini, Hoover, Theil and Atkinson indexes are calculated for the Republic of Georgia, for his neighbor states Armenia, Azerbaijan, Iran and Turkey, for some post soviet countries including the Russian Federation, for leading states of European Union, for USA, China and Japan. Previously only a small part of this indices were calculated, for example by United Nations, World Bank, CIA of USA, University of Texas and so on. An attempt was made to apply these calculations with the aim of building a mathematical model of the economic structure of Georgian society. It was known that Gini and Hoover indexes can be calculated by different formulas, it is proved that these formulas actually give the same results. It is also considered the economical sense of above mentioned indexes in the terms of axioms which L. Bellu defined in some documents of Union Nations.

FINANCIAL INSTRUMENTS AND THE RULES OF EU STATE AID

NATELA VASHAKIDZE
Asociated Professor of Akaki Tsereteli state University, Kutaisi, Gerogia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.014

DEZDEMONA MAGLAKELIDZE
Asociated Professor of Akaki Tsereteli state University, Kutaisi, Gerogia

KEYWORDS: FINANCIAL INSTRUMENTS, STATE AID RULES

The European Union is currently facing serious challenges such as the economic and financial recovery and themanagement of the refugee crisis. Therefore, the EU's decision-makers are seeking ways to maximise the effectivenessand efficiency of the available EU budget, which accounts for less than 1 % of the EU's gross domesticproduct (GDP).

Financial instruments are a delivery tool to provide financial support from the EU budget. Financial support provided to final recipients through financial instruments may take the form of loans, guarantees and equity investments.

If properly implemented, financial instruments provide two specific benefits compared to grants: — the possibility of leveraging the public funds (i.e. mobilising additional private and public funds to complement the initial public funding); and — the revolving nature of their capital endowment (i.e. the use of the same funds in several cycles). The fact that loans have to be paid back and guarantees have to be released or, in the case of equity investments, returned it should in principle also have an impact on the behaviour of final recipients, leading to the better use of public funds and reducing the likelihood that the final recipients will become dependent on public support.

During the 2007-2013 programme period financial instruments set up under the European Regional Development Fund (ERDF) and the European Social Fund (ESF) were used by 25 out of 28 EU Member States: in total, 972 ERDF and 53 ESF financial instruments were set up across the EU. By the end of 2014, around 16 billion euro had been paid as contributions from the ERDF and ESF operational programmes (OPs) to these instruments. This represents a significant increase compared to around 1.3 billion in the 2000-2006 programme period and 0.6 billion euro in the 1994- 1999 programme period allocated to such instruments. During the same period, 2007-2013, the overall contribution from the EU budget to the 21 financial instruments managed directly or indirectly by the Commission was about 5.5 billion euro. These centrally managed financial instruments operate across all EU Member States.

Compared to grants (which are the traditional way of providing funding from the EU budget), financial instruments, if properly implemented, can provide two specific benefits: the possibility of leveraging the public funds (i.e. mobilising additional private and public funds to complement the initial public funding); and the revolving nature of their capital endowment (i.e. the use of the same funds in several cycles) allows each euro of funding through financial instruments in principle to be used more than once.[3,12]

A common definition for financial instruments was first provided in the revision of the financial regulation in 2012; this definition has since been applied in the sectorial regulations for the 2014-2020 programme period (see Annex II).

The EU budget can be implemented through shared management (i.e. in cooperation with Member States such as in cohesion policy), through direct management (i.e. by its departments or through executive agencies) or through indirect management (i.e. by entrusting budget implementation tasks to third countries or to different entities)9. The latter two are collectively referred to as centralised management.

Financial instruments are used in different parts of the EU budget: Shared management financial instruments in the area of cohesion are set up mainly under the European Regional Development Fund (ERDF), and to a lesser extent under the European Social Fund (ESF). Since the 2014-2020 programme period, financial instruments can also be used for the Cohesion Fund (CF). Each instrument has to be implemented within the framework of an operational programme (OP), which is decided by the managing authorities responsible for that programme, together with its size and design10. Financial instruments are also used under the European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD) and the European Fisheries Fund (EFF). Centrally managed financial instruments are financed from various budgetary areas such as research, enterprise and industry, education and culture, etc. For these instruments the Commission, together with its partners, is directly involved in their design and in developing their investment strategy and endowment. The decision to set up these instruments is taken by the budgetary authorities (i.e. the European Parliament and the Council) on the basis of a Commission proposal.

In shared management, financial instruments can be set up as standalone funds or as sub-funds of a holding fund, later referred to as specific funds (see Figure 1). A holding fund, sometimes also referred to as a 'fund of funds', is a fund set up with the objective of managing different types of instruments. It also allows making contributions from one or more OPs to one or several financial instruments.

Financial instruments are generally managed by private- or public-sector banks or other financial intermediaries rather than public administrations. For ERDF and ESF instruments, the selection of a fund manager has to comply with EU and national public procurement rules if the management of the fund is tendered out. In situations where public procurement rules do not apply (i.e. in case the fund management contract is not a public service contract), the managing authority can designate the fund manager subject to complying with the relevant State aid rules (see paragraphs 10 to 12).

The EIB group (which comprises the European Investment Fund (EIF) and the European Investment Bank (EIB)) benefits from a special status since they can be appointed as fund managers without a public procurement procedure11. They also manage most of the centrally managed instruments for which the fund manager is designated in the legislative proposal.[2, 43]

EU funds under shared management are considered part of the national or regional budgets and as such are potentially subject to State aid control. When implementing the financial instrument, managing authorities must therefore ensure compliance with State aid rules12. The relevant State aid rules are contained in the new general block exemption regulation (GBER)13 and the Commission's new guidelines for risk finance14, which both came into effect in July 2014.

For each ERDF and ESF financial instrument, the managing authority has to provide evidence that it is either15: conforming with normal market practice (which in practice means that the management of the fund has been selected following an open, transparent and non-discriminatory process); or covered by the de minimis regulation16; or an exempted aid, because it falls under the GBER or falls under a notified aid scheme in accordance with the Commission's guidelines for risk finance.

Centrally managed financial instruments (which do not use national or regional resources, and thus are not part of Member State budgets) fall outside of the scope of the EU's State aid rules, because the main condition of Article 107 TFEU '[…] granted by a Member State or through state resources' is not fulfilled.

During the 2007-2013 programme period financial instruments were used by 25 out of 28 EU Member States. Only Croatia, Ireland and Luxembourg did not use this funding mechanism17. Annex III and IV give an overview of the ERDF and ESF instruments per Member State.

In addition, there were 14 instruments funded through the EAFRD and 6 instruments funded by the EFF. For the 2007-2013 programme period, these two funds did not require Member States to report on financial instruments, so there are no official data in this respect19. However, based on data compiled by the Court, at the end of 2013 the capital endowment of funds co-financed by the EAFRD can be estimated at around 700 million euro, and around 72 million euro for the EFF (in both cases including the national contributions to the programmes).

For the centrally managed instruments, the EU's overall contribution allocated to 2007-2013 instruments in all budgetary areas was about 5.5 billion euro20, spread over 21 financial instruments21. These instruments operate across all EU Member States.

Within the EU budget, the European Structural and Investment Funds (ESIFs) are the main source of funding for capital investment and infrastructure, with a total budget of around 450 billion euro for the 2014-2020 programme period.

Since 2011 the European Parliament and European Council has encouraged an increased use of financial instruments22. This political commitment is also reflected in the common provisions regulation (CPR) which provides for an extended use of financial instruments to deliver all five ESIFs (i.e. also the Cohesion Fund) and all thematic objectives for the programmes.

At the end of 2015 the Commission estimated that, for the 2014-2020 programme period as a whole, approximately 21 billion euro will be allocated to financial instruments from the five ESIFs24. Since the average EU contribution to the total endowments of such instruments for the 2007-2013 programme period was around 68 % by the end of 201425, we estimate that the 21 billion euro amount coming from the EU budget will probably correspond to approximately 31 billion euro in total allocations (not taking account of additional national and private financing that may be provided to the funds outside the ESIF programmes).

Through this audit, the Court examined whether financial instruments were an efficient mechanism to implement the EU budget during the 2007-2013 programme period. In that context our report addresses the following main audit questions: were financial instruments appropriately sized in view of market needs? did financial instruments succeed in attracting private capital? were financial instruments providing revolving financial support? did financial instruments prove to be a cost-efficient method to implement the EU budget? For each of these questions, we examined which lessons could be learnt from the main shortcomings identified. We also assessed to what extent they had been addressed in the regulations applicable to the 2014-2020 programme period.

Our audit covers the period from 2009 to 2015. We focused on the areas of regional, social, transport and energy policy. In particular, our review covers all ERDF and ESF financial instruments, as well as six centrally managed financial instruments in the areas of social, transport and energy policy. Several issues identified in this report may, however, also affect other areas of the EU budget where such instruments are used.

The audit work consisted of the following elements: a review of various Commission, EIB, EIF and third-party analyses and publications. the analysis of the most recent annual monitoring report published by the Commission in Septem-

ber 2015, covering all 1 025 ERDF and ESF financial instruments. This analysis, based on data reported by the Commission in November 2015, was also made for six26 of the 21 instruments under central management (accounting for an EU contribution of 789 million euro, or 14 % of the total amount of all 21 instruments)27. an examination of 10 case studies of financial instruments implemented in the area of the EU budget covered by this report28, including a field visit to one Member State (Slovakia). [4, 13-17]

A follow-up review of 45 financial instruments audited in compliance audits carried out by the Court since 2009 (whose results were previously reported in our annual reports) and 54 financial instruments examined by our performance audits since 2012. A survey of 85 managing authorities and fund managers involved in the implementation of financial instruments. Out of the 85 entities surveyed, 82 relate to ERDF and ESF instruments under shared management and three to centralised management. There were 66 replies for shared management instruments and two for centrally managed ones. The interviews with more than 40 officials from the Commission, the EIB and the EIF and more than 10 experts from organisations with expertise in the field.

The Court has already carried out numerous examinations of the use of financial instruments, and has reported since 2011 on the findings in several annual reports30 and special reports31. Moreover, the Commission itself, but also the EIB, the EIF, the European Parliament, national audit bodies and private-sector fund managers, have identified a number of issues in recent years which collectively limited the effectiveness of financial instruments during the 2007-2013 programme period. This report builds also on these assessments. [1, 3]

Were financial instruments appropriately sized in view of market needs? 27 Financial instruments are not projects themselves but a delivery tool for funding from the EU budget. In cohesion policy, the decision of a managing authority to deliver OP support through a financial instrument is not so much a decision of whether to invest OP resources or not (this is already predefined in the OP) but rather how to invest: through a one-off grant or support through a financial instrument providing a repayable financial support. 28 We have therefore examined to what extent the 1 025 ERDF and ESF instruments used their capital endowment to provide different forms of financial support to final recipients and analysed several factors contributing to the instruments' low disbursement rates to final recipients during the 2007-2013 programme period: the level of the initial capital endowments of the instruments, whether market needs were properly addressed by the managing authorities and specific difficulties faced by regional financial instruments. We also analysed how similar aspects were dealt with in the case of centrally managed instruments. Excessive capital endowment led to low disbursement rates, avoidance of de-commitment and potential reimbursement at closure 29 The financial instruments disbursement rates have already been examined in several of the Court's annual and special reports32. In this report we analyse the latest available information reported by the Member States to the Commission as at 31 December 2014, published in September 2015. Our analysis of these most recent data shows that a significant number of them continue to face difficulties in using their capital endowments as planned. 30 Table 4 shows the disbursement rates for each of the 25 Member States which implemented financial instruments during the 2007-2013 programme period33. The percentages presented are averages for all ERDF and ESF instruments in the Member State concerned. A significant number of financial instruments were established only in 2012 or afterwards.

By the end of 2014, with only 1 year before the end of the initial eligibility period (31 December 2015), only 57 % of ERDF and ESF instruments' endowments had been disbursed to final recipients. Disbursements were low in particular for financial instruments in Slovakia (21 %), Spain (27 %) and Italy (32 %). Moreover, a further three Member States (Greece, Netherlands, Austria) had disbursed less than half of their initial endowments. 32 Overall, 177 of the 972 ERDF financial instruments (18 %) and 16 of the 53 ESF financial instruments (30 %) had disbursed less than a third of their endowment by the end of 2014. For these 177 instruments, their total unused endowment amounted to 4.2 billion euro as at 31 December 2014. For these instruments, we consider it to be unlikely that the available funding will be used once, even though the Commission has extended the eligibility period until March 2017 (see paragraph 43). The final disbursement rate of the financial instruments can, however, only be assessed at the end of their life cycle, especially as regards those set up towards the end of the programme period.

Did financial instruments succeed in attracting private capital? 62 One of the key advantages of financial instruments is the fact that additional funds can be leveraged, i.e. additional private and public funds can contribute to the funds' capital endowment. The leverage effect measures the extent to which public financing mobilises additional funds. It should inform about the ability of an instrument to attract additional funding, depending on its type, location and final recipients, but also on the choices made by the Commission, the managing authority and/or the fund manager when setting up the instrument. For comparable instruments, a higher leverage would then indicate a better-performing instrument in terms of attracting additional funding. 63 We therefore reviewed the way in which the Commission defines and monitors this leverage effect for both shared and centrally managed instruments and assessed whether the instruments were successful in attracting additional private capital. We also analysed the use made of preferential and risk-sharing arrangements with private partners and of tax agreements in this regard. Commission's measure of leverage for financial instruments

does not properly take into account the extent to which public financing mobilises additional funds Need for more differentiated leverage ratios to obtain meaningful measurements Difficulties in identifying leverage of additional private and public capital for shared management instruments.

REFERENCES:

1. Source: European Commission and EIB, FI Compass — Financial instrument products: Loans, guarantees, equity and quasi-equity, p. 3.
2. Asselberghs R (DG REGIO) (2011) Combination of repayable financial instruments with Grants, presentation to JEREMIE Networking Platform, Brussels 20 May 2011, European Commission. p.43
3. Cowling M (2010) Economic Evaluation of the Small Firms Loan Guarantee (SFLG) Scheme, Report to BIS, Department for Business, Innovation and Skills. p.12
4. Reid A., Nightingale P. (Eds.) (2011) The Role of Different Funding Models in Stimulating the Creation of Innovative New Companies. What is the most appropriate model for Europe? A report to the European Research Area Board. Study funded by the European Commission, DirectorateGeneral Research.p. 13-17

FINANCIAL INSTRUMENTS AND THE EU STATE AID RULES

NATELA VASHAKIDZE
Asociated Professor of Akaki Tsereteli state University, Kutaisi, Gerogia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.014

DEZDEMONA MAGLAKELIDZE
Asociated Professor of Akaki Tsereteli state University, Kutaisi, Gerogia

KEYWORDS: FINANCIAL INSTRUMENTS, STATE AID RULES

SUMMARY

Financial instruments are a delivery tool to provide financial support from the EU budget. Financial support provided to final recipients through financial instruments may take the form of loans, guarantees and equity investments.

If properly implemented, financial instruments provide two specific benefits compared to grants: — the possibility of leveraging the public funds (i.e. mobilising additional private and public funds to complement the initial public funding); and — the revolving nature of their capital endowment (i.e. the use of the same funds in several cycles). The fact that loans have to be paid back and guarantees have to be released or, in the case of equity investments, returned should also have an impact on the behaviour of final recipients, leading to the better use of public funds and reducing the likelihood that the final recipients will become dependent on public support.

We analysed the use made of preferential and risk-sharing arrangements with private partners and of tax agreements in this regard. Commission's measure of leverage for financial instruments does not properly take into account the extent to which public financing mobilises additional funds need for more differentiated leverage ratios to obtain meaningful measurements Difficulties in identifying leverage of additional private and public capital for shared management instruments.

კლასტერები, როგორც აგრობიზნესის განვითარების ფაქტორი და მისი ჩამოყალიბების პირობები

ბადრი გეჩბაია
https://doi.org/10.35945/gb.2017.03.015
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, ეკონომიკური პოლიტიკა, ტექნოლოგიური ჯგუფები, კონკურენცია

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დარგობრივი კლასტერების შექმნა, რომელიც გამიზნულია სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. ცნობილი მკვლევარის მ. პორტერის განმარტების თანახმად „კლასტერი არის გეოგრაფიულად მეზობელი ურთიერთ-დაკავშირებული კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ახასიათებთ ურთიერთშემავსებელი ერთობა, საზიარობა". კლასტერის ტერიტორიული მოქმედების ზონა შესაძლოა ვარირებდეს ერთი ქალაქისა ან რეგიონის სამეწარმეო ჯგუფსა და ქვეყნის ან თუნდაც რამდენიმე მეზობელი ქვეყნის ჯგუფს შორის. კლასტერებს გააჩნიათ განსხვავებული ფორმა სიღრმისა და სირთულის მიხედვით, თუმცაღა კლასტერთა უმრავლესობა მოიცავს: „მზა პროდუქციის" ან სერვისის კომპანიებს, წარმოების სპეციალიზირებული ფაქტორების მიმწოდებლებს, მექანიზმებისა და ნაწარმის დამაკომპლექტებლებს, მომსახურეობით სერვისს, ფინანსურ ინსტიტუტებს, ფირმებს თანმხლებ დარგებში; სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ კლასტერზე, შესაძლოა განხილულ იქნან როგორც მისი ნაწილი. [3, გვ. 215].

კონკურენტუნარიანობის ფორმირების ეკონომიკური პროცესების შესწავლისათვის კლასტერული მიდგომა რიგ სხვა თეორიებშიც გამოიყენება. ე. ლიმერი განიხილავდა მაღალი დონის კორელაციური ექსპორტის კლასტერებს ვაჭრობის ანალიზისას ეროვნულ დონეზე. ფრანგი მეცნიერები ი. ტოლენადო და დ. სოლიე ტექნოლოგიური სექტორების ჯგუფის ასაღწერად გამოიყენებდნენ ცნებას „ფილიერი". ფილიერების ფორმირების გამომწვევი მიზეზი იყო ერთი სექტორის მეორეზე დამოკიდებულება ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარად, ფილიერი წარმოადგენს კლასტერების უფრო ვიწრო ინტერპრეტაციას, რამეთუ ისინი ეფუძნებიან კლასტერების წარმოშობის ერთ-ერთ კრიტერიუმს — დარგებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის ტექნოლოგიური კავშირების დამყარებას პოტენციური უპირატესობების რეალიზაციისათვის. კლასტერული მიდგომა ასევე გამოიყენება შვედი თეორეტიკოსების ნაშრომებში. მათი კლასტერული თეორია უმთავრესად ფორმირდება ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაზე, უფრო ზუსტად კი მსხვილი მრავალეროვნული შვედური კორპორაციების ურთიერთკავშირის შესწავლაზე. თანამედროვე თეორიები კონკურენტუნარიანობის განვითარების შესახებ გამომუშავებულია კლასტერების საფუძველზე ბ. ფელდმანის მიერ. მოცემული თეორიების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეყრდნობიან სხვადასხვა ქვეყნებში დივერსიფიცირებული ფორმების ფართო ემპირიულ კვლევებს [5, გვ. 35].

მოცემული კვლევებიდან გამომდინარე, შედარებითი უპირატესობების დინამიკის ასახვით, კლასტერები ფორმირდებიან, ფართოვდებიან, ღრმავდებიან, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა პირიქით მოხდეს და შევიწროვდნენ ან საერთოდ დაიშალონ. კლასტერების ამგვარი დინამიურობა არის კიდევ ერთი უპირატესობა ეკონომიკური სისტემის სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან შედარებისას. დროთა განმავლობაში ეფექტურად მოქმედი კლასტერები ხდებიან მსხვილი ინვესტირებისა და ხელისუფლების მუდმივი ყურადღების საგანი ანუ კლასტერი ხდება უფრო მეტი, ვიდრე მისი ნაწილების უბრალო ჯამი. უმეტესწილად კლასტერის ცენტრად გვევლინება რამდენიმე ძლიერი საწარმო, ამასთანავე მათ შორის ნარჩუნდება კონკურენტული ურთიერთობები. მეტოქეების, მყიდველებისა და მიმწოდებლების კონკურენცია ხელს უწყობს წარმოების ეფექტური სპეციალიზაციის ზრდას. ამასთანავე, კლასტერი ასაქმებს მრავალ წვრილ ფირმასა და მცირე საწარმოს. გარდა ამისა ორგანიზაციის კლასტერულ ფორმას მივყავართ ინოვაციის განსაკუთრებული ფორმის წარმოშობამდე — „ერთიან ინოვაციურ პროდუქტამდე". კლასტერში ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე გაერთიანება აყალიბებს არა მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერული და ტექნოლოგიური გამოგონებების სპონტანურ კონცენტრაციას, არამედ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების განსაზღვრულ სისტემას. ამასთანავე, გამოგონებების ინოვაციად და ინოვაციის კონკურენტულ უპირატესობად ეფექტური ტრანსფორმაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი ურთიერთობის ფორმირება.

ამგვარად, თანამშრომლობა ხდება სულ უფრო აუცილებელი, თუმცაღა ის არის გარკვეული საფრთხის მატარებელიც — მას ახლავს დამოუკიდებლობის დაკარგვის შესაძლებლობა (ბაზარზე დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა, ახალი საქონლისა და პროდუქციის დამოუკიდებლად გათავისება და ა.შ.).

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ კლასტერული განვითარების სამი ძირითადი „ცენტრი", კერძოდ: ჩრდილოამერიკული, დასავლეთევროპული და აზიური. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არამარტო ხელს უწყობს კლასტერების ფორმირებას, არამედ თვითონვე გვევლინება კლასტერის მონაწილედ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ

ბიოტექნოლოგიური ფირმების განთავსების ადგილად გამოყო ედინბურგის, ოქსფორდისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის რაიონები. ნორვეგიაში მთავრობა ასტიმულირებს თანამშრომლობას კლასტერის „საზღვაო მეურნეობის" ფირმებს შორის. ფინეთში განვითარებულია სატყეო მეურნეობის კლასტერი, რაც მოიცავს მერქნისა და მერქნოვანი პროდუქციის, ქაღალდის, ავეჯის, პოლიგრაფიული და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის წარმოებას. მოცემულ კლასტერში ფირმების მჭიდრო ურთიერთქმედება ცოდნის გავრცელების მხრივ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მათ ძირითად სავაჭრო მეტოქეებთან მიმართებაში. ექსპერტების შეფასებით, ფინეთი ლიდერია კვლევითი და ტექნოლოგიური კოოპერაციის დონით.

ამგვარად, მიუხედავად მიდგომების სხვადასხვაობისა, ევროპის ქვეყანათა უმრავლესობამ გამოიმუშავა საკუთარი კლასტერული სტრატეგიები.

დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარება საჭიროებს აგრომრეწველობის განვითარების სათანადო ტემპებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის კვებითი მომარაგება. სოფლის მეურნეობის წარმოების ვარდნა, სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა დანაკარგები ხელს უშლის მოსახლეობის ისეთი სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფას, როგორსაც მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური გარემოება. დადგენილ იქნა, რომ სოფლის მეურნეობის რეგიონს შეუძლია ეფექტური განვითარება იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარე და მონათესავე დარგები მეტნაკლებად დაჯგუფებულ არიან რეგიონში და ქმნიან კლასტერს. მონათესავე დარგებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ის დარგები, რომლებიც აწარმოებენ და გადაამუშავებენ საკვებ პროდუქტებსა და სოფლის მეურნეობის ნედლეულს. დამხმარე დარგებს მიეკუთვნება ის დარგები, რომლებიც ქმნიან პირობებს მონათესავე დარგების ფუნქციონირებისათვის.

დარგების ურთიერთქმედება, მათი სინერგეტიკული ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ დონეზე, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს ე.წ. კლასტერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ზრდის წერტილების" გამოაშკარავება და მხარდაჭერა. აგრომრეწველობის ზონების „ზრდის წერტილებად" შეძლება ჩაითვალოს დასახლებული პუნქტები, სადაც განლაგებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, მეცხოველეობისა და მეთესლეობის მეურნეობები, რეპროდუქციული მეღორეობისა და მეფრინველეობის საწარმოები, სამეცნიერო, საცდელი და სასწავლო მეურნეობები. აგრომრეწველობის ზონების ორგანიზება ხდება იმ ტერიტორიებზე, სადაც კარგადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა და წარმოების ინფრასტრუქტურა ან იქ, სადაც არსებობს მისი განვითარების პერსპექტივა. ადმინისტრაციული რაიონების მცირე ზომის ტერიტორიებიდან გამომდინარე, აგრომრეწველობის კლასტერების ორგანიზება მიზანშეწონილია რაიონთაშორის საფუძველზე.

ამგვარად, კლასტერების შექმნა შეიძლება ინიცირებულ იქნეს გეოგრაფიული პრინციპით ანუ იქ, სადაც შეიმჩნევა ანალოგიური საწარმოების მაღალი კონცენტრაცია, როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით. კლასტერების ჩამოყალიბება გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით საშუალებას იძლევა გაიზარდოს სინერგეტიკული ეფექტი მსგავსი საწარმოების არსებობით, რომლებიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ძირითად ტექნოლოგიურ ჯაჭვში, არამედ ემსახურებიან ძირითად საწარმოებსაც. აქედან გამომდინარე იქმნება ადგილობრივი ინოვაციური ეკონომიკა, რომელიც მიმართულია შეზღუდული რაოდენობის პროდუქციის წარმოებისაკენ კლასტერის ჩარჩოებს მიღმა.

Very often when in the access points security mechanisms are activated, existence of unauthorized access point can be threat. Some personnel can obtain access point, not consider network security standards and set it in his/her office. Hacker can place access point in the building, intentionally connect access point to the corporative network.

In the unauthorized access point, as a rule, the encryption system is not activated. Proceeding from this, it is "open door" for everyone who has a desire to access to corporate network. Because of this, companies must always check existence of unauthorized access points.

In order to prevent unauthorized access in the wireless network, autentification is used. Autentification is performed among network devices and access points. In the wireless network must be used methods, by using which base station is informed about network device identity and viceversa. It is necessary in order to make connection among legitimate base stations and devices. Besides this, autentification procedure must be performed on the access points. By using this procedure existence of unauthorised access points in the network can be avoid.

By using of autentification and encription mechanisms, security of wireless network will be increased, though experienced hackers can always find the weak sides. Most dangerous is man-in-the-middle attack. The hacker places fake device among legitimate users and wireless network. When the standard man-in-the middle attack is performed the Address Resolution Protocol is used (ARP). The hacker who has necessary programming tools, can make control over wireless network by using the ARP. ARP allows to perform main procedure, for this it is sending request to network interface card in order to reveal physical adress of card. It is the same as MAC (Media Access Control) address. This address assigned to card from its producer and it is unique. Proceeding from this, transferring network interface card must know MAC address. This card recognizes and reacts only to MAC address.

Applied programs, which are necessary to transfer data must have receiver's IP (Internet Protocol) address. Network interface card uses ARP protocol for revealing proper physical address. Network interface card receives necessary address, sends ARP packets. From this packets it is possible to know the IP address of receiver's network interface card. Every station must return packet of answer by using of ARP protocol. It contains MAC and IP address. Sender-station will include MAC address in the transferring frame as a receiver's address. Corresponding MAC and IP address are saved during periods of time. Saving will performed till the period while station will receive another ARP answer from the station which has this IP address.

Some problems can be arisen because of the using of ARP protocol. In most cases it is spoofing. Hacker can send fictitious ARP-answer by using medium devices. This ARP-answer consists of IP address of legitimate network device and MAC address of medium device. By using this operation, hacker sends wrong information to the station. All stations of legitimate network automatically updates its ARP tables. In this tables wrong data will be entered. As a result stations begin sending packets to the medium devices, instead of to legitimated access point. This is so called Man-in-the-middle attack. Hacker can get passwords, important data and can interract to the corporate servers as an legitimate user.

In order to avoid attacks ARP providers offer secure ARP. Such improved ARP creates special protected tunnel among all users and access points. This tunnel ignores all the ARP-answers which are not related to the users on the other side of tunnel. Only legitimate ARP-answers will serve to ARP tables updating process. Stations which uses SARP protocols are not inclined to spoofing.

For application of SARP protocol it is necessary to install special software on all the user devices. Using the SARP gives possibility to avoid man-in-the-middle attack.

As a result of Denial of Service (DoS) attack, wireless network will be useless or its working will be blocked. It causes serious financial loss for companies.

One of the types of DoS attack is brute-force attack. All the recources of the network are activated during sending information packets. As a result network stops working.

Stopping work of the wireless network is possible by using the powerful radiosignals, which can mute other signals. Access points and radio boards will be useless.

Some security mechanisms can help to perform DoS attack. For example, Wi-Fi Protected Access (WPA) mechanism can cause Denial of Service (DoS) attack. User of WPA network uses mathematical algorithms for authentification. If some user is trying to gain access to this network and sends two packets of unauthorised data during one second, WPA assumes that it is an attack and stops working of a network.

To avoid the DoS attack it is necessary to develop strong security rules, for example, setting and updating of firewall system, permanent updating antivirus systems, using the passwords with many symbols, etc.

It is possible to protect wireless network from radiosignals. There are several recommendations for decreasing radiosignals flow in the building:

- if buiding's inside walls have metallic surface it is desired to ground it.
- it is preferable to set up thermoisolation windows and cover them by metallic surface.
- building walls must be covered with metallic mixture paint outside and inside
- transmitter power must be regulated in such way that signal leakage can be excluded, or its level must be decreased to that value, which is necessary to easily reveal a hacker.

REFERENCES:

1. O. Shonia, G. Nareshelashvili, I. Kartvelishvili. Security of Wireless Networks. Georgian Technical University. Tbilisi, 2009.
2. M. Merritt, D. Pollino. Security of Wireless Networks. Moscow, 2004.

SECURITY ISSUES IN WIRELESS NETWORKS

IOSEB KARTVELISHVILI
Professor, European University, Georgia

TEA TODUA
Professor, European University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.023

KEYWORDS: WIRELESS NETWORKS SECURITY, DOS ATTACK, UNAUTHORISED ACCESS POINT, MAN IN THE MIDDLE ATTACK

SUMMARY

In the last period of time, security in wireless networks and quality of service, became very important and it is a subject of active researches. Communication signals which are extended in some environment can be received by someone else. Companies and individual users must recognize potentially existing problems and try to prevent them.

Every system which needs to secure has some deficiencies in it. These deficiencies or part of them can be used by attacker. Subsequently, for providing security of the system it is important to consider all possible threats and attacks which can be performed against the system. Security mechanisms must provide system security by considering the given threats, attacks and deficiencies.

In this article questions of security of wireless networks are discussed, it analyzes possible threats and the appropriate mechanisms of protection. The most common forms of threats of wireless networks (non-authorised access, Denial of service, DoS and man-in-the-middle attacks) are described by its own properties and are given recommendations for security issue.

სატრანსპორტო კომპანიების ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებათა მათემატიკური მოდელის დამუშავება და შეფასება

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.024

დარეჯან ბიწაძე
მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

ია გოდერძიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, საქათველო

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მართვა, სატრანსპორტო კომპანია, მათემატიკური მოდელი

ანტიკრიზისული მართვა არის ის ძირითადი მექანიზმი და მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც თანამედროვე მენეჯმენტის მთელი პოტენციალის გამოყენებით, საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული დროებითი სირთულეები, შენარჩუნდეს და განმტკიცდეს საწარმოს საბაზრო პოზიციები ძირითადად საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით ანტიკრიზისული მართვა აუცილებლად გულისხმობს კრიზისის წინასწარ განჭვრეტას, მისი სიმპტომების ანალიზს, უარყოფითი შედეგების შემცირების ღონისძიებებს და ადგენს ფაქტორებს შემდგომი განვითარებისათვის. 90–იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაციამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მისი მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, საწარმოო — ფინანსური მართვის ხარისხის გარდაქმნის მეშვეობით.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. როგორც ირკვევა ქვეყანაში გაიზარდა წარუმატებელი საწარმოების რიცხვი, ეკონომიკურად არასტაბილურ გარემოში მათი უმეტესობა გაკოტრების და ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციისა და რღვევის პროცესი კვლავ გრძელდება, ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური პროცესები შეჩერებულია, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები. მიუხედავად საწარმოთა მართვისა და ბაზრის კვლევის საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარების მცდელობისა, საქართველოს უმეტეს საწარმოებში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია მენეჯმენტის და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების გამოყენების დონე. ადგილობრივი საწარმოები არაეფექტურად იმართებიან, არაა საწარმოთა მართვის ხარჯები შემცირებული და დასახვეწია მართვის სტრუქტურები. რის გამოც საწარმოთა უმეტესი ნაწილი კრიზისულ ვითარებაშია ჩავარდნილი და საჭიროებს ანტიკრიზისული მართვის თანამედროვე თეორიულ–პრაქტიკული მიმართულებების განხორციელებას. საწარმოთა მართვის ხარჯების მინიმიზაცია ხელს შეუწყობს ამ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. საჭიროა მარკეტინგული სამსახურების მიერ შესწავლილ იქნეს სარეალიზაციო ბაზრები, რომელიც ხელს შეუწყობს ალტერნატიული საზღვარგარეთული პროდუქციის ნაცვლად ჩვენი პროდუქციის დამკვიდრებას ბაზრებზე და მისი გასაღების დონის ზრდას. ანტიკრიზისულ მართვაში ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ვექტორი არის ფირმის სწორი მენეჯმენტი, ფირმის შიდა ფაქტორებზე ოპერატიული ზემოქმედება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში, კომპანიები კოტრდებიან კრიზისული სიტუაციისადმი მოუმზადებლობის გამო. კრიზისი ეს სოციალურ–ეკონომიკურ სისტემაში (ორგანიზაციაში) წინააღმდეგობების მეტისმეტი გამწვავებაა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლისუნარიანობას გარემომცველ საწარმოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც საანგარიშო წელი დაამთავრეს ზარალით 2007–2009 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2007 წელს აღნიშნულ საწარმოთა რაოდენობა, შეადგენდა — 3700, 2008 წელს — 4166, ხოლო 2009 წელს ასეთი საწარმოების რაოდენობა 5493–მდე გაიზარდა. მათ შორის დიდი წილი მოდის ისეთი დარგების საწარმოებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ოპერაციები უძრავი ქონებით. ეს მაჩვენებლები, ცხადია, ბიზნეს სტატისტიკის კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, არ იძლევა რეალურ სურათს საწარმოთა ეფექტიანობის შესახებ, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს რომ ქვეყანაში საწარმოთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მოგების გენერირებას და შესაბამისად მათი განვითარების შესაძლებლობაც დაბალია. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კრიზისული სიტუაციების გაჩენა გარდაუვალია, როგორც ეკონომიკისათვის მთლიანად, ისე ცალკეული საწარმოებისათვის, ამიტომ აუცილებელია საწარმოს შემუშავებული ჰქონდეს ანტიკრიზისული გეგმა. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიისათვის დანაკარგების მიღების საფრთხეს და მოცულობას.

ფირმაში კრიზისის ეტაპის გავლა და სტაბილურობის მიღწევა შეიძლება რამოდენიმე საშუალებით: მათ შორის ერთ–ერთი არის ინოვაციების დანერგვა. ასევე საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, გაკოტრების მექანიზმების ამუშავება და ინვესტიციების მოზიდვა, წარმოადგენს უალტერნატივო წყაროს საწარმოთა ფუნქციონირების დასაბუთებულობის ნაწილში, რამდენადაც

დადგენილი პრაქტიკით ხშირად საწარმოთა დავალიანების წარმოშობის მიზეზად საწარმოთა სუსტი მენეჯმენტი სახელდება.

ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი არის ინვესტიციები, ანუ მოგების მიღების მიზნით კონკრეტულ საქმეში განხორციელებული დაბანდებები. კრიზისის პირობებში ფირმას ინვესტიციების შიდა წყაროები ამოწურული აქვს.

საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექპორტის დივერსიფიკაცია, რათა ჩვენი პროდუქცია გახდეს უფრო მეტად კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ ისე მსოფლიო ბაზარზე ამ მიმართულებით.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, უჩნდება რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთნაკადები სატრანსპორტო დარგის თითქმის ყველა მიმართულებით, რაც საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. სატრანზიტო ტვირთების ტრანსპორტირებით შესაძლებელი ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. გადაზიდვები კვლავაც რჩება ქვეყანაში საინვესტიციო საქონლის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. სატრანზიტო ბაზარზე კომპანიების წარმატებული საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული გადამუშავებული და გადაზიდული ტვირთების რაოდენობის გაზრდაზე.

უდავოა, რომ თანამედროვე მეცნიერების მრავალი დარგის ინტენსიური განვითარება არსებითადაა დაკავშირებული გამოკვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან. მათემატიკური აპარატის გამოყენებით რეალური ობიექტების შესწავლა ეფუძნება მის ფარმალიზებულ აღწერას – მათემატიკურ მოდელს, რომელშიც, აღწერის სიზუსტიდან გამომდინარე, უნდა აისახოს ობიექტის მახასიათებელი ყველა ძირითადი თვისება. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია მათემატიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკური ამოცანების შესწავლისას, რაც წარმოადგენს მათემატიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ერთობლივი კვლევის აქტუალურ მიმართულებას.

ბუნებაში გვხვდება როგორც ერთმანეთზე დამოკიდებული, ისე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოვლენები და პროცესები. სიდიდეთა შორის დამოკიდებულება ორ კატეგორიად ყოფენ – პირველი ფუნქციური დამოკიდებულება, როდესაც ერთი სიდიდის ცვლილება იწვევს მეორის ზუსტად დადგენილ ცვლილებას – ეს ფუნქციური დამოკიდებულება შეიძლება მოცემულ იქნას ფორმულით, ცხრილის ან გრაფიკის სახით. გარდა ფუნქციური დამოკიდებულებისა, არსებობს ე.წ. სტოქასტიკური დამოკიდებულება – მას ხშირად ალბათურ დამოკიდებულებასაც უწოდებენ. ეს დამოკიდებულება ნაკლებად ხისტია, რაც ნიშნავს, რომ ერთი სიდიდის მნიშვნელობის მოცემა არ გვაძლევს საშუალებას მივუთითოთ მეორე სიდიდის ზუსტი მნიშვნელობა.

სტოქასტიკური დამოკიდებულება ორ სიდიდეს შორის აღიწერება ერთობლივი განაწილების ფუნქციით ან, უფრო ხშირად, მოხერხებულია დავუშვათ, რომ მათ შორის არსებობს რაიმე დამოკიდებულება და შემდგომ, დაკვირვებათა საშუალებით დავადგინოთ ჭეშმარიტია თუ არა ჩვენი დაშვება.

კორელაცია გარკვეულ ობიექტებს შორის კავშირს, დამოკიდებულებას ახასიათებს, ხოლო სტატისტიკური კორელაცია ისეთ დამოკიდებულებებსაც ახასიათებს, რომლებიც გარკვეულ შემთხვევით ფაქტორებსაც უკავშირდება.

სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანობის განმაპირობებელი უმთავრესი კომპონენტია ტვირთნაკადების მოცულობები, რომელთა მოზიდვა და დერეფანში სტაბილურად დამკვიდრება ქვეყნის ფარგლებს შიგნით და გარეთ არსებულ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ცვალებად ხასიათს ატარებს. იმის დასადგენად თუ რომელი ფაქტორები იმყოფებიან მჭიდრო კავშირში გადაზიდული ტვირთებისა და შემოსავლების ცვლილების დინამიკაზე, მათ შორის კავშირ-ურთიერთობის განსაზღვრისათვის ჩვენ გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი, მის საფუძველზე ვაჩვენეთ კავშირის ფორმები და რაოდენობრივ დახასიათება მრავალფაქტორიანი რეგრესიის მოდელის გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს კავშირის ადეკვატური ამსახველი მოდელის აგებას და მისი საშუალებით მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რაოდენობრივი თანაფარდობის გაანგარიშებას. ანალიზის ჩასატარებლად მოვიძიეთ სტატისტიკური მასალები 10 წელზე. ფაქტორების მიხედვით.

გაანგარიშებული კორელაციის კოეფიციენტებიდან ჩვენს შემთხვევაში შევარჩიეთ გადაზიდული ტვირთების შემოსავლებზე მოქმედი ფაქტორები, ათი წლის მონაცემების მიხედვით.

გადაზიდული ტვირთების შემოსავლებზე მოქმედი შერჩეული ფაქტორები

№	ფაქტორები
1	საავტომობილო ტრანსპორტით გადატანილი ტონა ტვირთის საშუალო მანძილი (კმ)
2	მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ.ლ)
3	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (მიმდ. ფას) ლარი
4	მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მილიონი ლარი)
5	საშ. თვიური ნომინალი ხელფასი (ლარი)
6	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)
7	რესურსები ტრანსპორტში (მიმდინარე ფასი ლ.)
8	ძირითადი აქტივები ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მლნ. ლარი)
9	ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)
10	იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)

შემოსავლების რაოდენობის მოდელი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სატრანზიტო გადაზიდვებში შემოსავლების რაოდენობაზე დადებით გავლენას ახდენს: X2; X5; X8 ფაქტორი. აქედან ყველაზე მეტ გავლენას ახდენს X8 ფაქტორი – ძირითადი აქტივები ტრანსპორტსა

და კავშირგაბმულობაში,რომლის ერთი მილიონი ლარით ზრდა, შემოსავლების რაოდენობას მკვეთრად გაზრდის. აღსანიშნავია X2 ფაქტორი — მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, რომლის 1მლნ-ით ზრდა გადაზიდვებიდან შემოსავლებს გაზრდის. რაც შეეხება X3, X4, X6, უარყოფით მაკროეკონომიკურ პარამეტრებს მიუთითებს ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გადაზიდული ტვირთების რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორებიდან შევარჩიეთ ათი ფაქტორი.

გადაზიდული ტვირთების რაოდენობაზე მოქმედი შერჩეული ფაქტორები

№	ფაქტორები
1	საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ.ტ.კმ)
2	მგზავრთბრუნვა (მლნ. მგზ. კმ)
3	მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ. ლ.)
4	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (მიმდ. ფას) ლარი
5	მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მილიონი ლარი)
6	საშ. თვიური ნომინალი ხელფასი (ლარი)
7	რესურსები ტრანსპორტში (მიმდინარე ფას. ლარი)
8	დასაქმებულთა საშ. წლიური რიცხოვნობა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (ათასი კაცი)
9	დამატებული ღირებულების მოცულობა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სფეროში (მლნ. ლ)
10	იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)

გადაზიდული ტვირთების რაოდენობის მოდელი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობაზე დადებით გავლენას ახდენს: x_1, x_3 და x_8 ფაქტორი. ყველაზე მეტ გავლენას ახდენს საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა, რომლის გაზრდა გადაზიდული ტვირთების რაოდენობას გაზრდის 118 ათასი ტონით. აღსანიშნავია აგრეთვე x_3- ფაქტორი – მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა, რომლის ერთი მილიონი ლარით გაზრდა, გადაზიდული ტვირთების რაოდენობას მკვეთრად გაზრდის. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ფაქტორების უარყოფითი მაჩვენებლებს, ისინი ასახავენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ ორი მიზნის ფუნქციის ანალიზმა საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ სატრანზიტო გადამზიდავმა კომპანიებმა კრიზისის თავიდან აცილებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს გადაზიდვების მოცულობის და შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფეტელავა სლავა (2007), კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი.
2. გ.ტყეშელაშვილი გ., მებონია ა. (2014), ეკონომიკური სუბიექტები საქართველოს ტრანსპორტში და მათი ეფექტიანობის ამაღლების გზები. ჟ. სოციალური ეკონომიკა, 2014 წ, №3-4.
3. Файншмидт Е.,(2012), Антикризисное управление: Учебный курс, Москва.
4. Авдошина З.А., Антикризисное управление: сущность, диагностика, методики, 2010 Айдинова А. Т., Головко Е. С. Пути повышения конкурентоспособности предприятий // Молодой ученый. — 2015. — №12.
5. ი. გიგაური ი., (2016), საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები, თბილისი.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2017.
7. გაბიძაშვილი ბ. (1994), სტატისტიკის ზოგადი თეორია, თბილისი.

ELABORATION AND ASSESSMENT OF THE MATHEMATICAL MODEL OF ANTI-CRISIS EFFICIENT MANAGEMENT AND PRODUCT COMPETITIVENESS IN LOGISTICS AND PUBLIC TRANSPORT

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.024

DAREJAN BITSADZE
Doctor of Mathematics, Assistant Professor of European University, Georgia

IA GODERDZISHVILI
Doctor of Economics, Assistant Professor of European University, Georgia

KEYWORDS: ANTI-CRISIS MANAGEMENT, TRANSPORT COMPANY, MATHEMATICAL MODEL

SUMMARY

Research reviews the ways of improving competitiveness and anti-crisis efficient management of automobile transport for both cargo and passengers, discusses numerous ways of improvements in these fields. Based on analysis of correlative connections of inner and outer factors, publication assesses the competitiveness of transport companies.

სიღარიბის საკითხისათვის საქართველოში

მურმან კვარაცხელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.025

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, სიღარიბე, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგარეო ბრუნვა, დემოგრაფიული უსაფრთხოება

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ტენდენციები მრავალი პრობლემის გამოწვევის წინაშე დგას. ამ მხრივ უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე აღმოჩნდა საქართველო. გეგმური მეურნეობრიობიდან საბაზრო ურთიერთობების სისტემაზე გადასვლამ მისი ეკონომიკა რეგრესის გზით სიღარიბეწაიყვანა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მის განვითარებაში არა მარტო განვითარებულ ქვეყნებს, არამედ რეფორმამდელი პერიოდის თავის დონესაც მკვეთრად ჩამორჩა.

ასეთი ტენდენციებია დამახასიათებელი ახალი სუვერენული სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დიდ სიძნელეებს წააწყდნენ. მათმა ტრადიციულმა ფუნქციებმა, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეში ათასწლეულების განმავლობაში ასრულებდნენ ცხოვრების მარეგულირებელ როლს, დროის გამოწვევას ვერ გაუძლეს. ამასთან დაისვა სრულიად განსხვავებული კითხვა გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე როგორ უნდა მომხდარიყო ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ადაპტირება ახალ გარემოსთან. ეს პროცესი ბევრ ქვეყნებში დღესაც მტკივნეულად ვითარდება. მით უმეტეს, როცა იგი განიხილება სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, კერძოდ, მისი ისეთი მთავარი ინდიკატორის მეშვეობით, როგორიცაა სიღარიბე. საერთო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცხოვრების დონის დაცემისა და სიღარიბის პრობლემა საშიშ ზღვარზე დგას.

ამის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ პრობლემად განათლებისა და მეცნიერების განვითარების დაბალი დონე მიიჩნევა. ამასთან, შრომის, როგორც განვითრების განსაკუთრებულმა ფაქტორმა ეროვნული ეკონომიკის კრიზისი გამოიწვია. ეკონომიკური ზრდის თავისებურებად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის ისეთი ობიექტური ფაქტორები ჩამოყალიბდა, როგოროცაა ფორმირებადი საბაზრო მენტალიტეტი, კერძო სექტორის დომინირებადი მდგომარეობა, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მაგრამ ისეთმა სუბიექტურმა ფაქტორმა, როგორიცაა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც სუსტია, ჯერჯერობით ვერ უზრუნველყო ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარება. აქ აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიკის განვითარებაში საქართველო რეფორმამდელ პერიოდში არსებულ დონესაც ჩამორჩება. ასე მაგალითად, 1991-1995 წლებში ქვეყანში მოხდა ეკონომიკის მყისიერი დაშლა-დანგრევა და არა დემონტაჟი. 1994 წელს მან შეადგინა როფორმამდელი პერიოდის მშპ-ის მხოლოდ 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოების 15%, სასოფლო-სამეორნეო წარმოება 2-ჯერ დაეცა, კაპიტალური დაბანდებები – 97,2 პროცენტული პუნქტით (ჭითანავა, 1997).

არც შემდგომ პერიოდში გამოსწორებულა სიტუაცია: 1990 წლის მიმართ მშპ წარმოება შეადგენდა: 2000 წელს-38,1%, 2003 წელს – 46,3%, 2007 წელს-65%, 2008 წელს-71,1%. (რ. ასათიანი, 2010, 31). უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლისთვის მშპ წარმოების რეფორმამდელი დონე (1990 წლის) დაძლეული ჰქონდათ რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთს, თურქმენეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს. (რ. ასათიანი, 2010,32).

მეტად საგანგაშო მდგომარეობაშია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის სალდო. ასე, მაგალითად, საგარეო ვაჭრობის მოცულობა 2007 წელს შეადგენდა 6,4 მლრდ აშშ დოლარს, 2011 წელს – 9,2 მლრდს, 2015 წელს – 9,6 მლრდს, ხოლო 2016წელს – 9,4 მლრდს. ბოლო წლის მონაცემებით არ შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. საგარეო ვაჭრობის სალდომ ამ პერიოდში შეადგინა შესაბამისად – 4 მლრდ, 7 მლრდ, 5 მლრდ და 5,2 მლრდ აშშ დოლარი (GeoStat.Ge). აქედან ცხადია, რომ შიდა ბაზარზე იმპორტით შემოტანილი საქონლის ხვედრითი წილი 70-80%-მდე მერყეობს. მრეწველობის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქვეყნაში მიმდინარეობს დეინდუსტრიალიზაციის საშიში პროცესი, რაც გამოწვეულია დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგებით და მისი საკადრო პოტენციალის მოშლით.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, 2015 წლის მდგომარეობით 3766 აშშ დოლარს შეადგენდა, 2016 წელს კი – 3766-ს, რაც უაღრესად დაბალი მაჩვენებელია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ევროკავშირში (რომლის ასოცირებული წევრიც უკვე გახდა ქვეყანა), შემსვლელი კონკურენტი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი უნდა იყოს.

ყოველივე ამას უამრავი მიზეზები გააჩნია, რომელთაგან აღსანიშნავია დასავლეთის დემოკრატიული ფასეულობების ყალბი გაგება, საბაზრო მექანიზმების გაფეტიშება, შრომის, ცოდნისა და გამოცდილების უგულებელყოფა, ეროვნული დოვლათისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დაქვეითება, სახელმწიფოს ხარჯზე ყოფნის მენტალიტეტი და სხვა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფორმირებადი სახელმწიფო მზად არ აღმოჩნდა გარე და შიდა ფაქტორების

ნეგატიური გავლენისაგან თავი დაეღწია და შექმნილი სიტუაცია – ქვეყნის დამოუკიდებელი განვითრების შესაძლებლობა – გამოეყენებინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ (ნ.ჭითანავა, 2009).

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა თანდათანობით მომხმარებლური ეკონომიკის ქვეყანა ხდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე უშუალოდ განსაზღვრავს მის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამ ასპექტში მთავარია მაკროეკონომიკური უსაფრთხოების ადეკვატური მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მოცულობისა და მისი ზრდის ტემპის განსაზღვრა. ამ მხრივ საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, სადაც მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტისა და ერთ სულ მოსახლეზე მისი ზრდის მონაცემები.

ცხრილიდან ჩანს, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 2006-2016 წლებში არათანაბარზომიერებით ხასიათდებოდა, ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა 2007 წელს – 12,6%. 2008 წელს შეადგინა

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მოსახხლეობის ერთ სულ მისი ზრდის დინამიკა

2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015წ.	2016წ
9,40%	12,60%	2,40%	-3,70%	6,20%	7,20%	6,40%	3,40%	4,60%	2,80%	2,70%
1763,5	2314,6	2921,1	2455,2	2623	3230,7	3523,4	3599,6	3676,2	-	-

წყარო: geostat.ge

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა

ძირითადი დემოგრაფიული მავენებლები										
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 729.5

წყარო: geostat.ge

2,4%, რაც გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტის შედეგად. 2009 წელს კი მინუს 3,7% იყო. მაგრამ 2010 წელს უკვე ზრდამ შეადგინა 6,2%. ეს გამოწვეული იყო აშშ-დან ინვესტიციების შემოსვლით, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 4,5 მილიარდი აშშ დოლარი. 2012-2013 წლბში უკვე კლების ტენდენცია დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს უმნიშვნელო ზრდა იყო -1,2 პროცენტული პუნქტით. 2016 წლის მონაცემებით ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2,70%.

გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა საქართველო ისტორიული გამოწვევების წინაშე დააყენა. მთავარია გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანა იწყებს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურ ჩართვას, აშკარად გამოიკვეთა შინაგანი და გარეგანი მუქარები. შინაგანი მუქარებიდან აღსანიშნავია ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენილობა, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება და სიღარიბის მაღალი დონე, ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის არამდგრადობა, დაბალი ინოვაციური და ინვესტიციური აქტივობა, ფინანსური უსაფრთხოების დაბალი დონე, დიდი საგარეო ვალი, ეროვნული ვალუტის სისუსტე და დაუცველობა კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ეკონომიკის უქონლობის შედეგად, ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და მისი გამოთანაბრების ტენდენციის უქონლობა და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციები ზოგადსახელმწიფოებრივია, რომელიც ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. მათი გადაწყვეტა დასაჩქარებელია და მოითხოვს სწორი სტრატეგიის დროულ შემუშავებასა და მის რელიზაციას.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ უსაფრთხოებას მრავალი ინდიკატორი გააჩნია. აქედან, ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება. ბოლო ათწლეულებში ეს პროცესი მკვეთრად გაუარესდა. სახეზეა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის და ზრდის ტემპების შემცირება. ამავე დროს ეცემა მისი წილი სამხრეთ კავკასიასა და მსოფლიო მოსახლეობაში. (იხ. ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობა 2006 წელს შეადგენდა 4,4 მლნ კაცს. მისი დინამიკა შემდგომ წლებში ზრდის ტენდენციით არ გამოირჩევა. თუ შევადარებთ, 1975 წელს იგი შეადგენდა 4,9 მლნ კაცს, ხოლო 2015 წლის აღწერით შეადგინა 3,7 მლნ კაცი. ანუ 40 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 1,2 მლნ-ით, რაც მაღალი საფრთხის შემცველია მცირე-

რიცხოვანი ქვეყნისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობა გახდა 3720,4 მლნ, ხოლო 2017 წელს – 2718,2 მლნ. როგორც მონაცემებიდან ჩანს უმნიშვნელოდ, მაგრამ მოსახლეობის რიცხოვნობა კლებადი ტენდენციით ხასიათდება ბოლო წლებში.

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 1975-2000 წლებში სომხეთის მოსახლეობა 2,8 მლნ-დან 3,8 მლნ-მდე ანუ 36%-ით, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა კი – 5,7 მლნ-დან 8,7 მლნ-მდე ანუ 53%-ით გაიზარდა (ნ.ჭითანავა, 2003). საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, ცენტრალური კავკასიის ორივე ქვეყანაში მოსახლეობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, საქართველოში კი – კლებით. აქედან ცხადია, ქართველობა რეგიონში უმცირესობაში აღმოჩნდა.

დემოგრაფიული ვითარების ასეთი მკვეთრი გაუარესება საქართველოს არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნის. საჭიროა სახელმწიფოებრივი ქმედითი ღონისძიებების გატარება ამ ფუნდამენტური საფრთხის პრევენციისათვის.

ქვეყნისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს, რაც ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მაჩვენებელიცაა. სიღარიბე თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. მასთან ბრძოლა კაცობრიობის უმთავრესი ამოცანაცაა. საინტერესო მონაცემებით ხასიათდება საქართველოში სიღარიბის დონე (ცხრილი 3).

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა ხანგრძლივ პერიოდსა და სახელმწიფოს დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიზანშეწონილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2020 წლამდე შედგენილი სტრატეგიული პროგრამის რეალიზაცია, რომელიც უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

პროგრამაში გამოკვეთილია უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტები და მისი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს რეალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა საქართველოს ევროკავშირში რეალური გაერთიანებისათვის, რაც განმსაზღვრელი კრიტერიუმების რეალიზაციას გულისხმობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს გეოეკონომიკური ფაქტორის როლი ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებაში. იგი რეალურად ყალიბდება როგორც ბუფერული სივრცე, რომელსაც შეუძლია ექსკლუზიური წვლილი შეიტანოს ცივილიზაციათა ურთიერთობებში.

სახელმწიფომ თავის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად ფარდობითი სიღარიბის ზღვარის შემცირება უნდა დასახოს. ამასთან აქ მთავარია დასაქმების დონის ამაღლება, შემოსავლების თანაბრად განაწილება. რეალობაა, რომ მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი მაღალ შემოსავალს იღებს, საზოგადოების დიდი ნაწილი კი – ღარიბია. ამის გამოსწორება აუცილებელია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანა ხასიათდება მოსახლეობის მაღალი ქონებრივი დიფერენციაციით, რაც საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების საშუალოზე დაბალ დონეზე მიუთითებს. მის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს ქმედითი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რაც წინაპირობაა მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებისა და ცხოვრების დონის გაზრდისათვის, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში.

ცხრილი 3

ცხოვრების დონე

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) (%)	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7	11.6

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

ცხრილიდან ჩანს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თუ ეს მაჩვენებელი 2007 წელს შეადგენდა 6,2%-ს, 2010 წელს – 9,7%-ს, 2014 წლისათვის მიაღწია 11,6%-ს, ანუ გაიზარდა 2,4 პროცენტული პუნქტით. ასეთი ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას.

სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობა მცირდება, რაც დადებით ტენდენციას წარმოადგენს. თუ 2003 წელს მოსახლეობის მხოლოდ 1,1%-ს ჰქონდა 1500 ლარზე (680$) მეტი შემოსავალი, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 13,9%-მდე გაიზარდა. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის 80%-ზე მეტის შემოსავალი 500 ლარს არ აჭარბებდა, ნათლად მიუთითებს 2005 წლამდე არსებული მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე, მომდევნო წლებში კი შეინიშნება შემოსავლების დიფერენციაციის მკვეთრი შემცირების ტენდენცია.

ქვეყნის განვითარება უნდა მოხდეს მსოფლიო პროგრესის ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გაიზრდოს საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის როლი მომავალ მსოფლიო განვითარებაში. ეს პროცესი ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებსაც შექმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. (2010) გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი.
2. პაპავა ვ. (2002) პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი.
3. ჭითანავა ნ. (1999) გარდამავალი პერიდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწილი. თბილისი.
4. ჭითანავა ნ. (1997) გარდამავალი პერიოდის სოცილაურ-ეკონომიკური პრობლემები. (ნაწილი I). თბილისი.
5. ჭითანავა ნ. (2012) საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი.
6. ჭითანავა ნ. (2009) ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის ფორმირების საკითხისათვის. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერება აკადემიის შრომები. ტომი VII. თბილისი.
7. ჭითანავა ნ. (2003) ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური იდეოლოგიის ფორმირების საფუძველი. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი VII, თბილისი.
8. ჭითანავა ნ. (2001) გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბილისი.
9. ხადური ნ. (2009) ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები. ჟურ. „ეკონომიკისტი“, N4.

POVERTY ISSUE IN GEORGIA

MURMAN KVARATSKHELIA
Doctor of Economic sciences, Professor,
Academician of Academy Georgian Economic Sciences, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.025

KEYWORDS: GLOBALIZATION, ECONOMIC SECURITY, POVERTY, GROSS PRODUCT FOREIGN TURNOVER, DEMOGRAPHIC SECURITY

SUMMARY

The article discusses the challenges facing Georgia during the globalization period. The peculiarities of transition to the principles of the market economy of the country, analysis of macroeconomic indicators, especially dynamics of GDP (gross domestic product) in recent years. In addition, the essence of economic security and the importance of the country's economic development stabilization process is analyzed.

The main issues that the article highlights are economic security indicators such as demographic safety, economic and economic development trends, economic security, poverty level indicators, population revenue trends, relative poverty and employment issues.

საყოველთაო საბაზისო შემოსავალი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.026

ქეთი ბიჭია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, თსუ-სა და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ISET-ის პროფესორის ასისტენტი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ავტომატიზაცია, საყოველთაო საბაზისო შემოსავალი, უმუშევრობა


ეკონომიკის ტრანსფორმაცია ავტომატიზაციის შედეგად

დღევანდელი ეკონომიკა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პროცესს განიცდის, რაც გამოწვეულია ავტომატიზაციის სწრაფი ტემპებით თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით. ადამიანის წილი წარმოების თუ მომსახურების პროცესში უფრო და უფრო ნაკლებია, რადგან გაჩნდა შესაძლებლობა, სამუშაო რობოტების ან ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესრულდეს. მაკინზის გლობალური ინსტიტუტში შეისწავლეს ავტომატიზაციის ეფექტი გლობალურ ეკონომიკაზე და დაასკვნეს, რომ 2055 წლისთვის დღეს არსებული სხვადასხვა საქმიანობის ნახევრის ავტომატიზაცია იქნება შესაძლებელი (Manyika, Chui et al., 2017). მსგავს მომავალს ელიან სხვა მკვლევარებიც (Frey & Osborne, 2013; Santers, 2016). ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა პოლიტიკა და ძველი ტექნოლოგიების მიმართ სენტიმენტური დამოკიდებულება, შესაძლოა ავტომატიზაცია დამატებით 20 წლით დაყოვნდეს, განვითარებად ქვეყნებში კი შეიძლება უფრო მეტადაც გადაიწიოს თარიღმა. თუმცა, ავტომატიზაცია გარდაუვალია, რადგანაც საშუალებას იძლევა, წარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდეს და გარკვეულ შემთხვევებში წარმოების შედეგი გაუმჯობესდეს. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ავტომატიზაციის შედეგად მწარმოებლურობა წლიურად 0.8-1.4 პროცენტით შეიძლება გაიზარდოს გლობალურად. ადამიანური შეცდომის გამორიცხვა და ავადმყოფობით, დაღლილობითა თუ სხვა მიზეზით გამოწვეული წარმოების შენელების აღმოფხვრა აუცილებლად გაზრდის მწარმოებლურობას ნებისმიერ სფეროში, სადაც ავტომატიზაცია შესაძლებელია (Manyika, Chui et al., 2017).

მიმდინარე ტექნოლოგიურ წინსვლა განიხილება, როგორც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია (Schwab, 2016). ეს გულისხმობს როგორც რობო-ტექნიკის განვითარებას, რომელსაც შეუძლია რუტინული დავალებების შესრულება, ასევე ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც გონებრივ სამუშაოს ჩაანაცვლებს. მაიკლ ჩუი, მაკინზის გლობალური ინსტიტუტის პარტნიორი, აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის 60%-ში ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს 30%-ის ავტომატიზაციაა შესაძლებელი, რომელსაც რობოტები, ხელოვნური ინტელექტი, „მანქანური სწავლება" თუ „ღრმა სწავლება" ჩაანაცვლებს (Caughill, 2017).

ავტომატიზაციის დადებითი ეფექტი უდავოა. თუმცა ადამიანების შრომის ჩანაცვლებას მოჰყვება უმუშევრობის ზრდა. ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და გადაჭრის გზების ძებნა დღესვე საჭირო. ტექნოლოგიური უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომუშავეთა გადამზადება. დოქტორი ჩუი აღნიშნავს, რომ მსგავსი მასიური გადამზადების გამოცდილება არსებობს გარდამავალი პერიოდიდან, როცა ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი გადავიდა სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიაში. მაგალითად, აშშ-ში სამუშაო ძალის 40% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, რაც მხოლოდ 2%-მდე ჩამოვიდა XX საუკუნის ბოლოს. დანარჩენებმა მოახერხეს

ავტომატიზაციის შესაძლებლობა, დღეისთვის არსებული ტექნოლოგიების ათვისებით შესაძლო ავტომატიზაციის მაჩვენებელი აქტივებზე დახარჯული დროის %-ებში



წყარო: O*NET 2014 database; McKinsey analysis

McKinsey&Company

ნახაზი 1. ავტომატიზაციის პოტენციალი აშშ-ში სხვადასხვა სამუშაო პოზიციისთვის


ადაპტაცია და ახალი საქმიანობის გამონახვა (Manyika, Chui et al., 2017). თუმცა ამ შემთხვევაში რომელი გადააჭარბებს – არსებული სამუშაოების ავტომატიზაციის დონე თუ მის შედეგად შექმნილი ახალი სამუშაოების რაოდენობა – წინასწარ ძნელი შესაფასებელია. ადრე არსებული გამოცდილებისგან განსხვავებით, დღეს დაბალკვალიფიციური სამუშაოს უდიდესი ნაწილის ჩანაცვლება ხდება, წარმოშობით კი მაღალკვალიფიციური სამუშაო უფრო ჭარბობს, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის.

ავტომატიზაციის პროცესს სხვადასხვა გავლენა აქვს განსხვავებულ სფეროებზე. ეს დამოკიდებულია 5 ფაქტორზე: ტექნიკური შესაძლებლობა; ავტომატიზაციის ხარჯები; შესაბამისი სამუშაოს შემსრულებელი მუშახელის შეფარდებითი სიმწირე, უნარები და ხარჯები; ადამიანური შრომის ჩანაცვლების გარდა დამატებითი სარგებელი ავტომატიზაციიდან; სოციალური ნორმები და რეგულაციები (Chui, Manyika & Miremadi, 2016). ავტომატიზაციის აუცილებელი პირობაა ტექნიკური შესაძლებლობის არსებობა, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია აპარატურის შექმნის და მოქმედებაში ჩაშვების ხარჯი, რაც არ უნდა აღემატებოდეს ადამიანური კაპიტალის გამოყენების ხარჯს. ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნა-მიწოდების დინამიკა – თუ შრომის სიჭარბეა ბაზარზე და ავტომატიზაციასთან შედარებით იაფია მუშახელის დაქირავება, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ავტომატიზაციის წინააღმდეგ. მეოთხე ფაქტორია ავტომატიზაციით გამოწვეული დამატებით ეფექტები – წარმოების უფრო მაღალი დონე, ხარისხის გაუმჯობესება, წუნის შემცირება და სხვა. სოციალური ნორმები და რეგულაციებიც მნიშვნელოვანია. გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა რობოტებს შეეძლოთ ადამიანების ჩანაცვლება, მაგრამ ეს სოციალური კუთხით მიუღებელი იყოს დღევანდელი გადმოსახედიდან. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მედდის საქმიანობა. პაციენტები ელიან ადამიანურ თანაგრძნობას და რობოტი მედდა შეიძლება უარყოფითად იქნეს მიღებული საზოგადოებაში (Manyika, Chui et al., 2017).

ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, ზოგ სფეროში შესაძლებელია ადამიანური შრომის სრულად ჩანაცვლება, ზოგან – ნაწილობრივ, ზოგან კი შესაძლებელია ადამიანური რესურსის სხვა მიმართულებით მობილიზება და რუტინული საქმიანობის ჩანაცვლება. მაგალითად, ფინანსური მომსახურების და დაზღვევის სფეროში მომუშავეების სამუშაო დროის დაახლოებით 50% იხარჯება მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე, რისი ავტომატიზაციის პოტენციალიც ძალიან მაღალია. იპოთეკური მომსახურების ბროკერების საქმიანობაში დროის ძირითადი ნაწილი აპლიკაციების დამუშავებას ეთმობა, რისი ნაწილობრივ ავტომატიზაციაც შესაძლებელია (Manyika, Chui et al., 2017). გაყიდვების, კვების სფეროში მომსახურების, განათლების, ჯანდაცვის და მრავალი სხვა მიმართულებით სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია 800-მდე სხვადასხვა საქმიანობის 2000-მდე აქტივობის ჩანაცვლება. მიმართულებები მთლიანი შრომის ბაზრის 45%-ზე მეტს მოიცავს, რაც ხელფასებში 2 ტრლნ დოლარს სცდება წლიურად მთელი აშშ-ს მასშტაბით. სამუშაო ძალის მაჩვენებელში რომ გადავიყვანოთ, 60 მლნ სრული განაკვეთით მუშაობის ეკვივალენტის ჩანაცვლებაა შესაძლებელი ავტომატიზაციის საშუალებით. მსოფლიო მასშტაბით ეს მაჩვენებელი ადის 14.6 ტრლნ დოლარამდე, სადაც ძირითადი წილი ჩინეთზე მოდის $3.6 ტრლნ, ხოლო ევროპის დიდი ხუთეულის წილი კი არის $1.9 ტრლნ (Chui, Manyika & Miremadi, 2016). ეს მხოლოდ დღეისათვის ცნობილი ტექნოლოგიებით, თუ ხელოვნური ინტელექტის და ღრმა სწავლების ტექნოლოგიები იგივე ტემპით გააგრძელებს განვითარებას, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13%-ით შეიძლება გაიზარდოს (Manyika, Chui et al., 2017).

ავტომატიზაციის დანერგვის ტენდენცია ბევრ სფეროში შეინიშნება. ელექტრონული ვაჭრობის კომპანია Amazon – საწყობებში მომუშავე რობოტები ადამიანებზე 4-ჯერ სწრაფად წყვეტენ დაგეგმვის, ნავიგაციის და კოორდინაციის პრობლემებს (Knight, 2015). Tesla და Google – თვითმართვადი ავტომობილები მძღოლის საჭიროების გარეშე. დუბაიში სულ ცოტა ხნის წინ მიიღეს გადაწყვეტილება პოლიციის დამხმარე რობოტების გამოყენების შესახებ. ისინი დაეხმარებიან მოქალაქეებს, რომ პოლიციას დანაშაულის შესახებ შეატყობინონ, ჯარიმები გადაიხადონ ან მიიღონ პასუხები კითხვებზე ("Dubai gets its first robot policeman", 2017). Coursera და მსგავსი პროექტები განათლების მიმართულებით – ონლაინ სასწავლო კურსები ამცირებს მასწავლებლების საჭიროებას, რადგან უკვე ერთი საკლასო ოთახით არაა შეზღუდული სწავლის პროცესი და ყველას შეუძლია მისთვის საუკეთესო პროგრამა შეარჩიოს დისტანციურად. რობოტექნოლოგიები გამოიყენება სოფლის მეურნეობაშიც, ავტომატიზაციამ ხელი დაატყო ყველა სფეროს და ეს ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯებია. ბლოკჩეინის ტექნოლოგიების განვითარება მრავალი სექტორის გარდაქმნას გამოიწვევს, განსაკუთრებით ფინანსური ბაზრების. ის მნიშვნელოვნად ამცირებს გადარიცხვის ხარჯებს. ეს ნიშნავს, საბანკო სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილის ფუნქციების ადამიანური ჩარევის გარეშე შესრულებას.

ავტომატიზაცია შეეხება როგორც დაბალანაზღაურებად, ისე მაღალანაზღაურებად პროფესიებს. თუმცა, მაღალანაზღაურებადი პროფესიები ნაკლებად ჩანაცვლებადია, როგორც ნახაზიდან ჩანს (Chui, Manyika & Miremadi, 2015).



ნახაზი 2. ხელფასების და ავტომატიზაციის პოტენციალის შედარება აშშ–ს სამუშაო ძალაში.

სსშ, როგორც ავტომატიზაციის გამოწვევაზე პასუხი სხვადასხვა ქვეყანაში

ავტომატიზაციის შედეგად შრომის ბაზარი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. საყოველთაო საბაზისო შემოსავლის (სსშ) იდეა აქტიურად განიხილება, როგორც მოსალოდნელი პრობლემის გადაჭრის არც ისე სასურველი, თუმცა, შესაძლოა ერთადერთი გზა. **სსშ გულისხმობს ფულის გაცემას ყველა მოქალაქისთვის პერიოდულად, თანაბრად და უპირობოდ სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ, სხვა წყაროებიდან გამომუშავებულ შემოსავალზე დამატებით** (Chohan, 2017). სსშ-ს მომხრეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის უნდა განისაზღვროს ისე, რომ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყოს. ამიტომ სიღარიბის ზღვარზე დაბალი საბაზისო შემოსავალი ითვლება ნაწილობრივ საბაზისო შემოსავლად.

სსშ შეიძლება არც ისე კარგი გამოსავალი იყოს მოსალოდნელი კრიზისიდან, მაგრამ ის შეიძლება ერთად-ერთი შესაძლო გამოსავალი აღმოჩნდეს მოკლევადიან პერიოდში. სსშ-ს იდეა საკმაოდ ძველია და მასზე საუბრობდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე ფილოსოფოსები. თუმცა დღევანდელი ავტომატიზაციის ტემპებიდან გამომდინარე, ის ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა და ბოლო პერიოდში პოლიტიკური დებატების არენაზეც გადაინაცვლა. თითო-ეული მოქალაქისთვის გარანტირებულ თანაბარი დონის შემოსავალი, რომლითაც მათ შეუძლიათ ელემენტარული საჭიროებები დაიკმაყოფილონ, პოლიტიკოსებისთვის მიმზი-დველ სალაპარაკო თემას წარმოადგენს. ამასთან, სსშ-ს არ დაკარგავს მოქალაქე, რომელიც დამატებით იმუშავებს მისი შემოსავლის გაზრდის მიზნით.

ამ პროგრამის აქტუალობა განსაკუთრებით გამო-იკვეთა დღევანდელი ავტომატიზაციის სწრაფი ტემპების მიერ შექმნილი საფრთხის ფონზე. სსშ-ს შესახებ ალაპა-რაკდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე პოლიტიკოსები და ცნობადი სახეებიც (მათ შორის მილტონ ფრიდმანი, კრისტოფერ პისარიდისი, გაი სტენდინგი, ბარაკ ობამა, ბილ გეითსი, მარკ ცუკერბერგი, ილონ მასკი...). ფრიდმანის წიგნში „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ (Friedman, 1962) საუბარია უარყოფით საშემოსავლო გადასახადზე, რომე-ლიც მოსახლეობას გარკვეულ სუბსიდიებს სთავაზობს შემოსავლების დონის მიხედვით, რომელიც მცირდება და ნელ-ნელა გადასახადში გადადის შემოსავლის ზრდას-თან ერთად (სსშ-ს მსგავსი პროგრამა, თუმცა, მისგან განსხვავებით, ყველა თანაბარ სარგებელს არ იღებს). ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ სსშ-ს ნაცვლად მთავრობამ

რობოტების დაბეგვრა უნდა დაიწყოს და ეს ფული გამოიყენოს უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დასახმარებელი ან განათლების პროგრამებისთვის, რადგან მომუშავეები რობოტებთან თანაბარ სიტუაციაში რომ იყვნენ, ისინიც უნდა დაიბეგრონ (Houser & Javelosa, 2017; Blackwell, 2017).

სსშ-ს ირგვლივ გრძელდება დებატები და მათ პარალელურად მიმდინარეობს ექსპერიმენტები მსოფლიო მასშტაბით. რამდენად გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ნაწილობრივი სსშ-ს მსგავსი პროგრამა უკვე მოქმედებს ალიასკაში, აშშ-ში ჯერ კიდევ 1982 წლიდან. შექმნილია ალიასკის მუდმივი ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს შტატის მოსახლეობას ნაწილობრივი საბაზისო შემოსავლით. სსშ-ს მსგავსად, ის არის უნივერსალური, ყველა ადამიანი იღებს თანაბარ სარგებელს უპირობოდ და თანაბარი პერიოდულობით. თუმცა, სსშ-სგან განსხვავებით, მისი მოცულობა ცვალებადია წლიდან წლამდე და სიღარიბის ზღვართან შედარებით დაბალია. პროგრამის თავისებურება ისაა, რომ ფონდი ფინანსდება ნავთობმრეწველობით, რაც შტატის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს და ის გამოიყენება ინვესტიციებისთვის, პირდაპირი ხარჯვის ნაცვლად ფონდი ანაწილებს ინვესტიციებიდან მიღებულ სარგებელს, რაც ფონდის გრძელვადიანი ფუნქციონირების გარანტიას იძლევა. ფონდის თავისებურებიდან გამომდინარე ის სხვადასხვანაირად მოქმედებს მომხმარებლების ქცევაზე. ალიასკის მაგალითზე ჩატარებულ კვლევაში საუბარია, რომ სსშ-ს მსგავსი პროგრამა ეკონომიკის სტაბილურობას ზრდის, რადგან ყველა სხვა მაჩვენებლის რყევის შემთხვევაში არსებობს შემოსავლის წყარო, რომელიც ყველას თანაბ-რად მიეწოდება. ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ უპირობო შემოსავლის მიღების შემთხვევაში ადამიანები შრომის მიწოდებას შეამცირებენ, თუმცა, ეს ასე არ მომხდარა ალიასკის შემთხვევაში (მხოლოდ მოსახლეობის 1%-მა შეამცირა შრომის მიწოდება) და ამის მიზეზი ისაა, რომ უმრავლესობას სურს მუშაობა, მაგრამ სამუშაო ადგილების ნაკლებობა ქმნის დასაქმების პრობლემას, რაც მცირე ქალაქებისთვის დამახასიათებელია (Goldsmith, 2010). ალიასკის მაგალითი ნავთობის რესურსის ქონის გარდა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ იქაური მკაცრი ბუნებრივი პირობები მას საცხოვრებლად არასასურველ ადგილად აქცევს, რისი კომპენსირების მიზნითაც სახელმწიფო დამატებით მოტივაციას ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქ დასარჩენად. ამის გამო ძნელია ასეთი მაგალითიდან სსშ-ს შესახებ ზოგადი დასკვნების გამოტანა. აშშ-ში არსებული სოციალური დაცვის ლიბერალური მოდელი მით უფრო ძნელად წარმოსადგენს ხდის სსშ-ს პროგრამის ქვეყნის მასშტაბით განხორციელებას. მით უმეტეს, თუ სხვადასხვა სოციალური რისკების მქონე მოსახლეობისთვის არსებული დახმარების პროგრამის გაუქმება გახდება საჭირო (გაგნიძე, 2012).

ბოლო წლებში სსშ-ს საცდელი პროგრამები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება. მათ შორის, ფინეთში, ნიდერლანდებში, კანადაში, აშშ-ში, ინდოეთისა და კენიის გარკვეულ სოფლებში და სხვა. ექსპერიმენტების მიზანია, დაადგინოს, რამდენად რეალისტურია სსშ-ს პროგრამის მასშტაბურად განხორციელება და როგორ შეიძლება იმოქმედოს მან მუშაობის მოტივაციაზე, მოსახლეობის კეთილდღეობასა და მათ სამომხმარებლო ქცევაზე.

მეცნიერები აქტიურად ადევნებენ თვალს ფინეთს, სადაც 2017 წლის 1 იანვარს დაიწყო ექსპერიმენტი სსშ-ს პროგრამის ეფექტიანობის გასარკვევად და ის 2 წელი უნდა გაგრძელდეს. 25 წლიდან 58 წლამდე ასაკის 2000 ადამიანი, რომელიც უმუშევრობის სარგებელს იღებს, ჩაერთო სსშ-ს ექსპერიმენტში და სხვადასხვა ქალაქიდან ქვეყნის მასშტაბით ისინი იღებენ 560 ევროს უპირობოდ და ყოველთვიურად (თუ მუშაობას გადაწყვეტენ, ამ შემოსავალს მაინც არ დაკარგავენ). ეს მხოლოდ პირველი ეტაპია ექსპერიმენტე-ბის სერიაში, რაც მიზნად ისახავს გაარკვიოს, როგორი იქნება ყველაზე ეფექტური სსშ-ს სისტემა და როგორ იმოქმედებს ის მომუშავეებზე, ასევე დასაქმების დონეზე. შემდეგ ეტაპზე უკვე მოიაზრება უფრო ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა და მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. ასევე შესაძლებელია უარყოფითი საშემოსავლო გადასახადის მოქმედებაზე ექსპერიმენტის ჩატარება (KELA, report on universal basic income experiment in Finland, 2016). უმუშევრობის დონე ფინეთში არის 8.1%, რისი შემცირების იმედიც არსებობს სსშ-ს საშუალებით. ამჟამად არსებული სისტემა უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს ძებნის მოტივაციაზე, რადგან მცირედი შემოსავალიც კი ძლიერ ამცირებს იმ სარგებელს, რასაც უმუშევრობის პირობებში იღებენ. სსშ-ს ეს პრობლემა არ ექნება, რადგან მუშაობის დაწყება არ ამცირებს მის მოცულობას. წარმატების შემთხვევაში ფინეთში ამ პროგრამის უფრო ფართო მასშტაბით განხორციელება იგეგმება. პროგრამისთვის გამოყოფილია 20 მლნ ევრო და წარმატების შემთხვევაში ის შეიძლება ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს, რისი ღირებულებაც 16 მლრდ ევრო იქნება. შედარებისთვის დღეს 13.4-14.5 მლრდ ევრო იხარჯება სოციალურ პროგრამებზე.

ასევე საინტერესოა უტრეხტის ექსპერიმენტი ჰოლან-დიაში, სადაც 250 მოქალაქე მიიღებს თვიურად 960 ევროს. ექსპერიმენტი უნდა გაგრძელდეს 2 წელი (Brown Hamilton, 2016). პროგრამა ითვალისწინებს 6 სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა ეფექტის შესამოწმებლად. ერთი ჯგუფი უმუშევრობის დაზღვევის სახით მიიღებს ფულს სამსახურის ძიების ვალდებულებით და პირობების დარღვევის შემთხ-ვევაში შესაბამისი სანქციებით, მეორე ჯგუფი დახმარებას უპირობოდ მიიღებს სამსახურის ძებნის ვალდებულების გარეშე, მესამე ჯგუფის წევრები დამატებით 125 ევროს მიიღე-ბენ დამატებით ნებაყოფლობითი სამუშაოების შესრულების

შემთხვევაში, მეოთხე ჯგუფში კი დამატებით 125 ევროს ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებენ, მაგრამ უკან მოუწევთ დაბრუნება თუ ნებაყოფლობით სამუშაოს არ შეასრულებენ. ერთი ჯგუფი ძველი სისტემით მიიღებს სოციალურ დაზღვევას, ხოლო ბოლო ჯგუფი კი იქნება არა შემთხვევითად შერჩეული, არამედ იმათგან შემდგარი, ვინც მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. პროექტი 2017 წლის 1 მაისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერაც მიმდინარეობს მისი განხილვა. ასევე იგეგმება პროექტის დაწყება ნიდერლანდების სხვა ქალაქებში, თუმცა ჯერ უცნობია როდის (McFarland, 2017). ერთი გეგმა გულისხმობს უმუშევრობის დაზღვევის პირობების მოხსნას და უპირობო დახმარების გაცემას ფინეთის ექსპერიმენტის მსგავსად. ასევე მუშავდება მეორე გეგმა, რომლის მიხედვითაც დახმარება შემცირდება მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მაგრამ ნელი ტემპებით (გამომუშავებული შემოსავლის 50%-ით 75%-ის ნაცვლად). ამჟამად არსებული უმუშევრობის დაზღვევა აყენებს გარკვეულ პირობებს, რომ მოქალაქემ ყოველდღიურად უნდა აგზავნოს აპლიკაციები და ყველა შესაძლო სამსახურზე უნდა დათანხმდეს. ამ პირობების მოხსნა სსშ-ს ექსპერიმენტში განპირობებულია ბიჰევიორული ეკონომიკის კვლევებით, რაც აჩვენებს, რომ გარე ზეწოლა შიდა მოტივატორებს ასუსტებს და უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს მაძიებელზე (McFarland, 2017).

2011-2012 წლებში ექსპერიმენტი 2 ეტაპად ჩატარდა ინდოეთში. შემთხვევითობის პრინციპის დაცვით და პროექტის განხორციელების სამივე ეტაპზე რელევანტური ინფორმაციის მოპოვების საშუალებით გაკეთდა ძალიან საინტერესო დასკვნები. ინდოეთის 9 სოფლის 6000-მდე კაცმა, ქალმა და ბავშვმა მიიღო ყოველთვიური სსშ წლინახევრის განმავლობაში და ჯამში 15000-მდე ადამიანზე მოხდა დაკვირვება. პროექტის დასასრულს შეინიშნებოდა საცხოვრებელი პირობების, კვებითი ღირებულების, სანიტარიის, ჯანმრთელობის და განათლების დონის გაუმჯობესება სსშ-ს მიმღებ მოსახლეობაში. მსგავსი შედეგები იყო ნამიბიაში განხორციელებულ საპილოტე პროგრამაშიც (Schjoedt, 2016). ამასთან, დააკვირდნენ ალკოჰოლის მოხმარებას, რისი გაზრდის საშიშროებაც სსშ-ს მოწინააღმდეგეთა გარკვეული ნაწილის ერთ-ერთი არგუმენტია. არსებული წარმოდგენის საპირისპიროდ, ღარიბ მოსახლეობას ალკოჰოლში არ გადაუყრია ფული და ძირითადად უფრო გრძელვადიან აქტივებში ჩადეს, როგორიცაა სახლის პირობების, სატრანსპორტო ან კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესება, ასევე განათლება. სსშ-ს მიმღებთა შორის ალკოჰოლის მოხმარება მცირედით შემცირდა კიდეც, რაც სავარაუდოდ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შედეგად სტრესის შემცირებას უკავშირდება. მწარმოებლურობის მხრივ არსებობს მოსაზრება, რომ ეგრეთწოდებული „უფასო ფული“ ხალხს აზარმაცებს და მუშაობის მოტივაციას ამცირებს. თუმცა, სწორად მიმართულ სსშ-ს სრულიად საპირისპირო ეფექტი აქვს. ინდოეთის სოფლებში სსშ-ს პროგრამაში მონაწილე ადამიანები ძირითადად სხვის ფერმაზე მიდიოდნენ სამუშაოდ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ, სსშ-ს მიღების შემდეგ კი საკუთარ მიწაზე დაიწყეს მუშაობა. შედეგად ხელფასზე მომუშავეთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ ფერმერთა რიცხვი, რომელიც საკუთარ მიწას ამუშავებს, საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან, ადამიანები გახდნენ სესხებზე ნაკლებად დამოკიდებულნი და მეტად ორიენტირებულნი დანაზოგებზე **(Perkiö, 2014).** ინდოეთში წარმოადგინეს სსშ-ს ფართომასშტაბიანი გეგმაც, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქისთვის წლიურად 7,620 რუპიის (285 ლარი) გადახდა უნდა მოხდეს, თუმცა პროგრამის გაშვება ახლო მომავალში არ იგეგმება (Tognini, 2017).

სსშ-ს პროგრამა მუშავდება ოკლენდში, კალიფორნიის შტატში, სადაც 100 რეზიდენტს ყოველთვიურად გადაეცემა 1000-2000 დოლარი და პროგრამა გაგრძელდება 6 თვიდან 1 წლამდე. პროექტის ინიციატორია კომპანიების ტექნოლოგიური ჰაბი Y Combinator. მონაწილეები თავისუფალი იქნებიან არჩევანში იმუშაონ თუ არა, რომელ ქვეყანაში იცხოვრონ და როგორ გამოიყენონ მიღებული შემოსავალი (Smith, 2016; Altman, 2016). მსგავსი პროგრამა შტატის დონეზეც განიხილება, თუმცა მას ჯერჯერობით მომხრეების დიდი რაოდენობა არ ჰყავს, ძირითადად იმ მიზეზით, რომ სსშ-ს მსგავსი პროგრამის დაფინანსება ძვირი დაჯდება და სავარაუდოდ გადასახადების დონის მკვეთრი ზრდის ხარჯზე თუ მიიღწევა (Brown, 27.05.2017). ალტერნატივის სახით 2017 წლის ივლისში კალიფორნიის სენატორმა წარადგინა ნახშირბადის ლიმიტის და ვაჭრობის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქარხნების მიერ ნახშირბადის გამოყოფის შეზღუდვა მოხდება არა პირდაპირი გზით, არამედ თითოეულ მოქალაქეზე გადანაწილდება გარკვეული რაოდენობა და მათ შეეძლებათ ვაჭრობა ამ ლიმიტით. ვინც ლიმიტს არ გამოიყენებს, მას შეეძლება მიყიდოს, ასე ვთქვათ, დაბინძურების უფლება, იმათ, ვინც საკუთარ ლიმიტზე მეტს მოიხმარს. ამ ახალი ინსტიტუციური გარემოსთვის ჩამოყალიბდა კალიფორნიის კლიმატის დივიდენდების პროგრამა, რომელიც კვარტალურად გაანაწილებს ფულს კალიფორნიის ყველა მაცხოვრებელზე. საბაზისო შემოსავლის მომხრეები განიხილავენ პროგრამას, როგორც სსშ-ს საფუძველში დადებულ აგურს და ეს პროგრამა დღეისათვის სსშ-ზე უფრო რეალურად განხორციელებადია (McFarland, 2017).

კანადაში უკვე გამოხატეს მზადყოფნა და ონტარიოში სადაც ახლო მომავალში დაიწყება სსშ-ს საცდელი პროექტი. ქვეყანაში ჯერ კიდევ 1974 წლიდან არსებობს მსგავსი ექსპერიმენტის გამოცდილება, როცა 1000 კაცის მონაწილეობით დაიწყო საპილოტე პროგრამა სიღარიბის ზღვრის 60% მოცულობის ხელფასით, რაც დაახლო-

ებით 16000 კანადურ დოლარს შეადგენს წლიურად დღევანდელი მონაცემებით. სამწუხაროდ, პროგრამის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა, რადგან ბიუჯეტი 4 წელში ამოიწურა, რაც პროგრამით გათვალისწინებული პერიოდის მხოლოდ ნახევარი იყო. ათწლეულების შემდეგ მანიტობას უნივერსიტეტის პროფესორმა ეველინ ფორგეთმა მოიძია პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მიღებული მონაცემები და, როგორც აღმოჩნდა, ამ პერიოდში უბედური შემთხვევების, ჰოსპიტალიზაციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის შემთხვევები შემცირდა. შრომის მოტივაცია პროექტის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა, მხოლოდ ქალების დეკრეტის პერიოდი გაიზარდა და სასკოლო ასაკის მოქალაქეები უფრო მეტად რჩებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად მუშაობის დაწყების ნაცვლად. ერთიანობაში, სსშ აღიქმებოდა მოსახლეობის მიერ, როგორც სტაბილურობის შენარჩუნების საშუალება (Kassam, 2016).

შვეიცარიაში 2016 წელს ჩატარდა რეფერენდუმი სსშ-ს შესახებ, რომელიც გარანტირებულ 2500 შვეიცარიულ ფრანკს გულისხმობდა ყოველთვიურად (და 625 ფრანკს 18 წლამდე მოსახლეობისთვის), მაგრამ მოსახლეობის 77%-მა უარი განაცხადა ამ პროგრამაზე (Minder, 2016). თუმცა, ამით არ დასრულებულა სსშ-ს მექანიზმების განხილვა. გამოკითხვის მიხედვით, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნიდან მოსახლეობის 68% მზადაა ხმა მისცეს სსშ-ს მსგავს რაიმე პროგრამას, რომელიც უპირობო შემოსავლის გარკვეულ წყაროს მისცემს მოსახლეობას, თუ პროგრამა კარგად იქნება შემუშავებული (“Two-thirds of Europeans for basic income”, 2016).

სსშ-ს იდეის შესწავლაში იტალიაც ჩაერთო და დაიწყო ლივორნოს 100 ყველაზე ღარიბი ოჯახისთვის 500 ევროს თვიური უპირობო ხელფასის გაცემა, რასაც კიდევ 100 ოჯახი უნდა დაემატოს ახლო მომავალში. ამასთან, რაგუ და ნეაპოლიც განიხილავს მსგავსი პროგრამის პოლიტიკას (“Two-thirds of Europeans for basic income”, 2016). მსგავსი პროგრამები სხვაგანაც იყო მცირე მასშტაბებით. იდეა გაჟღერდა საფრანგეთშიც, სადაც 2017 წლის 23 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა და ერთ-ერთმა კანდიდატმა, ბენუა ჰამონმა, 600 ევროს (შემდგომ კი 5 წლის განმავლობაში 750 ევრომდე გაზრდილი) თვიური სსშ-ს იდეა წამოაყენა, თუმცა მან არჩევნებში გამარჯვება ვერ მოიპოვა (Tognini, 2017).

საინტერესო იქნება მიმდინარე და დაგეგმილი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი, განსაკუთრებით კი მათი შედარება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, რადგან სხვადასხვა ფაქტორებმა შეიძლება იმოქმედოს. ასევე საინტერესოა საარსებო მინიმუმზე მცირე, საარსებო მინიმუმის ტოლი და მასზე დიდი საყოველთაო საბაზისო შემოსავლის გავლენა მოსახლეობის აღქმასა და ქცევაზე. ექსპერიმენტების დიდი ნაწილი დადებითი შედეგის მოლოდინს ქმნის, თუმცა, სსშ-ზე დამოკიდებულება არც ისე სასურველი გამოსავალია. საბოლოოდ, სსშ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც სიმპტომის და არა პრობლემის გადაჭრა. პრობლემის მოსაგვარებლად კი უფრო სწორი იქნება სამუშაო ძალის გარდაქმნაზე ორიენტირება. მისი მორგება ახალი ეკონომიკის პირობებისთვის. მრავალი პროფესია მომავალში აღარ იქნება მოთხოვნადი, თუმცა ჩნდება ახალი პროფესიები. საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება და ბიძგის მიცემა, რომ მეტად მიმართონ უნარები მზარდი მოთხოვნის პროფესიების დასაუფლებლად, რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან. და თუ ეს საკმარისი არ იქნება, უნარები მიმართონ ადამიანური რესურსის ათვისების ახალი გზების ძიებისკენ. ეს პროცესი განსაკუთრებით რთული იქნება, რადგან მეტ წილად ქრება დაბალი კვალიფიკაციის საჭიროების პროფესიები და ჩნდება კვალიფიკაციაზე მაღალი მოთხოვნის მქონე პროფესიები. ამიტომ, გადამზადება და განათლების მიღება აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისთვის, რომ ადამიანები მზად შეხვდნენ შრომის ბაზარზე შეცვლილ გარემოს.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია ის, რომ მომუშავეთა მხრიდან ინფორმაციის გამომყენებლის უნარის ნაცვლად ინტუიციის და ღრმა გააზრების ექსპერტებად ჩამოყალიბება უფრო ფასდება. ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაცია სულ რაღაც ერთი ღილაკის დაჭერის მანძილზეა. განსაკუთრებით მცირდება ადამიანის ტვინში ინფორმაციის შენახვის საჭიროება ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად. დღეს ადამიანის უპირატესობა რობოტთან შედარებით არის მის უნარში, სწორი დასკვნები გააკეთოს არსებული ინფორმაციის გამოყენებით. ეს სიტუაცია ქმნის გამოწვევებს განათლების სისტემისთვისაც, რომელიც ეყრდნობა მოძველებულ, ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს და ნაკლებად შეფასების და ანალიზის მეთოდებს. თანამედროვე ტექნოლოგიებთან ბრძოლა სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით თავიდანვე განწირულია დამარცხებისთვის და არავითარ შემთხვევაში ქვეყანამ ეს გზა არ უნდა აირჩიოს. საჭიროა ცვლილებებისთვის თავიდანვე სწორად დახვედრა და პროდუქტიულობის და ხარისხის ზრდის ყველა საშუალების ღიად მიღება. ეკონომიკის ბედი დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების უნარზე, ადვილად აუწყონ ფეხი ცვალებად გარემოს, გარემოს ცვლილება კი გარდაუვალი მოვლენაა.

დასკვნა

ავტომატიზაციის პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს და ეს ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე უდიდეს გამოწვევებს შრომის ბაზარზე. მწვავდება უმუშევრობის დონის პრობლემა, რისი გადაჭრის ერთ-ერთ გზად მოიაზრება საყოველთაო საბაზისო შემოსავლის პროგრამა. ეს არც ისე ახალი იდეაა, თუმცა, განსაკუთრებული

პოპულარობა მოიპოვა დღევანდელი სიტუაციის პირობებში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი პროგრამის განხორციელება დიდ რესურსებს მოითხოვს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მიმდინარე ექსპერიმენტები აჩვენებენ მის ძირითადად დადებით ეფექტს საზოგადოებაზე. სიღატაკის ზღვარზე მცხოვრებ მოსახლეობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სსშ–ს პროგრამამ მათი ჯანმრთელობის, განათლების, საკრედიტო თუ საცხოვრებელი პირობები გააუმჯობესა, თუმცა, ეფექტები საშუალო შემოსავლიან მაცხოვრებლებზე შეიძლება განსხვავებული იყოს და ამას მომავალი ექსპერიმენტები სჭირდება. პროგრამის ქვეყნის მასშტაბით განხორციელება ჯერაც დიდი გამოწვევაა, ძირითადად მსგავსი პროგრამის დაფინანსების სირთულის გამო. მომდევნო წლებში კიდევ მრავალი საინტერესო დეტალი გაირკვევა დაგეგმილი ექსპერიმენტებიდან. ალტერნატიულად, ნახშირორჟანგის გამოყოფაზე გადასახადი ან კერძო დაფინანსების წყაროებიც მოიაზრება.

სსშ–ს პროგრამა შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს გარკვეული ქვეყნებისთვის და პრაქტიკულად შეუძლებელი – დანარჩენებისთვის. საჭიროა ალტერნატიული გეგმის შემუშავება, რაც ძირითადად მომუშავეების ახალი პროფესიების დაუფლებისკენ მოწოდებით შეიძლება გამოიხატოს. ასეთია მაღალკვალიფიციური პროფესიები, ძირითადად კი ის საქმიანობა, რაც კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამ მიმართულებით განათლებაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია; საგანმანათლებლო დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნოლოგიების ღრმა სწავლება და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება აუცილებლად შეუწყობს მოსახლეობას ხელს, არ ჩამორჩეს დროებას და მისი შრომა მოთხოვნადი დარჩეს ეკონომიკაში. თუ ავტომატიზაციის ტექნოლოგიების დაუფლება მოხდება, ეს გამოწვევა შეიძლება დიდ უპირატესობად იქცეს ქვეყნისათვის, არსებული სიტუაციის უგულებელყოფის შემთხვევაში კი მოსახლეობა დიდ სირთულეებს გადააწყდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგნიძე, ი., (2012). კეთილდღეობის ეკონომიკა, რიდერი, თბილისი.
2. Blackwell, A., (March 11, 2017). Bill Gates Addresses UBI on Reddit AMA. http://basicincome.org/news/2017/03/bill-gates-addresses-ubi-reddit-ama/
3. Brown, D., (May 27, 2017). The California Research Bureau's remarks on UBI, BIEN. http://basicincome.org/news/2017/05/california-research-bureaus-remarks-ubi/
4. Brown Hamilton, T., (June 21, 2016). The Netherlands' Upcoming Money-for-Nothing Experiment, The Atlantic. https://www.theatlantic.com/business/archive/2016/06/netherlands-utrecht-universal-basic-income-experiment/487883/
5. Caughill, P., (January 31, 2017). New Study Predicts Nearly Half of All Work Will Be Automated. https://futurism.com/new-study-predicts-nearly-half-of-all-work-will-be-automated/
6. Chohan, U. W., (August 4, 2017). Universal Basic Income: A Review, Discussion Paper.
7. Chui, M., Manyika, J., Miremadi, M., (November 2015). Four fundamentals of workplace automation, McKinsey Quarterly.
8. Chui, M., Manyika, J., Miremadi, M., (July 2016). Where machines could replace humans—and where they can't (yet), McKinsey Quarterly.
9. Frey, C. B., Osborne, M. A., (2013). The Future of Employment: How susceptible are jobs to computerization.
10. Friedman, M., (1962). Capitalism and freedom, Chicago, IL: University of Chicago Press, p.164-165.
11. Houser, K., Javelosa, J., (February 28, 2017). Bill Gates: The World Isn't Ready for Universal Basic Income Now, But We Will be Soon. https://futurism.com/4-bill-gates-thinks-countries-arent-ready-for-basic-income-yet/
12. Kassam, A., (October 28, 2016). Ontario pilot project puts universal basic income to the test, The Guardian. https://www.theguardian.com/world/2016/oct/28/universal-basic-income-ontario-poverty-pilot-project-canada
13. Knight, W., (July 7, 2015). Inside Amazon's Warehouse, Human-Robot Symbiosis. https://www.technologyreview.com/s/538601/inside-amazons-warehouse-human-robot-symbiosis/
14. Manyika, J., Chui, M., Miremadi, M., Bughin, J., George, K., Willmott, P., Dewhurst, M., (January 2017). Harnessing automation for a future that works, McKinsey Quarterly.

15. McFarland, K., (July 22, 2017). San Francisco, CA, US: California State Senator to address questions on UBI and carbon dividend, BIEN. http://basicincome.org/news/2017/07/san-francisco-ca-us-california-state-senator-address-questions-ubi-carbon-dividend/
16. McFarland, K., (May 9, 2017). The Netherlands: Social Assistance Experiments Under Review. http://basicincome.org/news/2017/05/netherlands-social-assistance-experiments-review/
17. Minder, R., (June 5, 2016). Guaranteed Income for All? Switzerland's Voters Say No Thanks, The New You Times. https://www.nytimes.com/2016/06/06/world/europe/switzerland-swiss-vote-basic-income.html?_r=0
18. Perkiö, J., (2014). Universal Basic Income – A New Tool for Development Policy?, International Solidarity Work.
19. Santers, S., (2016). Deep Learning Is Going to Teach Us All the Lesson of Our Lives: Jobs Are for Machines, Mar 16.https://medium.com/basic-income/deep-learning-is-going-to-teach-us-all-the-lesson-of-our-lives-jobs-are-for-machines-7c6442e37a49
20. Santens, S., (March 21, 2017). This is Why Experts Think All People Should Have a Universal Basic Income, Futurism.com. https://futurism.com/why-experts-think-all-people-should-have-universal-basic-income/
21. Schjoedt, R., (April 2016). India's Basic Income Experiment, Pathway's Perspectives on Social Policy in International Development, N0 21.
22. Schwab, K., (January 14, 2016). The Fourth Industrial Revolution: what it means, how to respond, World Economic Forum. https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-fourth-industrial-revolution-what-it-means-and-how-to-respond/
23. Smith, J., (June 1, 2016). Basic Income in California: 100 Oakland Residents Will Get a Salary Just for Being Alive, MicDaily. https://mic.com/articles/144927/basic-income-in-california-100-oakland-residents-will-get-a-salary-just-for-being-alive#.xOtWGczF1
24. Standing, G. (May 30-31, 2013). Unconditional Basic Income: Two pilots in Madhya Pradesh A Background Note prepared for the Delhi Conference.
25. Tognini, G., (February 23, 2017). Universal Basic Income, 5 Experiments From Around The World, BIEN. https://www.worldcrunch.com/culture-society/universal-basic-income-5-experiments-from-around-the-world-1
26. Social Insurance Institution of Finland Kela, (2016). From idea to experiment. Report on universal basic income experiment in Finland, Working papers 106. https://helda.helsinki.fi/handle/10138/167728
27. Dalia Research, (May 11, 2016). Two-thirds of Europeans for basic income - Dalia CEO presents surprising results in Zurich. https://daliaresearch.com/two-thirds-of-europeans-for-basic-income-dalia-ceo-presents-surprising-results-at-future-of-work-conference-in-zurich/
28. Khaleej Times, Dubai gets its first robot policeman, (May 21, 2017). https://www.khaleejtimes.com/nation/dubai/dubai-police-gets-first-robot-policeman
29. https://blog.ycombinator.com/basic-income/

UNIVERSAL BASIC INCOME BASED ON EXPERIENCE OF DIFFERENT COUNTRIES

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.026

QUJI BICHIA
PhD Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Visiting lecturer at Ivane Javakhishvili, Tbilisi State University and European University Teaching assistant at ISET, Georgia

KEYWORDS: AUTOMATION, UNIVERSAL BASIC INCOME, UNEMPLOYMENT

SUMMARY

Automation brings new opportunities and new challenges to the economy. Economic environment is changing with fast pace and this has a huge impact on labor market. Problem of employment is becoming more challenging as robo technologies are replacing labor force. Economists started looking for solutions to this problem and one solution they are considering is universal basic income. The idea of distributing equal income to every citizen has caused different reactions in economists. Even if wages from working makes the income different, many look at the program skeptically. Nonetheless, the idea is being tested in different countries and the results will show how widely the universal basic income may be implemented. Though, more pragmatic approach to the problem would be to help workers adjust their effort towards occupations that would be more demanded in future economy.

კომერციული ვებსაიტების კონტენტის მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა PYTHON-ის ბაზაზე

გიორგი კუჭავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.027

საკვანძო სიტყვები: CONTENT MANAGEMENT SYSTEM, კომპიუტერული აპლიკაცია, PYTHON

CMS – Content Management System შექმნილია ციფრული კონტენტის შექმნისა და მოდიფიკაციისთვის. ის არის კომპიუტერული აპლიკაცია, რომელიც არაპროფესიონალი მომხმარებლის მიერ ვებგვერდების შესაქმნელად და სამართავადაა განკუთვნილი. CMS გამოიყენება ვებ-მასალების კონტროლისთვის, მაგალითად HTML დოკუმენტების, სურათების. კოდირების ენის ცოდნის გარეშე შესაძლებელია საიტის გვერდების შექმნა და სასურველი დიზაინის შერჩევა. ვებპროდუქტების დამწყებნი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ CMS, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა საიტის სამომხმარებლო მხარე საკმაოდ მარტივად შეიქმნას.

CMS ციფრული კონტენტი წარმოადგენს ნებისმიერ შიგთავს, რომელიც ციფრული მონაცემების სახით არსებობს. ციფრული მონაცემები, ინფორმაციის თეორიაში და ინფორმაციულ სისტემებში არის ინფორმაციის დისკრეტული ანუ განცალკავებული, წყვეტილი წარმოდგენა. შემდეგ ინფორმაციის ერთიანად წარმოდგენას თავის მხრივ უზრუნველყოფს მათემატიკური ფუნქცია, რომელსაც უწყვეტობის ფუნქცია ეწოდება. ეს არის ფუნქცია, რომელსაც მცირე ცვლილებები შეაქვს შეტანის (input) და თვითნებურად მცირე ცვლილებები გამოტანის (Output) შედეგებში.

IBM-მა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განავითარა CMS, რომელსაც FileNet ერქვა და ასევე ეწოდებოდა EMS (Enterprise Management System). FileNet იყო პირველი CMS მსოფლიოში.

პირველი სრულყოფილი CMS, რომელიც შეიქმნა იყო AOL-ის (America On Line) მიერ შექმნილი RAINMAN (Remote Automated Information Network Manager), დაახლოებით 1992 წელს. ეს იყო ერთ-ერთი სისტემა, რომელმაც საშუალება მისცა Content Publisher-ს, რომ პირადაპირ ჩაეშენებინათ თავიანთი კონტენტი პირდაპირ ნავიგაციის იერარქიაში; ადრეული ინსტრუმენტთა პანელები, რომელსაც AOL სთავაზობდა მომხმარებელს იყო მენიუში შემავალი, ამ მხრივ RAINMAN მოქმედებდა ორ ძირეულ ობიექტ-იერარქიაზე: ნაკრებებზე (ფოლდერების) და ტექსტურზე (სტატიები). რისი ძირითადი ფუნქციებიც იყო: შექმენი/ წაიკითხე/ განაახლე/ წაშალე.

სამწუხაროდ RAINMAN დახურული კოდი იყო და დღეს მისი სკრიპტები AOL-ის სისტემურ კოდშია ჩაშენებული.

ბოლო სტატისტიკა აჩვენებს, რომ ვებსამყაროს მომხმარებლებში ძალიან პოპულარული გახდა CMS-ები. შეიქმნა უკვე არა ერთი უფასო CMS, ყველაზე პოპულარულებია: Magento, PrestaShop, Wordpress, Joomla, Drupal. ფასიანი CMS-ების ღირებულება ძალიან დაბალია და შესაბამისად ხელმისაწვდომი.

თუმცა ზოგიერთ CMS შესაძლოა მძლავრი აპარატურული საშუალებების მხარდაჭერა სჭირდებოდეს, განსაკუთრებით მას მერე რაც საიტი დაიწყებს განვითარებას, რაშიც იგულისხმება მისი მოცულობის ზრდა. მაგალითად facebook-ს, 845 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავს და მარტო მათ მონაცემებს (სურათებს, ვიდეოებს...) Facebook, Inc.-ის სერვერების 104,857,600 GB უკავია. ახლა გავიხსენოთ, რომ თითოეული მომხმარებელი, როგორც კი სასურველ ინფორმაციას გამოიძახებს, თავისი ან მეგობრის პროფილის ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან, დაყოვნება თუ 4 წამს აღემატება, მისთვის facebook-ზე ყოფნა მოსაწყენი გახდება, როგორც ეს მოხდა Friendster-ის მაგალითზე.

ქსელი შემდეგი ლოგიკით მუშაობს, ის მოთხოვნილი საიტის გვერდის ჩამოტვირთვას ახდენს სერვერიდან ჩვენს კომპიუტერში, ანუ რეალურად ჩვენი კომპიუტერის ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება ხდება. მაგალითად, მაშინ როდესაც http://youtube.com-ზე შევდივართ და ვიდეოს ვრთავთ, ვიდეო დეკოდირებისთვის და შემდეგ მომხმარებლისთვის განკუთვნილ ფორმაში წარმოდგენისათვის, ჩვენი კომპიუტერის რესურსებს იყენებს. ასეთი ლოგიკით მუშაობს ყველა საიტი და თუ საიტი სწრაფად არ იტვირთება და ვიდეო ხშირი შეყოვნებებით აჩვენებს, ეს ჩვენი კომპიუტერის ნაკლები სიმძლავრის ბრალია.

იმისთვის, რომ მომხმარებელმა თავისი სუსტი მონაცემების მქონე კომპიუტერშიც სწრაფად მოახდინოს საიტის ჩამოტვირთვა და საიტებთან დაკავშირებული მოქმედებები და ბრძანებები, საჭიროა იმ კოდის „სიმსუბუქე“, რომელზეც მუშაობს საიტი. CMS-ები PHP-ის კოდზეა დაფუძნებული, რომელიც საკმაოდ რთული კოდის გენერირებას ახდენს, მისი სკრიპტების გადამუშავება-ტრანსლირებას, კომპიუტერის არქიტექტურული მოწყობილობები საკმაოდ დიდ დროს უთმობს. ამიტომ Python-ის სინტაქსით PHP-ის ნაწილობრივი ჩანაცვლება, რომელიც სიმარტივეზეა მისადაგებული და ინფორმაციის გადასამუშვებლად კომპიუტერისგან დიდ რესურსებს არ მოითხოვს, საიტის ჩამოტვირთვას დააჩქარებს და ტექნიკური რესურსების ნაკლებ დანახარჯს მოიტანს, რაც ასე სასიცოცხლოა დღევანდელ აჩქარებულ ინტერნეტ-სამყაროში.

პრაქტიკულად ყველა პოპულარული CMS: Joomla, Wordpress, Drupal... PHP-ის კოდითაა აგებული, PHP სერვერული მხარის სკრიპტულ ენას (server-side scripting language) წარმოადგენს, რაც ვებსერვერის კოდების სკრიპტს გულისხმობს და რომელიც თითოეული მომხმარებლის მოთხოვნისთანავე ვებგვერდის მისთვის ჩვენებას უზრუნველყოფს. PHP ასევე არის general-purpose programming lan-

guage, რაც ნიშნავს, რომ დაპროგრამების ეს ენა შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფის ფართო ნაირსახეობის აპლიკაციების დასაწერად. PHP თავდაპირველად იშიფრებოდა, როგორც Personal Home Page (პირადი საშინაო გვერდი), ამჟამად ის წარმოადგენს ასოთა შემცირებით მიღებულ სიტყვას ანუ PHP – Hypertext Preprocessor.

PHP-ის შექმნა 1995 წლიდან დაიწყო, როცა რასმუს ლერდორფმა (Rasmus Lerdorf) დაწერა რამოდენიმე CGI (Common Gateway Interface)-ი C პროგრამაში. ნახსენები CGI სტანდარტულ პროტოკოლს ვებ სერვერისთვის წარმოადგენს, რათა გაუშვას პროგრამა, როგორც Console application (კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ტექსტური ინტერფეისი). მას ასევე უწოდებენ Command-Line interface programs (კომპიუტერული პროგრამა, სადაც მომხმარებელი ბრძანებებს ტექსტური ხაზების სახით წერს), რომელიც სერვერზე მუშაობს და დინამიურ ვებგვერდებს ქმნის. სერვერული მხარის დინამიურ ვებგვერდებში, ვებგვერდის სტრუქტურა application server-ის სერვერული მხარის სკრიპტული პროცესებითაა კონტროლირებული, რომელშიც თითოეული ვებგვერდის აწყობის სტრუქტურა და მისი მომხმარებლისთვის, კლიენტის მხარისთვის მიწოდების პროცესი იგულისხმება.

კლიენტის მხარის დინამიურ ვებგვერდში, ვებგვერდი HTML სკრიპტებს იყენებს, რომ ბრაუზერმა ის ჩატვირთოს.

დღევანდელი კომპიუტერული სამყარო ელვის სისწრაფით ვითარდება. ასეთი სიჩქარის გამო ნაკლები მუშაობით მეტი შედეგის მიღება გახდა აუცილებელი, რათა ავყვეთ ამ ტემპს. სწორედ ასეთ ეფექტი აქვს დაპროგრამების ენა Python-ს, რომელიც ამერიკაში მცხოვრებმა ჰოლანდიელმა პროგრამისტმა გუიდო ვან როსუმმა (Guido van Rossum) შექმნა 1989 წლის დეკემბერში. Python-ი თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც Linux-ის ოპერაციულ სისტემაში სამუშაოდ განკუთვნილი ჰობის დონეზე შექმნილი დაპროგრამების ენა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ენა განვითარდა ენთუზიასტების საზოგადოების Python Software Foundation-ისა და Google-ის მიერ.

გავრცელებული და შესაბამისად ცნობადი დაპროგრამების ენები, როგორებიცაა: C++ და Java, მრვალფუნქციურია, მაგრამ ამასთანავე შესასწავლად საკმაოდ რთული, რადგან ძალიან მარტივი პროგრამის დაწერისთვისაც კი კოდის რამოდენიმე ხაზის დაწერაა საჭირო, მაგალითად,

C++-ზე დაწერილი ყველაზე მარტივი პროგრამა, რომელიც ეკრანზე Hello World ტექსტს გამოიტანს, ასე გამოიყურება:

```
#include <iostream>
Using namespace std;
{
cout <<"Hello World"<<endl;
System("pause");
}
```

იგივე პროგრამას Java-ზე ასეთი სახე ექნება:

```
class HelloWorld {
Public static void main(String args[]) {
System.out.println("Hello World");
}
}
```

ხოლო Python-ში იგივე შედეგის მისაღებად, კოდის მხოლოდ ერთი ხაზია საჭირო

```
print("Hello World");
```

Python-ის კოდის ასეთი სიმარტივე მისი საშუალებით შექმნილ აპლიკაციებს ქმედების სისწრაფეს ანიჭებს.

PHP, რომლის საშუალებითაც იქმნებოდა და დღესაც აქტიურად იქმნება საიტები, მძლავრი და უნარიანი ენაა, თუმცა ამ საიტების სწრაფად მუშაობისათვის ძლიერი მონაცემების მქონე სერვერებია საჭირო.

Friendster, რომელიც ერთ-ერთი პირველი სოციალური ქსელი იყო, ვერ შეძლო დომინანტობის შენარჩუნება, რადგან საიტის თითოეული გვერდის ჩამოტვირთვას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა, ეს დაყოვნება კი მომხმარებლებისთვის შემაწუხებელი გახდა. Friendster-ის დამაარსებელმა ჯონათან აბრამსმაც (Jonathan Abrams) აღიარა, რომ მისი შექმნილი საიტი ძალიან „მძიმედ" მუშაობდა.

Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა (Mark Zuckerberg) სხვების შეცდომებიდან შესაბამისი დასკვნა გამოიტანა და Facebook-ის მუშაობის ოპტიმიზაცია შეძლო. როგორც წიგნიდან „Facebook Effect" ირკვევა, იგი მაქსიმალურად შეეცადა facebook-ის კოდი „მსუბუქი" ყოფილიყო. Facebook-ის კოდი დახურულია, ვარაუდია რომ მარკმა ახალი, საკუთარი „საიდუმლო" დაპროგრამების ენაც შეიმუშავა, თუმცა როგორც ამ წიგნის ავტორის დავიდ კირკპატრიკის (David Kirkpatrick) დაკვირვებიდან ჩანს, facebook-ი Python-ის და PHP-ის ჰიბრიდულ სისტემაზე მუშაობს.

ამ ვარაუდს აძლიერებს სხვა წარმატებული სოციალური ქსელების: Instagram-ის, Pinterest-ის, Reddit-ის დამაარსებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია სოციალური ქსელების შესაქმნელად Python-ის გამოყენების შესახებ, მითუმეტეს, რომ Instagram-ი Facebook-ის შვილობილი საიტია.

Python-ის სიმსუბუქის გარდა, მის უპირატესობას მძლავრი ჰაკერული შეტევებისგან დაცვა წარმოადგენს, რაზეც „Black Hat Python" და „Gray Hat Python" წიგნებში მისი ავტორი ჯასთინ სეიტზი (Justin Seitz) დეტალურად საუბრობს.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალი CMS-სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად Python – კოდების გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს CMS სისტემის მუშაობისათვის არ იქნეს მოთხოვნილი როგორც სერვერის ასევე კლიენტის მხარისგან მძლავრი ტექნიკური მხარდაჭერა. შედეგად, მომხმარებლის სუსტი მონაცემების მქონე კომპიუტერიც კი სწრაფად ჩამოტვირთავს Python-ზე დაწერილ საიტებს, რის გამოც დიდი რაოდენობით მძლავრი სერვერების გამოყენება აღარ იქნება საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Justin Seitz - Gray Hat Python: Python Programming for Hackers and Reverse Engineers. 2009, 216 p.
2. Justin Seitz - Black Hat Python: Python Programming for Hackers and Pentesters. 2014, 192 p.
3. Justin Seitz - Python per hacker: Tecniche offensive black hat. 2015, 248 p.
4. Peter Moulding - PHP Black Book. 2001, 880 p.
5. Steven Holzner - Java Black Book: The Java Book Programmers Turn To First. 2000, 1200 p.
6. Wendell Odom - Ccent/CCNA Icnd1 100-101 Official Cert Guide, 2013, 900 p.
7. Steven Levy - In the Plex: How Google Thinks, Works, and Shapes Our Lives. 2011, 432 p.
8. David Kirkpatrick -The Facebook Effect: The Inside Story of the Company That Is Connecting the World.

COMMERCIAL WEB-SITES CONTENT MANAGEMENT SYSTEM PROGRAMMING SUPPORT USING PYTHON

GEORGE KUCHAVA
PhD Student of Georgian Technical University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.027

KEYWORDS: CONTENT MANAGEMENT SYSTEM, COMPUTER APPLICATION, PYTHON

SUMMARY

Article represents a short review about how CMS-Content Management System was created and developed, it shows his current environment, also represents its strong and weak sides. In this article you can read comparison analysis of PHP and Python and there are also reccomendations how to fix weakness of CMS and also shows the way how to create new CMS. Creation of new CMS with Python code is on the way.

კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები

ნაირა გალახვარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.028

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კულტურული მრავალფეროვნება, არა განახლებადი რესურსი

ტურიზმი – ეს არის სხვადასხვა ხალხებს შორის დიალოგის პირობების შექმნის საშუალება. ტურიზმის როლია, წარმოაჩინოს ყველა ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების მნიშვნელობა.

მსოფლიოს ხალხებმა, რომ იარსებონ, საჭიროა გამოავლინონ შემოქმედებითი ძალები და საუკუნეებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწყმოსა და მომავალს წარმოადგენს განვითარების საფუძველს.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმი ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სოციალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების კუთხით კულტურულ ტურიზმს ერთ–ერთი მთავარი ადგილი უკავია.

მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა (12000–ზე მეტი სხვადასხვა ძეგლია) და მოვლა–პატრონობის მცდელობისა, ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ სათანადოდ მოვლილი არ არის, საჭიროა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარსდგნენ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთვალიერებელთა წინაშე.

ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა–მოწესრიგებაზე.

კულტურულ ტურიზმში მნიშვნელოვანია ატრაქციებისათვის ხარისხის მინიჭების საკითხი. ტურისტულ ატრაქციებს შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს იუნესკოს მიერ აღიარებული ძეგლები. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პირველად გაჟღერდა 1972 წელს იუნესკოს მიერ მიღებული ამავე სახელმწიფოების კონვენციაში.

ტერმინი „მსოფლიო მემკვიდრეობა" ძეგლთა იერარქიაში ყველაზე საპატიო ადგილს იჭერს. ღირშესანიშნაობა, რომელიც ამ ნუსხაში მოხვდება, სამართლიანად ითვლება უნიკალურად და მას ენიჭება მსოფლიოს საგანძურის წოდება. ნუსხაში მოხვედრა ნიშნავს, რომ ძეგლი არის კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქმნილება.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ძეგლები, რომლებიც შევიდნენ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვა უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ქვეყნის ტრადიციებსა და კანონმდებლობას. ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო ბაზის სისტემატური გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება.

იმ მომენტიდან, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი ოფიციალურად ჩარიცხულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ მახასიათებლებისა და ღირებულებების მუდმივი დაცვა და შენარჩუნება, რომლებმაც განაპირობეს მისი საყოველთაო მნიშვნელობა და რომლებიც მას გამორჩეულ ნიმუშად აქცევს. კერძოდ, ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის მომენტიდან მიუღებულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც გამოიწვევს მისი ავთენტურობის ან სხვა ღირებულების შემცირებას. ამიტომ ოფიციალური შეფასების დოკუმენტი, რომელსაც ემყარება ღირსშესანიშნავი ადგილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის გადაწყვეტილება, ძალზე მნიშვნელოვანია. მან უნდა წარმოაჩინოს ღირსშესანიშნავი ადგილის ის ღირებულებები, რომელიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავს, თან იმგვარად, რომ ეს გასაგები იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პიროსათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ღირსშესანიშნავი ადგილი დეგრადირებულია იმგავრად, რომ დაკარგული აქვს ძირითადი მახასიათებლები, მაშინ ეს განაპირობებს მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღებას.

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება დაკავშირებულია მთელ განაშენიანებულ გარემოსთან და აღქმული უნდა იქნას მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემების ჭრილში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები გამოირჩევიან მათი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით. კონსრვაციის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს კრიტიკული შეფასების პროცესს, რომელიც იწყება კულტურული ობიექტის შესწავლით, დოკუმენტირებით, მისი დამახასიათებელი კულტურული თვისებებისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრით. ღირებულებები ორ ჯგუფად იყოფა: კულტურული ღირებულებები და თანამედროვე ეკონომიკური ღირებულებები.

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ცნება არის თანამედროვე საზოგადოების, მისი ღირებულებებისა და მოთხოვნების განვითარების შედეგი.

დღეს კულტურული მემკვიდრეობა აღიქმება მისი ფართო გაგებით და მოიცავს ნებისმიერ ნიშანს, რომელიც ასახავს ადამიანის ქმედებებსა და მიღწევევბს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში.

ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი არაგანახლებადი რესურსია, ამი–

ტომაც განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ადამიანების მოთხოვნილებებსა და მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის წონასწორობის აღსადგენად.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ადგილებთან მიმართებაში მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას როგორც კულტურული, ასევე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები.

მემკვიდრეობის ობიექტთან ასოცირებული კულტურული ღირებულებები და მათი მიმართება დღევანდელ დამთვალიერებლებთან უცილობლად სუბიექტურია, რადგან ისინი დღევანდელობის ამსახველ ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული. ეს შეფასებები განსაზღვრავს საზოგადოების ინტერესის დონეს ობიექტისა და მისი გარემოს მიმართ.

კულტურული ღირებულებები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას სხვადასხვა კუთხით:

1. თვითმყოფადობა (დაფუძნებულია აღიარებაზე) – ღირებულებების ეს ჯგუფი ასახავს საზოგადოების ემოციურ კავშირს ამა თუ იმ ობიექტთან თუ ადგილთან. იგი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: ასაკი, ტრადიცია, უწყვეტობა, მემორიალულობა, ლეგენდარულობა, გრძნობა, სულიერება, რეგულარობა, სიმბოლურობა, პოლიტიკურობა, ეროვნულობა და პატრიოტულობა.

2. შედარებითი მხატვრული ან ტექნიკური ღირებულება (დაფუძნებულია კვლევაზე) – ღირებულებების ეს ჯგუფი დაფუძნებულია მემკვიდრეობის ობიექტის მხატვრული გადაწყვეტის, მისი ტექნიკური, კონსტრუქციული და ფუნქციური მახასიათებლებისა და ხელობის მნიშვნელობის მეცნიერულ და კრიტიკულ ისტორიულ შეფასებაზე.

3. იშვიათობა (დაფუძნებულია სტატისტიკაზე) – ღირებულებები ეს ჯგუფი ასახავს ობიექტის მიმართებას იმავე პერიოდის, ტიპის, სტილის, მშენებლობის, რეგიონში არსებულ სხვა ნაგებობებთან, რაც განსაზღვრავს ობიექტის იშვიათობას, ან უნიკალურობას.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები დაკავშირებულია დღევანდელ საზოგადოებასთან და მის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფრასტრუქტურასთან.

სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. ეკონომიკური ღირებულება – ეკონომიკა ხელს უწყობს რესურსების საუკეთესო გადანაწილებას საჭიროებების ფართო სპექტრის მიხედვით. ეკონომიკური ღირებულება არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ფინანსურ ღირებულებასთან. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ეკონომიკური ღირებულება მოიაზრება, როგორც თავად მემკვიდრეობის ობიექტის მიერ ან მისი კონსერვაციის შედეგად წარმოქნილი ღირებულება.

2. ფუნქციური ღირებულება – დაკავშირებულია ეკონომიკასთან, რამდენადაც იგი გულისხმობს შენობის ან არეალის თავდაპირველი ფუნქციის უწყვეტობას ან მათთვის ახალი თავსებადი ფუნქციის მინიჭებას. ნანგრევებად ქცეული ობიექტის თავდაპირველი ფუნქციური ღირებულება დაკარგულია, მაგრამ მან შესაძლებელია შეიძინოს ახალი ფუნქცია, რაც მოემსახურება ობიექტის ინტერპრეტაციის პროგრამის მოთხოვნებს.

3. შემეცნებითი ღირებულება – მოიცავს მის პოტენციალს კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ასევე კულტურისა და ისტორიის გაცნობიერებას, რაც ხელს უწყობს ისტორიული ობიექტების დღევანდელ ცხოვრებაში ჩართვას.

4. სოციალური ღირებულება – მემკვიდრეობის ობიექტის სოციალური ღირებულება დაკავშირებულია ტრადიციულ სოციალურ საქმიანობასთან და თავსდება დღევანდელ გამოყენებასთან. სოციალური ღირებულება ასახავს ადგილობრივ თემში თანამედროვე სოციალურ ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესში.

5. პოლიტიკური ღირებულება – ის ხშირად დაკავშირებულია მემკვიდრეობის ობიექტის ისტორიის ამ თუ იმ, რეგიონისა ან ქვეყნისათვის საყურადღებო მოვლენასთან. ეს მოვლენები განსაზღვრავენ ობიექტის დღევანდელ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება თანამედროვე პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების წარმატებული მართვა დამოკიდებულია უფრო ფართო მიზნებზე. არ არის აუცილებელი მოგება იყოს ფინანსური, არამედ შესაძლებელია შეფასდეს სოციალური სტატუსის, პრესტიჟის ამაღლებისა და პოლიტიკის თვალსაზრისით. დღეს უმეტეს შემთხვევაში იცვლება საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესი, რაც სხვა შედეგებთან ერთად იწვევს ქალაქების ხასიათის ძლიერ და სწრაფ გარდასახვას, სადაც მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია და თანამედროვე კულტურა ეძებს თავის გამოხატულებას.

მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების მმართველებმა უნდა მიიღონ არსებული რეალობა, რომელიც ისტორიულ ცენტრებზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს. ეს პრობლემები კიდევ უფრო მეტს მოითხოვს მართვის კუთხით. იმისათვის რათა არც ძველმა ნაგებობებმა შეიწიროს და არც თანამედროვეობის ჩრდილოვანმა მხარეებმა სძლიოს. ისტორიული ქალაქები უნდა იმართებოდეს კარგად ინფორმირებული კვალიფიციური პროფესიონალების მიერ, რომელთაც აქვთ სწორი ხედვა.

ტურიზმის განვითარების კუთხით მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ფუძემდებლურ ღირებულებებზე გავლენას ახდენს შემდეგი კრიტერიუმები:

1. ადგილობრივი მაცხოვრებლებს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების აღქმა.
2. მოწესრიგებული სათანადო ინფრასტრუქტურა.
3. კულტურული ძეგლის კონსერვაციაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი.
4. მოვლის სტრატეგიის შემუშავება.
5. ზეგავლენის შესაძლებლობა დემოგრაფიულ გადაადგილებებზე (ე.ი. მეტისმეტი სიმჭიდროვე ან პირიქით ისტორიული ძეგლიდან მოსახლეობის გადინება).

6. ადგილობრივ მოსახლეობაზე ტურიზმის სოციალური გავლენა.

7. ტურისტების მხრივ ისტორიული ცენტრების ჭარბი გამოყენების შემცირების შესაძლებლობა.

8. მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული ცენტრებისა და ქალაქების დამატებითი ღირებულება, მათი გამოყენება.

1990 წელს ICCROM–ის კონფერენციაზე ბ–ნ სტრილინგმა თავის მოხსენებაში ქცევის კოდექსის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მასპინძელ საზოგადოებაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ინტერესებს, კერძოდ, „მასპინძელ საზოგადოებაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების გრძელვადიანი ინტერესები უნდა იყოს ტურიზმის განვითარების ვარიანტების შერჩევის უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორი“.[1]

ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სტუმრობას სასიამოვნოს ხდის არის ღირსშესანიშნავი ობიექტის ძეგლების მომსახურე პერსონალის დამოკიდებულება დამთვარიელებელთა მიმართ.

მომხმარებლის მომსახურება უპირველესი პრიორიტეტია საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. რამდენიმე ან თუნდაც ერთ ინციდენტს შეუძლია, საფუძვლიანად შეარყიოს კომპანიის რეპუტაცია და საზოგადოებას მისი პროდუქციისა და მომსახურების ნდობა დაეკარგება. მომხმარებლის კმაყოფილება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ის სხვას გაუზიარებს კომპანიასთან ურთიერთობების პირად გამოცდილებას.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ მომსახურებით უკმაყოფილო მომხმარებელი თავის შთაბეჭდილებას საშუალოდ 17 ადამიანს უზიარებს, კმაყოფილი კი მხოლოდ 11–ს.

დღეს ტურიზმის ინდუსტრია ჩვენი კულტურისა და საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტურიზმი დინამიკურია, თუმცა მისი განვითარება არ უნდა აღემატებოდეს მოცემული ტერიტორიისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მანილას დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ტურიზმა უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე, მათი ტრადიციული კულტურის ხელყოფის გარეშე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის გეგმა უნდა განსაზღვრავდეს დამთვალიერებელთა მომსახურების ამოცანებს. ეს ამოცანები განხილული უნდა იქნას ღირსშესანიშნავი ადგილის სამეურვეო კომისიასთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად, რათა კონფლიქტის არსებობა გამორიცხული იქნას. გასათვალისწინებელია დამთვალიერებელთა მოთხოვნილებები, როგორც ვიცით ყველა დამთვარიელებელს მოსწონს:

– მეგობრული მიღება და დახმარება ნებისმიერი სიძნელისა თუ გაჭირვებისას;

– სუფთა და კარგად მოვლილი ტერიტორია;

– მითითებები ადგილობრივი აკრძალვებისა და რელიგიური, კულტურული შეხედულებების შესახებ;

– ამა თუ იმ ძეგლის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ისტორიის, მათი საგანძურის პრეზენტაცია დამთვარიელებელთათვის გასაგები სახით;

– როგორც დამთვარიელებელთა, ასევე ნივთების უსაფრთხოება და დაცვა.

ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერებს ხშირად სურთ შეზღუდონ ტურისტების რაოდენობა ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ტურისტულ კომპანიებს კი სურთ მისი გამოყენება ტურისტების მოსაზიდად. ამდენად საჭიროა ოპტიმალური ნორმატივების დადგენა.

და ბოლოს დასკვნის სახით მინდა მოვიყვანო ვენეციის ქარტიის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ ჩამოყალიბებული აზრი – „ხალხთა თაობების მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლები, რომლებიც წარსულის გზავნილის მატარებელია, დღემდე რჩება მათი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალ მოწმედ. კაცობრიობა დღითიდღე რწმუნდება, რომ ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ და პატივს მიაგებს ისტორიულ ძეგლებს, როგორც საერთო მემკვიდრეობას მომავალი თაობებისათვის მათი დაცვის საერთო პასუხისმგებლობა ასევე არის აღიარებული“.

თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა – ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის მთელი სიმდიდრით გადაეცეს მომავალ თაობებს.

[1] ბერნარ მ. ფილდერი, იუკა იოკილეტო, „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2007 გვ.185

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰერბ სტოველი (2007) „რისკისთვის მზადყოფნა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო“ თბილისი.
2. ბერნარ მ. ფილდერი, იუკა იოკილეტო (2007) „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები“ თბილისი.
3. ნიკო კვარაცხელია (2009) „კულტურული ტურიზმი თეორია და პრაქტიკა“ თბილისი.
4. დენის ლ. იულკოქსი, გლენტ ტ. კამერონი (2011) საზოგადოებასთან ურთიერთობა „დიოგენე“.

CULTURE TOURISM AND ACTUAL ISSUES OF THE MANAGEMENT OF REMARKABLE WORLD HERITAGE SITES

NAIRA GALAKHVARIDZE
Professor of Georgian Technical University, Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2017.03.028

KEYWORDS: TOURISM, CULTURAL DIVERSITY, NOT A RENEWABLE RESOURCE

SUMMARY

The article is about importance of the landmarks and monuments in cultural tourism and it gives the specific information how to run management of such places.

The term "World Heritage" has the most important place in the hierarchy of monuments. The landmark or the monument, which happens to be on the list is rightly considered to be unique and it is assigned the rank of the world's treasure and it means, that the landmark or the monument is the most important thing of culture and history.

Once the monument is included in the "UNESCO World Heritage" list the country should provide to check the legislative base systematically and to renew it if necessary.

It is very important to protect and keep the monument's the characteristics and value that were the crucial points in recognizing the above mentioned place to be authentic and important for the mankind.

In case of damaging the monument that is in the World heritage list the monument is immediately taken from the list.

It's our duty to take care of the places of such great importance in order to keep them for our future generations.

კრიტიკა და რეცენზიები

CRITICISM AND REVIEWS

საინტერესო წიგნი ინფორმატიკაზე ეკონომიკასა და ბიზნესში[1]

ზურაბ მუნჯიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

ამჟამად ცოდნის განუყოფელ ნაწილად კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნაა. ინტერნეტით სარგებლობა, სოციალურ ქსელებში მუშაობა, საოფისე პროგრამებით სარგებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა. კომპიუტერის რესურსებით სარგებლობის, საოფისე პროგრამებთან მუშაობის საკითხებისადმი ქართულ და უცხოურ ენებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს ნაბეჭდი, გრაფიკითა და ვიდეო ინფორმაციით გაფორმებული ელექტრონული სახელმძღვანელოების, ვიდეო გაკვეთილების სახით. ინტერნეტში განთავსებული სპეციალური ელექტრონული ტრენაჟორებით ხორციელდება ამოცანების ამოხსნა და ცოდნის ათვისება.

სარეცენზიო ნაშრომი ორიენტირებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მასში ასახულია თსუ-ში დამტკიცებული სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები. ნაშრომი შედგება შესავალის და 13 თავისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. მოიცავს 495 ნაბეჭდ გვერდს.

პირველი თავში მოცემულია ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკაცია, შეფასების მეთოდები და თვისებები, განხილულია კომპიუტერის ტექნიკური ნაწილი და საერთო სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები. ამ თავში განხილული საკითხები საინტერესოა არამარტო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის სტუდენტებისათვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაც.

ნაშრომის მეორე თავში მოცემულია ტექსტურ რედაქტორში – Word-ში დოკუმენტების მომზადების, გაფორმების ტექნიკა და ტექნოლოგია, კერძოდ: Word-ის გარემოში არსებული შაბლონების გამოყენება, სტილების შექმნა და გამოყენება, ცხრილების შექმნა, სარჩევის ავტომატურად შექმნა და საქმიანი წერილების მართვა. აქ განხილული დოკუმენტების შექმნისა და გაფორმების ტექნიკა და ტექნოლოგია ნებისმიერი შინაარსის მქონე დოკუმენტის გაფორმებისთვის გამოიყენება. თავის სათაურის მიხედვით ბიზნეს-გარემოში არსებული დოკუმენტების გაფორმებას განსაკუთრებული მიდგომა ჭირდება. რაც ტექსტიდან არ ჩანს. გაუგებარია რა პრინციპით არის შერჩეული საკითხები, განხილულია სარჩევის ავტომატურად ფორმირება, მაგრამ ყურადღების მიღმაა დარჩენილი ბიბლიოგრაფიული საძიებლის შექმნა და სხვა.

მესამე თავი მიძღვნილია MS PowerPoint-ის გამოყენებით პრეზენტაციების შექმნისადმი.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე-მეცამეტე თავები Exsel-ის გარემოში მონაცემების დამუშავების ტექნიკასა და ტექნოლოგიას ეხება. დეტალურადაა განხილული ოპერაციები ფურცლებთან, უჯრებთან, ფორმულების დაწერა და რედაქტირება, ვიზუალიზაციის საშუალებები, მონაცემების ფილტრაცია, მონაცემთა კონსოლიდაცია, ფორმულების შემოწმება, მონაცემების წარმოდგენის გრაფიკული საშუალებები, მონაცემთა ანალიზის საშუალებები. სხვადასხვა თავშია გაბნეული Exsel-ში არსებული ფუნქციების განხილვა, კერძოდ: ლოგიკური ფუნქცია IF, ტექსტური, მათემატიკური, სტატისტიკური, ფინანსური ფუნქციები.

სარეცენზიო ნაშრომი განხილული ნებისმიერი საკითხი ილუსტრირებულია ამოცანებითა და სავარჯიშოებით

სარეცენზიო ნაშრომი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისგან:

1. სათაურების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაშრომში ჩამოთვლილ ფუნქციათა ჯგუფებში არსებული ყველა ფუნქციაა განხილული. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მაგალითად: Exsel-ში არსებული 24 ტექსტური ფუნქციიდან განხილულია 5 ფუნქცია, 7 ლოგიკური ფუნქციიდან – 1, 49, მათემატიკური ფუნქციიდან – 4, 57, სტატისტიკური ფუნქციიდან – 9, 58, ფინანსური ფუნქციიდან – 5. უმჯობესი იქნებოდა სათაურში ყოფილიყო „ზოგიერთი".;
2. თითქმის ნაშრომის ყველა თავი იწყება სიტყვებით „ბიზნეს ამოცანების....." იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტების შექმნის, პრეზენტაციები მომზადების, Exsel-ის გარემოში მუშაობის აღწერილი ტექნიკა და ტექნოლოგია მხოლოდ ბიზნესის ამოცანისთვის არის სამართლიანი;
3. ნაშრომში აღწერილია საოფისე პროგრამების ინგლისურენოვან ვერსიასთან მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ ავტორებმა იციან ყველა საოფისე პროგრამასთან (Access-ის გარდა) ქართულ ენაზე მუშაობის შესაძლებლობა. სასურველი იყო სარეცენზიო ნაშრომში ქართულენოვან ინტერფეისთან მუშაობის ასპექტები გათვალისწინებული ყოფილიყო.

პროფ. დ. სიჭინავას რედაქციით ავტორთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი სარეცენზიო ნაშრომში ნებისმიერი საკითხი ეკონომიკური ხასიათის საინტერესო ამოცანებითაა ილუსტრირებული, დეტალურადაა აღწერილი ამოცანების ამოხსნის ტექნოლოგია. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური და ბიზნესის პროფილის სტუდენტების, სპეციალისტების და ყველა დაინტერესებული პირის მიერ დამოუკიდებლად Word-ის, Exsel-ის და PowerPoint-ის ასათვისებლად.

[1] **ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. პრაქტიკუმი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. პროფ. დ. სიჭინავას რედაქციით, გამომცემლობა „ივერიონი", თბილისი 2016, 495 გვ.**

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“

რედაქტორი: **გივი ჩიღვინაძე**

ინგლისური ტექსტის კორექტორი: **ნინო ქერაშვილი**

დაკაბადონება: **ნიკა ხვედელიძე**

გარეკანის დიზაინი: **ლიზა ჯალაღონია**

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. №76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ-ფოსტა: info@eugb.ge

გამომცემლობა „საუნჯე“

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL GLOBALIZATION & BUSINESS

Editor: **Givi Chighvinadze**

Proof-reader of English text: **Nino Kerashvili**

Page Make-up: **Nika Khvedelidze**

Cover Design: **Liza Jalaghonia**

76 D. Guramishvili ave,Tbilisi, 0141, Georgia

Phone: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

Fax: (+995 032) 214 35 83

E-mail: info@eugb.ge

„Saunje“ Publishing House

PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

saungeo@gmail.com

facebook.com/saunje publishing

Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

